

რაფლეზია (I ნაწილი)

რაფლეზია (*Rafflesia*), მსოფლიოში ყველაზე დიდი ყვავილი, უქლოროფილო პარაზიტი. სახლობენ ტროპიკული ხეების ფესვსა და ღეროზე. მათი ვეგეტატიური ორგანოები ძალზე რედუცირებული, ხშირად ძაფისებრის და ღრმადაა შეწრილი მასპინძელი მცენარის ქსოვილში. გარეთ გამოაქვთ მხოლოდ მოკლე საყვავილე ყლორტები ქერცლისებრი ფოთლებითურთ. უმთავრესად გავრცელებულია ტროპიკებში. ცნობილი გვარია რაფლეზია (*Rafflesia*). მისი ერთ-ერთი სახეობა — არნოლდის რაფლეზია (*Rafflesia arnoldii*) მეტწილად *Cissus*-ის გვარის სახეობებზე პარაზიტობს. გვხვდება კუნძულ სუმატრაზე. მისი ყვავილის დიამეტრი 1 მ აღწევს, მასა 49-6 კგ. ლეშის სუნი აქვს. მწერებით იმტვერება.

* * *

სულზე მომისწრო ამ მივლინებამ. თვითმფრინავის მარავლჯერადად გამოყენებული და კონდიციონერის ფილტრში გაწმენდილ - ნაბრუნნი ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე და სკამის ზურგს ავეკარი, ხელები სავარძლის სახელურებს დავადე და თვალები დავხუჭე. თვითმფრინავმა სიჩქარე აკრიფა. თვალდახუჭული ვზივარ და ვფიქრობ- ნეტავ, თუ ვიგრძნობ, როდის მოსწყდება მიწას და დაეკიდება ჰაერში. ეს

მომენტი ორგანიზაციაა, ერთი წამი არც კი ,უფრო ცეზი და უკვე სხვაგან ხარ, სხვა სიმაღლეზე. თვალები გავახილე და ილუმინატორიდან ძირს დარჩნულ მიწას ამაყად, გამარჯვებით გადავხედე, ამოვისუნთქე და სტუარდესას დაველოდე, რომ ვისკი შემეკვითა.

სულზე მომისწრო ამ მივლინებამ. ოქტომბრის ცივი, წვინტლიანი ამინდები პარიზის ქუჩაში, თითქოს, ექო ოყო ჩემი შინაგანი მდგომარეობის, თითქოს ჩემ მაგივრად ოხრავდა და მოთქვამდა ამინდი. სიცივე, ნესტი, სამსხურში სტაბილური რუტინა, ზარები ,მეილებზე პასუხები, თათბირები, მერე სახლი - მეორე ჯოჯობეთი , სადაც ახალი აღოჩენა გავაკეთე: მაღიეჟენის ნევროზული პირის წკლპუნი ვახშმისას. ღმერთო, 20 წელი ! აი, ამდენი წელია, ჩემს ცოლად ითვლება ეს ქალი და აქამდე ვერსდროს ვამჩნევდი, თუ ასე საშინლად აწკლაპუნებდა პირს ჭმისას. ბოლო ექვსი თვეა ... ვახშამი და საუზმე ჯოჯობეთად მექცა! რაღაცნაირი ხმაურით ჭამს, ყოველი მისი ყბის მოქნევა და ლუკმის გაღეჭვა ჩემი ნერვის წვერზე გადის. მინდა მივიდე და ის ბრინჯაოს ბალერინა, ბუხრის თვზე რომ დგას, ჩვენი ქორწინების 20 წლის თანაცხოვრობის საჩუქარი, მთელი ძალით ჩავარტყა თავში. ვიცი, ასე არ შეიძლება ... ისე, შევძლებდი, რომ არა სასჯელის შიში? ალბათ, ვერა. მე ხომ ყველაზე მშიშარა კაცი ვარ ! ხო და ბოლოს ყურსასმენებს ვიკეთებდი და მუსიკას ვრთავდი, რაც, რა თქმა უნდა, არ მოსწონდა. როგორც ამიხსნა, ოჯახურ იდილიას აფუჭებდა ჩემი განმარტოვება, თუნდაც სმენითი და თავს გარიყულად გრძნობდა. როგორ გინდა, უთხრა, რომ მზად ხარ, მიახრჩო, იმდენად საშინლად ჭამს საჭმელს და თვალი კი იმ ეულად მდგარი ბალერინასკენ გაგირბის. და ეს რომ არ გავაკეთო,

იმიტომაც ვუსმენ მუსიკას. ბოლოს, უკეთესი მოვიფიქრე: დაწვრილებით ვეკითხები, როგორ ჩაიარა დღემ. მთავარია, უახსიათოდ არ იყოს და ვახშამმა სუფრაზე მდუმარედ არ ჩაიაროს. ოოო, მაშინ ჯოჯოხეთური წამების ნახევარ გზას გავდივარ, ეგ იქით იყოს და ბოლო ორი წელი ერთმენეთი ასატანი გაგვიხდა. ორივე კარგად ვაცნობიერებთ ამ ყველაფერს, მაგრამ აზრი? ალბათ, ამას ჰქვია კრიზისი ურთიერთობაში. რა თქმა უნდა, ჟან ფილიპისა და მისი მოწკურულთვალეებიანი ცოლის მსგავსად ფსიქოთერაპევტთან ოჯახის გადასრჩენად სირბილი სისულელედ მიმაჩნია. უკვე განწირული ურთიერთობა რამ უნდა გადაარჩინოს, ვერ ვხვდები. ეს ყველაფერი ჩაის პაკეტს მაგონებს. ჰო, კარგი, ერთჯერადს არა, ჩაის ფოთლები იყოს თუნდაც, - თან ინდონეზიური და უმაღლესი ხარისხის; ფაიფურის ჩაიდანში ჩაყრილს, თავიდან კარგი ფერი და არომატი რომ აქვს, ყოველი ახალი წყლის დასხმაზე კი ნელ-ნელა ფერმკრთალდება, და ბოლოს, უსუსურად გაჭინთული ამაოდ ცდილობს ქაფქაფა წყლის მორიგ პორციას ოდნავ მაინც უცვალოს. ხო, აი, მე და მაღიეჟენი ახლა ფერგასული ჩაის ფოთლებივით ვყრივართ ფაიფურის ფინჯანში, აღარაფერი გვეშველება, და ეს ყველაფერი უფრო აუტნელი მას მერე გახდა, რაც ბავშვები ამ სახლში აღარ ცხოვრობენ, ჟორჟიო კოლეჯშია და სტუდენტულაქში არჩია გარიდება; მიქაელა მხოლოდ თვეში ერთხელ თუ შემოირბენს ჩვენთან, და მერე სასწრაფოდ გარბის სამსახურში. დავრჩით მე და ჩემი ცოლი იმ სიამის ტყუპებივით, სადაც თითქოს ერთი მოკვდა და მეორე ზიდავს ამ მძორს, რადგან სხვა გზა არაა, გაკვეთა-განცალკეება წარმოუდგენელია. უნდა ავიტანო, პირადად მე ასე მჯერა. ალბათ, მასაც, რადგან არასდროს შევხებივართ გაყრის თემას. რა ვქნა, ვერ წარმომიდგენია,

როგორ უნდა ვიყო მის გარეშე, არა იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს, ასეთს ვერაფერს ვგრძნობ. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, თუნდაც დაკისრებულ სასჯელ ვალდებულებას და იცხოვრობს იმის გვერდით, ვინც უკვე კარგა ხანია აღარ უყვარს, მაგრამ მიეჩვია და ვერ წარმოუდგენია სხვაგვარად ყოფნა.

-ინებეთ, მუსიკე -შემაფხიზლა ფიქრებიდან სტიუარდესამ და ჯეიმსონის მწვანე ბოთლიდან ვისკი დამისხა, მზერამ უსიტყვოდ მკითხა - ყინული? თავი გავაქნიე, ნამდვილად არ ვაპირებდი ყუნულით გამეფუჭებინა ბოლო დროს ჩემი საყვარელი ანტიდეპრესანტი, რომლიც ძალიან კარგად აბლაგვებს ჩემში დაგროვილ ყველა წყენას, უსამართლობის განცდასა და მარტოობას. ორ ყლუპში გავერთიანდით მე და ჯეიმსონი. ისევ ილუმინატორში გავიხედე. უკვე მაქსიმალური სიმაღლე აელო თვითმფრინავს. და ქვემოთ, სადღაც შორს, დარჩა წვიმა, შავი ღრუბლების პლედი საფრანგეთის თავზე , რომლსაც ასევე კარგა ხანია ავცდით. აქ კი მზე ანათებდა თვალისმომჭრელად, თეთრი ღრუბლები, როგორც ოკეანეში აისბერგები, ისე დაცურვდნენ ირგვლივ. სკამის წინ დაკიდებულ კოსტუმში მზის სათვალე მოვძებნე და გავიკეთე. ახლა მშვიდად და უმტკივნეულოდ შემეძლო ერთფეროვანი ჰორიზონტისთვის მეცქირა. სტიუარდესას კვლავ შევახსენებე ჭიქა, მაგრამ მაშინათვე აღარ გადავკარი , ჯერ კიდევ ძველი ყლუპები მითბობდა მუცელს. მგონი, თვითმფრინავი ის ადგილია, სადაც საკუთარ თავს ვერ გაექცევი და ვერც სიკვდილზე ფიქრს. მივიხედ-მოვიხედე , ნამდვილად ვერაფრით გაერთობი დარჩენილი ორი საათი. გვერდით მჯდომი ტიპი უკვე ხვრინავს, ეს სულაც არ მაღიზიანებს, მაღიეჟენის ჭამისაგან განსხვავებით, აი ხვრინავს თუ არა ჩემი

ცოლი, არ ვიცი. არც ის - ვხვრინავ მე თუ არა. არასდროს არუნიშნავს ეს მაღიეჟენს. როდის მივედი იმ გადაწყვეტილებამდე, ბავშვის ოთახში დამეძინა? რატომ? მძიმე გასახსენებელია -ორი კვირის წინ, ოდეონზე, ლანჩის დროს შევხვდი ერთ-ერთ პარტნიორს საქმიანი წინადადებით. მერე ვიწრო ქუჩებებით სენას სანაპირომდე ფეხით დავაპირე გავლა. კუთხეში, პატარა სასტუმროსთან თამბაქოსფერ ლაბადას მოვკარი თვალი. წვრილი წვივებიც მეცნო, შავი ფეხსაცმლის წინ ფეხის წვერებზე მდგარი. ავაყოლე თვალი და რატომღაც გამეღიმა, ბანალური კინო-კადრი: თამბაქოსფერი ლაბადა ეხვევა მუქ ლურჯ პიჯაკს, რომლიც ორმოციოდე წლის კაცს აცვია და რომლიც ჩემზე ათი წლით უმცროსი გამოდის; ორი ადამიანი, რომელიც ვერაფერს ამჩნევს ირგვლივ. დავინახე, როგორ მოწმინდა ტუჩთან წითელი პომადის კვალი ბარბერის თამბაქოსფერმა ლაბადამ არმანის ლურჯ კოსტუმს. მერე დავინახე, როგორ გადაიკისკისა, ჩვეულად - თავის ოდნავ უკან გადაგდებით. დავფრთხი, მათი იდილია არ დამერღვია ჩემი გამოჩენით და საკუთარი პერსონა იქვე პაულის საფუნთუშეში შევაგდე. გახევებული ვიდექი, ვერფერზე ვფიქრობდი. გაქვავებული ვიდექი, არ ვიცი, რამდენი ხანი. ალბათ, სანამ გამყიდველმა რაღაც არ მკითხა. რა, ვერ გავიგე. ჩემი გულის ბაგა-ბუგის გარდა არაფერი მესმოდა და ვერფერს ვხედავდი, მხოლოდ ერთი კადრი მედგა თვალწინ, რომელიც მეორდებოდა დაუსრულებლად, როგორც ვინილის გაფუჭებული ფირფიტა - როგორ ეხვევა მაღიეჟენი ვილაც ლურჯკოსტუმთან ტიპს და იცინის ისე, როგორც... არა, ასეთი მაღიეჟენი აღარ მახსოვს! ჰაეროვანი, ბედნიერი იყო, ვერავის ამჩნვდა. რაღაცნაირი სიმძიმე ვიგრძენი, წავზარბაცდი, გვერდით მდგარმა ქალმა ხელი შემაშველა-მუსიე, ცუდად ხომ

არა ხართ?- თავი ძლივს გავაქნიე უარის ნიშნად, იქვე ჩამოვჯექი სკამზე, ვიღაც წყალს მაწვდიდა, გამოვართვი, მექნიკურად მოვსვი. უცებ, აღმოვაჩინე - მომინდა, მეტირა ბოლო ხმაზე. ვიღაც სასწრაფოში რეკავს, დამძიმებული თავი ძლივს ავწიე და ამოვიღულულულე-არა, არ გინდათ, უკეთ ვარ. მერე ფეხზე წამოვდექი და მადლობა გადავუხადე. გამოვბანცლდი. მაღიეყენი და ის იქ აღარ იდგნენ, უკან გავბრუნდი, სხვა ქუჩით წავედი. ვერაფერზე ვფიქრობდი. პირველი, რა განცდაც მქონდა, იყო გაოცება და მეტი არაფერი. მიკვირდა და - სიბრაზის ნასახი არ იყო ჩემში. და რამ გამოაცა? ალბათ, იმან, რომ მე ვერ მოვიფიქრე სხვაგან მეპოვა თავშესაფარი, სხვა კაბაში, სხვა პიროვნებაში... მან კი ეს მოიფიქრა და თავი გადაირჩინა, ჩემსავით არ მოიქცა, ბედს არ შეეგუა და დინებას არ გაჰყვა მკვდარი თევზივით. იმ წუთებში თავი მართლაც ირემი მეგონა, ქორბუდა რქები რომ უმძიმებს თავს. თვალი გავაპარე ვიტრინისკენ, ჩემი მოკუნტული სილუეტის გასაცოდვებული ანარეკლი... არც არაფერი მაქვს თავზე, ისევ მე ვარ - ორმოცდათერთმეტი წლის ჭადარაშეპარული, ას ოთხმოცდაოთხი სანტიმეტრი სიმაღლის ანტუანი, რომლიც ახლა გაუცნობიერებლად გარბის სენის საპირისპირო მიმართულებით, რათა არ გადააწყდეს თავის ცოლსა და მის ახალგაზრდა საყვარელს. მუშაობაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. ჩემს თანაშემწეს დავურეკე და ყველაფერი გადავადებინე, სახლში მისვლა არ მინდოდა და შუადღის 3 საათზე დაღევა - მითუმეტეს. ვინ სვამს სამშაბთ დღეს? მაინც დვლიე. მაინც სახლში მივედი, დამნაშავესავით შევიძურწე ჯერ სახლში მერე ჟოღჯის ოთახში და ლოგინზე გაუხდელად მივეგდე.

ყველაზე რთული მომდევნო დღეები იყო. სამსახურიდან ორდღიანი შვებულება ავიღე, ავადმყოფობა მოვიმიზეზე. სახლიდან ჩვეულებრივად გამოვდიოდი, მერე სადმე შორეულ კაფეში ვიჯექი საღამომდე, - ყავით ვიწყებდი და ვისკით ვამთავრებდი. ამ პერიოდში კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ მაღიეჟენზე არ ვიყავი გაბრაზებული, პირიქით, მშურდა კიდევ, რომ მან მოახერხა ეპოვა გადარჩენის გზა: ჩუმი, საიდუმლო და ასე ათრევდა ჩვენს მკვდარ და უკვე აყროლებულ თანაცხოვრებას, რომელსაც ცოლ-ქმრობა ერქვა. არ მასვენებდა კითხვები- რამდენი ხანია, ასე არიან; პირველი ღალატია, თუ უკვე დიდი ხანია, ასე გრძელდება. ვერ გავიხსენე, როდის შემომაცვდა ჩემი ცოლი, როდის განმშორდა. ალბათ, დიდი ხანია მხოლოდ ფურცელზე დარჩნილი ვალდებულების ამარა ვეჭიდებით ერთმანეთს. იმდენად ვიყავი საკუთრი უელფერო ცხოვრებით გრთული, ისიც კი ვერ შევამჩნიე, რომ ცოლი გაცივდა, გაუცხოვდა და მიღალატა. რამდენჯერაც სიტყვა ღალატი გამკრავდა გონებაში, იმდენჯერ თავს ვაქნევდი, მერე კი არარსებული რქების გროვის ჩხარუნის ხმა მესმოდა, მგონი ვგიჟდებოდი, ან მალე გავრეკავდი.

თამაში მეც შემძლება. ახლა, სუფრასთან საღმობით ისხდნენ ერთი - ყურებამდე შეყვარებული და პირადი საიდუმლოს ხიბლში გახვეული ქალი და მეორე - კაცი, რომელმაც იცოდა ეს ყველაფერი და თამაშობდა სიმშვიდეს. მომდევნო დღეებში მივხვდი, რომ სადღაც შვებითაც ამოვისუნთქე მას მერე, რაც გავიგე მაღიეჟენის საყვარლის შესახებ. იმის გარკვევას, ვინ იყო ის ახალგაზრდა კაცი, არ ვაპირებდი. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არა. ახლა მთავარი იყო, საკუთარი უსუსურობისა და არარაობის განცდას მოვრეოდი. უცნაურია, მაგრამ ჩემში არსებული

არცერთი განცდა მიბიძგებდა ჩემოდნის ჩალაგებისა და სახლიდან წასვლისკენ, არც იოტისოდენად ცოლისთვის იმისი მინიშნებისკენ, რომ დიახ, ყველაფერიც კარგად ვიცოდი. ამის მაგივრად კვლავ მონდომებით ვთამაშობდი იდიოტს და მე მეს მომწონდა. ჰო და, იმას ვამბობდი, სულზე მომისწრო ამ მივლინებამ.

პარასკევს ლინდამ დამიძახა, - ჩვენი მარკეტინგის განყოფილების შეფია, ჩემი დაქალიც. მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა და როგორც კი კარი მივხურე, ყოველგვარი შესავალის გარეშე დაიწყო:

-ანტუან, რა დაგემართა!-დავიბენი. რატომღაც, მეგონა, არფერი მეტყობოდა. -მე? არაფერი, რა დამემართა? - შევუბრუნე კითხვა.

-მაგას გეკითხები, საკუთარ თავს არ ჰგავხარ, დაქრიხარ სადღაც, ოჯახში ხომ მშვიდობა გაქვს? მალიეჟენი როგორ არის, ჯანმრთელობა? მომიყევი, რა გჭირს. ასეთი არასდროს მახსოვხარ, - კვლავ თავს მესხმოდა ლინდა. ჩვენს თერთმეტწლიან მეგობრობას და ოდესღაც ხელიდან გაშვებულ შანსს, საყვარლები გავმხდარიყავით, პატივს კი ვცემდი, მაგრამ არ ვაპირებდი სიმართლის თქმას. ისიც საკმარისი იყო, საკუთარი თავი რომ მეცოდებოდა. ყველაფერი რომ დამეფქვა, დამცინავად დაებრიცებოდა ტუჩები და აუცილებლად წამკბენდა ხუთი წლის წინ ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობაზე, როდესაც შარვალჩახდილი ელდანაკრავივით გამოვვარდი სასტუმროს ნომრიდან. კარგა ხანს გავურბოდი, მერე თავად შემომირიგა, შემაქო

ერთგულებისათვის და ისევ დამშვიდდა სიტუაცია, - ლანჩზე კვლავ ერთად გავდიოდით, საშობაოდ ცოლისთვის საჩუქრის შერჩევაშიც კი მეხმარებოდა; ხანდახან, ჭიქა ღვინოზე, შვილების პრობლემებზეც ვუყვებოდი. სულ ეს იყო ჩემი და ლინდას მეგობრობა. აი, ახლა, ამ დაკითხვისას, ამომიტივტივდა წლების წინ დამარხული სურვილები. გამახსენდა, როგორ ძლიერად მიჭერდა ტუჩებს პენისზე, როგორი მონდომებით წოვდა, მე კი ხელი ვკარი და გავიქეცი. ისე, როგორ მაპატია? ან არც მაპატია. ამას ცოლის ღალატად რატომღაც არ ვთვლიდი, იმიტომ რომ არ გამითავებია. რომ გამეთავებინა, მერე იქნებოდა ღალატი. ჰო, ძალიან უსუსური არგუმენტია, ვიცი. უკვე ღალატი იყო ლინდას ნომერში შემოპატიჟება. ვხვდებოდი, როგორ გაგრძელდებოდა კომპანიის წარმატებული შეხვედრის აღნიშვნა ვისკით. მგონი არც არასდროს უპატიებია ლინდას მაშინდელი ღამე. მე რომ ქალი ვიყო, ნამდვილად შემძულდებოდა ასეთი კაცი, ვინც გამექცა, მაგრამ ლინდასნაირი ქალები წყენას არ იმჩნევენ, ისინი მეგობრები ხდებიან და დროდადრო ჯიუტად გთხოვენ, მოუყვე ოჯახში რა ხდება. თავად კი იშვიათად, მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით გადმოგიკრავს საკუთარ ინტიმურ ცხოვრებაზე. ბოლო წლებია, ლინდას ესმის ჩემგან, რომ კარგად ვარ, მშვიდად, სტაბილურად და ალბათ, ამით ტკბება. ტკბება, ჰო! რომ უარი ვთქვი მისნაირ ქალზე და ვლპები საკუთარ სიმშვიდეში. ახლა, სანამ რაღაცას მელაპარაკება, გონებაში უკან ვახვევ იმ დღეს პრალაში, უფრო სწორად - ღამეს. რატომ წამოვხტი? დავიჯერო, მართლა ასე მიყვრდა მაღიეჟენი? არა, არ მიყვარდა, ლინდა კი მომწონდა. შეუძლებელია, არ მოგწონდეს ლინდასნაირი ქალი - მაღალი, თხელი, ჩამოქნილი ფეხებით, ნატიფი, მოვლილი, გემოვნებიანი, თეთრი კანი და ოქროსფერი

თმები, მაგრამ, როგორც ჩანს, არც ისე მალეღვებდა, რომ მასთან რამე მქონოდა. რა სისულელეა! მაშინ არ შემოვიპატიყებდი ნომერში. ლოგინზე მისვენებულმა, ლინდას მინეტით როცა ვტკბებოდი, გავიაზრე - რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა. მე კი არ მქონდა ინტრიგის თავი, ნერვები, კოლეგა საყვარელი, რომლიც მუდამ თვალწინ ტრიალებს, ნაძალადევად ვნებიანი სექსი რომელიმეს კაბინტში, თანამშრომლების მრავლისმთქმელი ღიმილი... წარმოუდგენელია, ეს დაიმალოს - მხოლოდ წყვილი იტყუებს თავს. უფრო სწორად, მეზარებოდა. მეზარებოდა ზუსტად ისე, როგორც ახლა - მდუმარედ ვახშობისას მუმტი დამერტყა მაგიდაზე და მალიჟენისთვის მიმეხალა: ვიცი ყველაფერი! - და რა მერე ამით? სჯობს, დარეჩეს ისე, როგორცაა.

- იმედია, მოგეწონება, რასაც გთავაზობ. - გამომაფხიზლა ლინდას სიტყვებმა. თავი გავაქნიე, თუმცა, არაფერი გამიგია, მაგრამ მისი სახის გამომეტყველებით მივხვდი, რაღაც საინტერესო მითხრა.

-კი, კი, -არ შევძრნიე, რომ არაფერი გამიგია, - როგორც შენ იტყვი, დიდებული აზრია, როდიდან დავიწყოთ?

ლინდას გაელიმა, -რა როდიდან ? მიდი ახლა სახლში, ჩაალაგე ჩემოდანი და ხვალ დილას 8 საათზე აეროპორტში იყავი, ხუთი დღე მაროკოში იქნები, გადატვირთული გრაფიკი და შეხვედრები არ გექნება. ჩათვალე, მე გითმობ საკუთარ მივლინებას, რომ გაერკვე და მოხვიდე აზრზე. ვერ გცნობ, ანტუან და არ ჩაგეძიები, რა გჭირს, თუ თქმა არ გინდა. მრავალ

მნიშვნელოვნად გაეღიმა ლინდას და თვალი თვალში გამიყარა.
ავარიდე...

მგონი, იცის, რაც მჭირს! საერთოდ ასეა, ქმრები ყველაზე გვიან
იგებენ ცოლების ღალატს, როცა ირგვლივ ყველამ კარგად იცის,
რაც ხდება. ლინდას ვერაფერს გამოაპარებ. პანიკამ შემიპყრო.
ღრმად ჩავისუნთქე. მგონი, მადლობაც არ მითქვამს, ისე
გამოვედი ლინდას კაბინეტიდან.

ხომ ვთქვი, სულზე მომისწრო ამ მივლინებამ...

* * *

-მუსიე, თუ შეიძლება ღვედი შეიკარით, - გამომაფხიზლა
სტიუარდესამ. შევკრთი. არ ვიცი, ძილბურანში თუ ფიქრებში
ვიყავი. ყურები დამიგუბდა. როგორც ჩანს, თვითმფრინავი
დაშვებას იწყებდა. მარაკეშის თავზე ვარ, გავიფიქრე და მთელი
სხეულით ვიგრძენი, როგორ დაეშვა თვითმფრინავი მიწისკენ.
ქვემოთ წითელი მიწა გამოჩნდა. მალე გზები და
მაგისტრალებიც გამოიკვეთა. ცოტაც და მენარას აეროპორტში
დავეშვებით. ტაქსიში ჩაჯდომამდე მომიწვდა გამეხსნა ლინდას
მეილი და გამეგო, სად და რატომ მივდიოდი. ტრაპზე ცხელი
ჰაერი შემეგება, ღრმად ჩავისუნთქე და რატომღაც, თავი
ბედნიერად ვიგრძენი. ჰო, სულზე მომისწრო ამ მივლინებამ.

ტაქსი გავაჩერე და ვუთხარი, სად მივდიოდი. სავარძელს
მივეყრდენი და გარემოს დათვალიერება დავიწყე. არც არფერი

იყო სანახავი. აეროპორტიდან ქალაქამდე საკმაო გზაა, ხრიოკი, აქა-იქ მომწვნო ოაზისები, რალაც შენობები. მეილს ჩავხედე - სასტუმრო Raid Fantasia. სახე ხელებში ჩავმაღე და უხილავი დაღლილობის ნიღაბი ჩამოვიხსენი. ფანჯარა ჩავწიე, ხელი გავყავი და ჰაერის ნაკადს გავატანე ეს ჩამომძვრალი ნიღაბი. მგონი, უკეთ ვარ. ალბათ, მართლა სულზე მომისწრო ამ მივლინებამ.

ჩემი ტაქსი ნელა მიიკვლევდა მარაკემის წვრილ ქუჩებში გზას. უინტერესოდ ვათვალიერებ ქალაქს, რომელშიც არასდროს ვყოფილვარ და ჯერ არ ვიცი, რა განცდას მაქვს. ილის, დარიჩინისა და ლიმონის სუნში ქუჩები... აი, ჩემი სასტუმროც. ამას იმით მივხვდი, რომ ტაქსი შეჩერდა. მძღოლმა მანქანას საბარგული ახადა. სამვარსკვლავიანი შენობა ჩაჭედილია სხვა აქაური არქიტექტურისათვის დამახასიათებელ სახლებს შორის. დავიჯერო, ეს სასტუმრო დაჯავშნა ლინდამ თვისთვის? ვეჭვობ. ხუთვარსკვლავიანზე ნაკლებს არ კადრულობს, ლაქშერი კალსისას, ამ სოროში არასდროს წამოვიდოდა. ძალიანაც კარგი, რომ არაფერი გამოგვივიდა. ალბათ, მალე გაუცრუვდებოდა იმედი ჩემში. არა, როგორც მამკაცი, მგონი, ურიგო არ უნდა ვიყო. თუმცა, ახლა არც ეს ვიცი, - მე ხომ ის კაცი ვარ, რომელსაც ცოლი ღალატობს, ეს ყველაფერი იცის და ითმენს. ახლა, როცა მაღიეჟენის განკარგულებაში მთელი ხუთი ღამეა პარიზში, ალბათ, ის სახლშიც დაპატიჟა და მერე ჩვენს ლოგინზეც იჟიმავებენ. უფრო სწორად, სიყვრულით დაკავდებიან. კიდევ რას ვერ ვპატიობ მაღიეჟენს? - ძალიან შეყვრებული ქალის მზერას. ის არ ერთობა სექსით, მას უყვრს ის. ეს უფრო გულისმოსაკლავი ყოფილა, ვიდრე იმის წარმოდგენა, რომ მხოლოდ ჟიმაობს. ისევ ვიგრძენი უხილავი რქების სიმძიმე და

ყელში რაღაც ბურთივით გამეჩხირა. მანქანიდან გამოვედი, ტაქსისტს კუთვნილზე მეტი მივეცი და სასტუმროში შევედი. გულისამრევად ბევრი სიჭრელე მეცა თვალში და ჭარბი ლიმონის არომატი. ფოიეში მაროკოსათვის დამახსიეთებელი ვინტაჟური ჩუქურთმები, ხალიჩები, სიჭრელე. აწოწილი აფრიკელი პორტიე ყველა კბილით მილიმის და მესალმება. ადმინისტრატორს ვაწვდი პასპორტს. რატომღაც, ძალიან გულისხმიერად ათვალეერებს. დამავიწყდა ფულის ჩადება, შესაბამისად, არც კარგ ნომერს უნდა ველოდო. თუმცა, სასტუმროს გარე ხედისა და შიდა დიზაინის გათვლისწინებით, აქ კარგი ნომერი ნამდვილად წარმოუდგენელია. რეალურად, ახლა ჩემთვის ეგეც სულერთია. ერთი სული მაქვს, ლოგინზე დავეგდო ის ორი საათი, სანამ შეხვედრაზე მისვლა მომიწევს. ადმინისტრატორმა ცივად დადო ჩემი პასპორტი, რაღაცაზე ხელი მომაწერინა და გასაღები მომცა. გამოვართვი, ფული ჯერ არც გადამიხურდავებია. ჯიბეში ორეგროიანი მიგდია, ეგ დავუდე. არ ვიცი, ცოტაა თუ ბევრი. იმედია, უკან არ მომიგდებს - ტრაკში გაიკვებე მზერით. ამიტომ, სწრაფად ავიღე ჩემოდანი და ვიწრო კიბით მეორე სართულზე ავედი. შიდა ეზოში პალმის მსხვილ ძირს რტოები წასხეპილი ჰქონდა, აჭრელებულ გარემოში ეულად მდგარი შადრევანი ჩხრიალებდა. მგონი, ჩემ გარდა არავინაა აქ. ყოველ შემთხვევაში, მე ეს განცდა დამრჩა.

ოთახში უარესი სიჭრელე მელოდა. დიდი ლოგინი წითელ-მწვანე მძიმე ხავერდის გადასფარებელით, უწესრიგოდ დაგდებული ხუთიოდე ჭრელი ბალიში, ლამის ჭერთან პატარა, რკინის კრონშტეინზე დამაგრებული ტელევიზორი ნაცრისფერი ჭუჭყიანი პულტით, რამდენიმე ნაირფერი ხალიჩა კედელზე.

აქაც ერთმანთზე ჭრელი ფილები და ჩუქრთმები, იატაკზე ყველაფერთან შეუხამებელი კიდევ ერთი ჭრელი ხალიჩა, ფერადშუშებიანი ფანჯარა, რომელიც სასწრაფოდ გამოვალე და ოთახში დამწყვდეული ჰაერი ქუჩიდან შემოსულმა ცხელმა ჰაერმა ჩაანაცვლა. ლოგინზე მივეგდე. არ ვიცი, რისი ბრალი იყო, სულაც არ ვიყავი თვითგვემისა და დარდის განწყობაზე, რომლისთვისაც ასე ვემზადებოდი მგზავრობის დაწყებისთანავე. აბაზანაში შევედი, მოვათვალიერე. გამიკვირდა, სუფთა იყო, პირსახოციც კი ახალი. შხაპში შევედი და ერთჯერადი შამპუნნი გავხსენი, აზიური იაფფასიანი სურნელი მეცა. დავიკიდე და ტანი ავიქაფე, მერე წვერი გავიპარსე. საკუთარ ანარეკლი შევათვალიერე, სარკიდან სიმპათიური ნაცრისფერთვალება ტიპი მიყურებდა. ამ ნაცრისფერ თვლებში არ ვიცი, რა ჩანდა. ჩემი აზრით, არც არაფერი. გამოვედი და რაც ხელში მომხვდა, ის ჩავიცვი, - თხელი Yves Saint Laurent-ის პერანგი - ღია ცისფერი, ოდნავ შესამჩნევი თეთრი კლაკნილი ზოლებით. შარვალზე გავიჭედე, მეილი გავხსენი, რომ გამეგო შეხვედრის ფორმატი და იმის მიხედვით ამერჩია, ინტერნეტი არ იყო, ვაი ფაი პაროლს მთხოვდა, ვერსად ვნახე ფურცელი, სადაც ეწერებოდა პაროლის მსგავსი რამ, შიდა ტელეფონზე ადმინისტრატორის ნომერი ავკრიფე. რამდენიმე ხრინწიანი ზარის გასვლის შემდეგ ყურმილი აიღეს. ხმას ვუთხარი ოთახის ნომერი და ვაიფაის პაროლი ვკითხე, მიპასუხა. ისე დავკიდე, მგონი, არც მადლობა გადამიხდია. მეილი გავხსენი, კონფერენცია სასტუმრო Four seasons Marrakech-ში ტარდებოდა. ჰმ, აქ ვერ გაიმეტა ლინდამ ჩემთვის ნომერი. კვლავ ჩემ ოთახს მოვავლე თვლი. ახლადა შევამჩნიე სამიოდე ლარნაკი ფერად-ფერადი ვარდებით. არ დამეზარა და შევამოწმე. ხელოვნური არ იყო და ცოცხალი

სუნი ჰქონდა, მგონი ნამდვილი ვარდის, სასიამოვნო. ისევ მეილს დვუბრუნდი, ჩემს განრიგს, სულ ორი შეხვედრა მქონდა - დღეს და ხვალ დილით. ეტიკეტით მსუბუქად ჩაცმა შემემძლო, ნაკლებად ოფიციალურად. დანარჩენი სამი დღე ამ ჭრელ, ცხელ, უჰაერო ქალაქში და ამ საშინელ სასტუმროში უნდა გამეტარებინა. რა უნდა ვაკეთო, არფრის თავი მაქვს, სურვილი - მითუმეტეს. სულ არ ვაპირებ მაროკოელ ქალებს დავემგერო და გული ვიჯერო, მეც ვულალატო ცოლს ჯინაზე. მაღიეჟენის ლალატს ისედაც ვერ გადაწონის ჩემი ფულით ნაყიდი უგემური სექსი. შეიძლება, აღარც მიდგება, არ ვიცი. რამდენი ხანია, სექსი არ მქონია? ორი, სამი, მეტი თვე? არც მახსოვს. ღია ფერის ჯინსის შარვალი ამოვიცვი, ნაჭრის ფეხსაცმელი უწინდოდ, უსარჩულო ტილოს კოსტუმი გადავიკიდე მაკის ჩანთაზე. საფულე და ნომრის გასაღები ჯიბეში ისე ჩავიდე, რომ არვის ამოეცალა და ოთახიდან გამოვედი. მსუბუქად ჩავირბინე კიბე. დამლაგებელი ქალი იატაკს აპრილებდა, ღმილით მივესალმე. შიდა ეზოში სამი ტურისტი იჯდა და ჩაის სვამდა. ყური მოგვკარი საუბარს, მაგრამ ენა არ მეცნო. თვალი სიჭრელეს მიეჩვია და თითქოს, თვითგვემის სურვილს მიკარგავდა. მომღიმარე პორტიე არ დამხვდა. გადავწყვიტე, ბანკომატიდან ფულს რომ გამოვიტანდი, ათი ევრო მიმეცა. ქუჩაში უფრო ცხელოდა. დაბნეულმა მიივიხედ-მოვიხედე, გუგლმეფში მისამართი ჩვწერე. წითლად მონიშნულ გზას სულ რაღაც 18 წუთი სჭირდებოდა, მე კი 40 წუთი მქონდა წინ.

სასტუმროდან გამოსული დიდ მოედანზე მოვხვდი, ხალხმრავალ ბაზარში. შემწვარი ხორცის სუნი ვიგრძენი. გავიხედე და ჩემგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ახალგაზრდა არაბი გაურკვეველ ხორცს წვავდა, იქვე ედო

ყველანაირი ზომის ნაჭრები, ფარში, სხვადასხვა ზომის სარდელი, არ ვიცი, რითი შეზავებული, მაგრამ ფაქტია, მუცელმა თავი შემახსენა. ბოლო დროს ძალიან გავხდი, უფრო სწორად, ჩამოვხმი და მგონი, სულაც არ მიხდება, ავადმყოფური ფერი მაქვს, ჩაცვნილი თვალები, ხოლო უპეები უფრო ყვერებს ჰგავს, ისე მაქვს შესიებული. თავს უნდა მივხედო. ძალიან მშოიდა, მაგრამ მაცდუნებელი ხორცისაგან თავი შევიკავე. შანსი არაა, ლანჩ ბრეიქი არ იყოს Four seasons-ში. ინტერესით ვაკვირდები ყველაფერს, დახვავებულ ხორცს ბუზები ეხვევიან, დიდი მაკრატლით ბიჭი ოსტატურად ანაწევრებს ქვაბში მოთუხთუხე ხორცს, მეორე ხელით კი ურევს, ნეტავ რისი ხორცია? მივუახლოვდი. რა თქმა უნდა, ვერ მივხვდი, რისი ხორცია. მსუყე, უცხო სურნელი და შიმშილი ასე ღიად დახვავებული ხორცის მიერ გამოწვეულ მსუბუქ ზიზღს თრგუნავდა. გვერდითა დახლიდან მოხუცმა გამყიდველმა პატარა შამფურზე აგებული შემწვარი ხორცის ნაჭრები შემომთავაზა. ხორცი მწვანე ბალახზე ეწყო და ბუზებიც არ ჩანდნენ. ალბათ, ეს ბალახი აფრთხოვდა. გავუღიმე და ხელით ვანიშნე, რომ არ მინდოდა. გადაკიდებულ ჩანთაზე კოსტუმი შევამოწმე და გზა გავაგრძელე. ჯერ-ჯერობით, თუ გუგლს დავუჯერებდით, სწორად მქონდა გეზი აღებული. ხორცის მერე თევზეული იწყებოდა. ჭაღარა ტიპი ღრმა, გაშლილ ტაფაში აკოკოლავებულ ლოკოკინებს რაღაც წვენს ასხმდა. წინ ორი იტალიელი წყვილი ედგა, პატარა ფაიფურის ჯამში ორი სავსე კოვზი ლოკოკინა ამოულო, ზემოდან ის სოუსი მოასხა და მიაწოდა. არც ხელთათმნები, არც ხარისხის კონტროლი, იმაშიც ეჭვი შემეპარა, ეს ჯამები მართლა გარეცხილია თუ უბრლოდ გამოწმნდილი. იტალიელი წყვილი კი გემრიელად ჭამდა. კაცმა შემამჩნია, როგორ ვუყურებდი, ფაიფურის ჯამი აიღო და

შემომთავაზა. ვიუარე. გამილიმა და ცერა თითით მანიშნა, რომ კარგი იყო. ოღნოდ, ვერ მივხვდი, რა იყო კარგი, - ის, რომ ამ საეჭვო წვნიანზე ვთქვი უარი თუ იმაზე, რომ კარგი წვნიანი იყო. თუ ასე შევჩერდებოდი ყველა დახლთან, დანიშნულების ადგილამდე სალამომდე ველარ მივაღწევდი. ამიტომ დაკვირვება უკანა გზისთვის გადავდე, ცოტა ხანში four seasons Marrakech-ის წინ ვიდექი, აქ სხვა გარემო იყო ქუჩაზეცა და სასტუმროს წინაც. მდიდრული შენობა, სადაც ევროპული სტილი გემოვნებით ერწყმოდა მაროკოულს. ფოიეში საკონფერენციო დარბაზის ადგილმდებარეობა ვკითხე, ღიმილით მიმასწავლეს გზა.

სულზე მომისწრო ამ მივლინებამ. ეგზოტიკური გარემო, სადაც აზიური, აფრიკული და ევროპული კულტურა ერთმანეთშია გადახლართული. დავიჯერო, რომ აქაურობა შეიძლება აღმოჩნდეს დეპრესიის ჭეშმარიტი წამალი და არა - წარსულის დაუსრულებელი ქექვა - სად დავუშვი შეცდომა, სად და როდის გაიყარა ჩემი და მალიჟენის გზები ან ვისკი? აი, ამაზე ფიქრიც კი მეზარება!

დარბაზს, სადაც უნდა მოვხვედრილიყავი, ადვილად მივაგენი. დაწყებამდე 10 წუთი იყო დარჩენილი. ორმოციოდე ადამიანს თვალი მოვაგლე, ნაცნობს ვემბედი სხვა კომპანიებიდან ან ფილიალებიდან, ვერავინ დავლანდე და ძალიანაც კარგი. ნაცნობი სიფათების ნახვის სურვილი, რა თქმა უნდა, კვლავ არ მაქვს. მშვიდად მოვთავსდი შუა რიგში, ფანჯარასთან და სკამზე დადებული ბუკლეტი გადავშალე. სამსაათიანი შეხვედრა, მერე ფურშეტი და კოლეგებთან ლაყბობა. ხვალ, დილის 10 საათზე

ისევ სამსაათიანი შეხვედრა ლანჩით და დამშვიდობება .
მშვენიერი. ფანჯრიდან გავიხედე, ჩემი სასტუმროსაგან
განსხვავებით, აქაური პალმები ბევრად დიდი და მოვლილი
ტოტებით იყო. ეზოში აუზები და აუზში ლურჯად არეკლილი
ცა მხოლოდ ერთ სურვილს ბადებდა, გამოვსულიყავი ამ
კონფერენციიდან და აუზში გადავმტარიყავი. მზერით კვლავ
დარბაზს დავუბრუნდი. საინტერესო ტიპად, საუბარი ან
ნაცნობობა რომ გამება, ვერვინ მივიჩნიე. საათს დავხედე,
რამდენიმე წუთი და მერე სამი საათი გაძლებაზე ყოფნა
დამეწყება. დარბაზი შეივსო, სკამების გაწევ-გამოწევის ხმა,
ყაყანი და დუდუნი მიწყდა და განათებულ დიდ ეკრანთან
საშუალო სიმაღლის, შეთხელებულთმიანი ტიპი გამოვიდა,
თეთრი შარვალი და ცისფერი ფერანგი ეცვა. როგორი
ფეხსაცმელი ეცვა, ვერ ვხედავდი, ამიტომ, მალევე შევეშვი
დაკვირვებას. ახალს არფერს ამბობდა. საკმოდ კარგად ვიცი ჩემი
საქმე. კომპანიაში, სადაც 12 წელი ვმუშაობ, უბრალო
კლერკიდან ვიცი პრეზიდენტობამდე დიდი გზა გავიარე.
ფაქტია, აქ ზუსტადაც რომ ლინდა უნდა წმოსულიყო. კიდევ
ერთხელ გადავუხადე გულში მადლობა, ან რატომ გულში?
მივწერ. გავიფიქრე და ტელეფონი ამოვიღე. თეთრშარვლიანი
ტიპი გაყიდვების აქტივობებზე ყვებოდა. გადაღეჭილი
სიტყვების ფონზე სმარტფონზე ფეისბუქის ლოგო მოვძებნე,
მეილის გაგზავნა პირადი მადლობისთვის ზედმეტად
ოფიციალური იქნებოდა. მესინჯერში ოთხი გზავნილი დმხვდა.
ერთი ცოლისგან იყო. უსიამოდ მომიჭირა გულთან, მაგრამ
გავხსენი. მსაყვედურობდა, რომ არ დავურეკე, არ მოვიკითხე
და არ ვუთხარი, როგორ ვიმგზავრე. დავიჯერო, რომ სულ
რალაც 6 საათში უკვე მოვენატრე? რა თქმა უნდა, არა! ვინ იცის,
როცა ამ ტექსტს მწერდა, უკვე დამცხრალი იმ ტიპთან ერთად

იწვა. სულელური სმაილი გავუგზავნე და კარგად ვარ-მეთქი, მივწერე. ინტერესის გამო თვალი გადავაავლე ჩვენს მიმოწერას. ბოლო თვეებში სულ სამჯერ მოუწერია: მოკითხვა, შეხსენება, რომ ტელეფონი დავტენო და გაფრთხილება - ტელეფონი უჯდება და არ ვინერვიულო. ლინდას მოწერილიც დამხვდა. მკითხულობდა, როგორ ვიმგზავრე, კმაყოფილი ვარ თუ არა. მამშვიდებდა, რომ კომპანიაში ყველაფერი ძველებურად იყო და კარგი დროის გატარებას მისურვებდა. საპასუხო შეტყობინების წერისას გვერდით მჯდომმა ქალმა მხარი წამკრა და ჩამჩურჩულა: გიყურებენ. თავი ავწიე, დარბაზს თვალი მოვაავლე, არც არავინ მიყურებდა. გაგზავნას დვაჭირე ხელი და მერეღა გავხედე გვერდით მჯდომს - ახალგაზრდა, შავგვრემანი, სავსე ქალი - ვარდიფერი კაბითა და მრგვალი მუხლებით. თმა აწეული ჰქონდა, ყელზე ვერცხლის კულონი შევნიშნე, რომელიც, ალბათ, მისთვის ძვირფასი იყო და მუდმივად ეკეთა, თორემ სხვა შემთხვევაში ოქროსფერ რამეს ჩამოიკონწიალებდა. მიუბრუნებლად მეც გადავუჩურჩულე: არავინ მიყურებდა, მოგეჩვენათ.

-წელან გიყურებდნენ. -არ დათმო პოზიცია. ესპანური აქცენტი დაჰკრავდა მის ინგლისურს. სავარაუდოდ, თავადაც ესპანელი უნდა ყოფილიყო.

-მოგეჩვენათ. -არ დავუთმე.

-არა !- არც ის იხევდა უკან. უცებ, წარმოვიდგეინე, არცერთს დაგვეთმო და ბოლოს ხმამაღალ კინკლაობაზეც გადავსულიყავით. გამეცინა. სავარაუდოდ, მანაც იგივე თუ

წარმოიდგინა და მაგიტომ აფხუკუნდა. შეთანხმებული ღიმილით გადავხედეთ. დარბაზში უფრო მაღიმილად იყურებოდნენ საათზე. მე კი ვცდილობდი, არ დამეხედა და შვებით მაშინ ამომესუნთქა, როცა გამოაცხდებდნენ - დღეს ჩვენი შეხვედრა ამით ამოიწურა, გთხოვთ, მიირთვათ ყავა და სასუსნავეები, ან რამე ამდაგვარი. თუმცა, დრო ისე გაიწელა, რომ არა აუზთან ოქტომბრის მაროკოულ მზეს მიფიცხებული გრძელფეხება ქალი, მეგონებოდა, რომ დაღამდა. ბოლოს, ჩემი კუჭი ისე ახმაურდა, მეგონა, ყველას თუ არა, ჩემ გვერდით შავტუხა ესპანელს მაინც ესმოდა. გრძელ სუფრაზე უხვად იდო ადგილობრივი კერძები, ხილი, ტკბილეული. რადგან ყველა ერთად მიაწყდა, განზე დავდექი და დაველოდე პირველი ტალღის დაცხრობას. მოულოდნელად, წინ მეზობელი სრულტანიანი გოგო ამესვეტა და სავსე თეფში გამომიწოდა.

-თქვენთვისაც ავიღე. - ღიმილით ამომხედა ქვემოდან. თეფშს დავხედე, ღიმილით გადავუხადე მადლობა და ხორციანი ბუტერბროდი გადავიღე ჩემს თეფშზე.

-არა, ეს თეფში სულ თქვენია.

-ამდენს ვერ შევჭამ. - მივუგე ცივად.

-შეჭამ. - მიპასუხა ჯიუტად. რატომღაც დავემორჩილე. გამახსენდა წელანდელი შენიშვნა, შეკამათება დამეზარა და თეფში გამოვართვი. ვარდისფერკაბიანი არ იძროდა ადგილიდან, მივხდი, ასე იოლად თავს არ დამანებებდა.

ლაპარაკში აყოლის არანაირი სურვილი მქონდა. თან არ განეკუთვნებოდა იმ ქალებს, რომლებიც მიზიდავდა, - ყველანაირად განსხვავებული ტიპაჟი იყო.

-ანალიზა. - ხელი გამომიწოდა.

-ანტუანი. - მეც რაღა დამრჩენოდა.

-ეგრეც ვიცოდი, რომ ფრანგი იყავით! - მაშინვე მახარა, როგორც კი ჩემი სახელი გაიგო. შემძლია გავუღიმო და ამით დმთავრდეს ყველაფერი, მაგრამ სულმა მძლია და ვკოთხე, როგორ მიხვდა.

-აქცენტი. - მომიგო მშვიდად. რა თქმა უნდა, აქცენტით მიხვდებოდა. აბა, მარსელიოზას ღიღინით არ დვდივარ.

-მე კი მაშნვე მიხვდდი, რომ ესპანელი იყავით. -არც მე დავრჩი ვალში.

-ცდებით, რადგან ესპნური აქცენტი დამკრავს, არ ნიშნავს, რომ ესპანელი ვარ. წინადადების დასრულების მერე თვალი თვალში გამიყარა და ნიშნისმოგებით მოწკურა. ახლა დავაკვირდი მისი თვალის ფერს, თავიდან რომ შავი მეგონა, მუქი ლურჯი აღმოჩნდა. იშვიათი თვალის ფერია, ლამაზი. არ ვიცი, აღვნიშნო ეს ხმამალლა თუ გავჩუმდე. თუ ვეტყვი, ჩათვლის, რომ ვეფლირტავები. მაგრამ სანამ მე ვფიქრობდი, ენამ გამასწრო და

თვალის ფერზე გულწრფელად გამოვხატე ჩემი აღტაცება. არ შეიმჩნია.

-წავიდეთ აქიდან. - მითხრა მოულოდნელად. დავიბენი. ასეთ შემობრუნებას არ ველოდი.

-იქნებ, არ ვარ მარტო. - ამის თქმა-ლა მოვახერხე.

-დაგინახეთ, როგორ შემოხვედით სასტუმროში მარტო. ყოველ შემთხვევაში, აქ მარტო ხართ. ძალიან ბევრი „ევროპა“ ამ ოთახში, ამას ჯობს, ქალაქში გავიდეთ, იქაც უამრავი კერძია - ამაზე ბევრად საინტერესო და გემრიელი. - ამომხედა თავისი მუქი ლურჯი თვალებით.

-ჰა, რას იტყვით?

-რატომაც არა. - მივუგე და მისივე მოწოდებული თეფში იქვე დავდე. განახლებულ მაგიდას დანანებით გავხედე და ვკითხე: - აბა, საით, ანალიზა?

-მეგონა, თქვენ გეცოდინებოდათ. - მომიგო ირონიულად.

-იდეა შენი იყო. შესაბამისად, მეგონა, უკვე გქონდა გეგმა. მე აქ პირველად ვარ, არაფერი ვიცი. თქვენც პირველად ხართ? კითხვაზე არ მიპასუხა, ხელი გამომიწოდა. საპასუხოდ რომ არ

შევაგებე, თავად მოძებნა ჩემი ხელი, ჩამჭიდა და წინ გამიძღვა.
გავყევი .

სასტუმროდან რომ გამოვედით, მხოლოდ მაშინ შედგა, მიიხედ-
მოიხედა და მერე მთელი ტანით შეტრიალდა. -იქით. -თან ხელი
გაიშვირა. -იქით წავიდეთ. - და ამომხედა. მეც თავი დავუქნიე
დასტურის ნიშნად. რატომღაც მომწონდა ეს თამაში.
ოცდაათიოდე წლის აქტიური ახალგაზრდა ქალი.
ბანკომატიდან ფული მოვხსენი და იქვე გადავახურდავე .
გავცდით ლამაზ ქუჩას და ისევ მარაქემის ვიწრო ქუჩებში
ამოვყავით თავი. საღამოს ხუთი საათზე ჯერ კიდევ
დახუთული ჰაერი იყო და ზომიერად ცხელოდა. თავიდან
მდუმარედ მივყვებოდი. ანალიზა ორი ნაბიჯით წინ მისწრებდა.
გუნებაში რამდენიმე ვერსია მქონდა. ერთ-ერთი -
შევჩერდებოდით რომელიმე სახლთან ან პატარა სასტუმროსთან
და მეტყოდა -აი, ჩვენც მოვედით. ამის მაგივრად კი ვიწრო ,
მიხვეულ-მოხვეული ქუჩის ბოლოში ამოვყავით თავი,
საიდანაც დიდი ბაზარი გადაიშალა. მოედნის ის ნაწილი,
საიდანაც მე მოვედი.

-ჰამა არ გაცალე. ჰო და, აქ შევჭამთ გემრიელად.

-აქ? -დავიჰყანე. - საზიზღრობაა! ნახე, არანაირი
ელემენტარული ჰიგიენა და წესების დაცვა, საჭმელს შიშველი
ხელებით აკეთებენ. - მაგალითისთვის იქვე, დახლთან
მივიყვანე, სადაც ხანში შესული ჭრელბურკიანი ქალი შიშველი
ხელებით აბრტყელებდა ცომს ბრტყელ ქვაზე, იქვე ალუმინის
ჯამიდან ამოიღო გაურკვეველი წარმოშობის ცხიმი და

გაბრტყელებულ ცომს მოუსვა რამდენჯერმე, გადაკეცა, კვლავ გააბრტყელა და ცხელ კეცზე დააგდო. იქვე ეწყო გამომცხვარი პურებიც, თუ პური იყო საერთოდ.

-მერე რა. - მომიგო ანალიზამ მშვიდად. შეხედე, ყველა ჭამს: აქურები, ტურისტები. ნუ გეშინია, აქ ხედავ მაინც, რა ხდება. რა გარნტია გაქვს, რომ ძვირფას რესტორნში ვინმეს არ დაუვარდება ძირს ან სუფთა ხელით გააკეთებენ. მე ვიცი, რაც მოგეწონება. - ისევ წინ გავარდა.

-დამაცა, ვერ გეწევი. - მეც ავუჩქარე ფეხს. - არ გინდა, ნელი ნაბიჯებით ვიაროთ. სად გეჩქარება?

-აჰ, არა! ასეთი ჩვევა მაქვს, სწრაფად დავდივარ, სწრაფად ვლაპარაკობ, სწრაფად ვიღებ გადაწყვეტილებას, სწრაფად ვეწევი სიგარეტს... გახსენებაზე გაიღიმა, გადაკიდებული ჩანთიდან კენტი ამოიღო, მოუკიდა და კოლოფი გამომიწოდა.

-არა, არ ვეწევი. - გავასასვსვე ხელი.

მწველი ქალები საშინლად არ მომწონს. მაღიჟენიც ეწევა. მართალია, იშვიათად, მაგრამ ამ დროს მაღიზიანებს მასთან სიახლოვე. ნეტავ, იმასთან თუ ეწევა? მაგალითად, სექსის მერე. უცებ, მივხვდი, რომ ძალიან სულერტი იყო ამ ჟამს მაღიჟენი და მისი ახალგაზრდა საყვარელი. არ მეცალა მათთვის, ანალიზა დახლებს შორის დამარბენინებდა. მალე აღმოვჩნდი კრეპების საცხობთან.

-აბა, ტკბილით დაიწყებ თუ ხორციანით. ვეგეტერიანელი არ ხარ, როგორც მივხვდი.

-რა იცი?

-წელან ხორციანი ბუტერბროდი შეჭამე და მივხვდი. - გამიღიმა.

-დაკვირვებული ხარ, ნიჭერო. - ჩამეცინა.

-კი. ნამდვილად.

ცოტა არ იყოს, მაოცებდა და თავბრუს მახვევდა ეს გოგო. დავყაბულდი შოკოლადიან კრეპებს. სანამ გამყიდველი, ხელის გაწაფული მოძრაობით, კრეპებს აცხობდა, ანალიზას გაცნობა გადვწყვიტე. სახელისა და მისი არაესპანური წარმომავლობის გარდა არაფერი ვიცოდი.

-რამდენი წლის ხარ? - ვკითხე სხვათაშორის. თითქოს არც გაუგია.

-ნახე, რა მარტივად აბზრიალებს ამ კრეპს ჰაერში, მე, მაგალითად, დამივარდებოდა ან დმეწვებოდა. არაფერი მეხერხება. 36 წლის ვარ. -ისე, სხვათაშორის მოაყოლა.

-მე უფრო პატარა მეგონე. -ვერ დავმალე გაოცება.

-ჰო, ვიცი, ყველას პატარა ვგონივარ ჩემი სიმაღლის გამო.

-არა. -ვცადე შეწინააღმდეგება. - სიმაღლე რა შუაშია. უბრალოდ, 36 წლის ქალები სხვანაირები მგონია. მგონი, უფრო ზღაპრით მოძრობენ, სევდიანად ლაპარაკობენ და რამაც არ უნდა გააოცოთ, მაინც არ იმჩნევენ და უფრო უინიციატოები არიან.

გაოცებულმა შემომხედა და თან ჩემი კრეპიც გამომიწოდა.

-საიდან გაქვს ეგ უკუღმართი სტერეოტიპები, ღმერთო ჩემო! - სანამ რამის თქმას მოვასწრებდი, დიდი ლუკმა მოკბიჩა და გემრიელად გაღეჭა. პირი სავსე ქონდა და ტუჩებიც შოკოლადით მოეთხუპნა. ცერა თითით მანიშნა, რომ გემრიელი იყო. მეც მივბაძე ანალიზას და დიდი ლუკმით გამოვიტენე პირი. პირგამოტენილები ერთმანეთს შევყურებდით და გემრიელად ვილუკმებოდით. აღმოვაჩინე, რომ მიხაროდა. დრო ვიხელთე, ცერა თითით ტუჩის კუთხესთან შოკოლადი მოვწმინდე და ხელსაწმენდზე გავიწმინდე.

-ეე, ეგრე კი არ უნდა გექნა! უნდა აგელოკა, ეგრეა ჟანრის კანონის თანახმად. - მითხრა ანალიზამ ღიმილით.

-სად? როგორ? - დავიბენი მისი ასეთი პირდაპირობით.

-ფილმებში, მაგალითად, ასე ხდება, მერე მე გაგილიმებდი და გაკოცებდი. რა ვიცი, ფილმებში ასეა ხოლმე.

-წამოხვალ ჩემთან? - ვკითხე რატომღაც. ოღონდ, არ ვიცი, ეს რომლი ფილმიდანაა. - აი, ამ კითხვას ჩემი თავისაგან საერთოდ არ მოველოდი. არ მომწონს ანალიზასნაირი ქალები და უცებ ჩემთან ასვლას ვთავაზობ. ეს, თავისთავად, სექსს გულისხმობს. სავარაუდოდ პასუხად გაინაზება და უარს მეტყვის. ახივ იქნება ჩემე. სანამ ლუკმას დაღეჭავს და გადაყლაპავს, მე უკვე უარისთვის შევემზადე.

-კი, წამოვალ. - მითხრა მშვიდად. - და საერთოდ, თუ დააკვირდი, უკვე შენთან ვარ და მოგვყვები. რატომ მეკითხები იმას, რაც უკვე ნათელია? - დავიბენი. თვალებით ურნას დავუწყე ძეხნა, რომ კრეპიანი ქალაღდი ჩამეგდო. გამყიდველმა შეამჩნია და გამომართვა. მადლობა გადავუხდე და ჯიბეში ფულის ძეხნა დავიწყე. ვერ ვანალიზებ ანალიზას პასუხს, რა მითხრა, რა იგულისხმა, მე უფრო მარტივ პასუხს ველოდი: "აჰჰ, კი" ან „უი, არა“.

- გადავიხადე უკვე. - მითხრა ანალიზამ და იქვე დააგდო თავისი ქალაღდი.

ძალიანაც კარგი! ვიხეტიანლებთ შებინდებამდე, მერე მე ჩემს ნომერში ავალ , ის თავის სასტუმროში წავა. ხვალაც შევხვდები და მერე სამუდამოდ გაიყრება ჩვენი გზები. ახლა კი მარაქეშში მარტო ხეტიანს ამ უცნაურ ქალთან ერთად ყოფნა ჯობს.

ვფიქრობ და სწრაფი ნაბიჯით მივყვები უკან ქალს, რომელიც სწრაფიად და შეუფერხებლად იკვლევს ბრბოში გზას.

-ჩაი დავლიოთ? -შეჩერდა დიდ სამოვართან, რომლის ქვეშიდანაც ნახშირი ხრჩოლავდა.

-სიამოვნებით, ოღონდ, ერთჯერადი ჭიქით მოვითხოვოთ და არა შუშის. - მუდარასავით გამომივიდა.

-არა! - რა თქმა უნდა, უარი მტკიცა. - შუშის ჭიქაში უფრო გემრიელია. ნუ ღელავ, ჯერ არვინ მოწამლულა ამ ჩაით და დამიჯერე, ბევრად უფრო ბინძური და ჭუჭყიანი ფიქრები ადამიანის თავშია, ვიდრე ამ ჭიქებში.

რა მეთქვა, მართლი იყო . თვალი მაინც მოვავლე იქაურობას. სპილენძის დიდი ჩაის მადულარის გასწვრივ გრძელი მაგიდები იდგა და ადგილობრივები ისხდნენ, საუბრობდნენ და ცხელ პიტნის ჩაის ნება-ნება სვამდნენ. რადგან აქაურები ცოცხლები არიან, ეგებ, მეც გადავრჩე, ვინუგეშე თავი და ცხელი ფინჯანი იქვე გრძელ მაგიდაზე დავდგი, რომლზეც თეთრ წითელი კუბოკრული მუშამბაა გადაეფარებინათ.

პირისპირ დავსხედით. ანალიზა გაღიმებული მიყურებს, მე ჩაფიქრებული ვარ. ჩაი მართლა გემრიელია, სხვანაირად არომატული. ანალიზა უკვე მერამდენე ღერს ეწევა, არ ვიცი. რატომღაც, არ მაღიზიანებს. ისე გემრიელად ექაჩება, მეც მომიინდა ვცადო, მაგრამ რომ ვერ ვეწევი? მაშინვე სპაზმი მეწყება

და მახველებს. თითქოს მიხვდა, რომ მის სიგარეტზე ვფიქრობდი და გამომიწოდა.

-არა. ვერ ვეწევი, მაშინვე სპაზმები მეწყება და მახველებს. -უკვე ხმამალლა ვთქვი გაფიქრებული. მოწევა და ნაფაზი არფერ შუაშია. მგონი, უფრო ბავშვობის ტრავმაა, რომლის გახსენებაზეც ვიგუდები.

უცებ, გულის გადაშლა მომინდა.

-უცნაური ისტორიაა...

მომიყევი! - გასცა ბრძანება.

-არავისთვის მომიყოლია, ან ახლა რატომ მომინდა ამის გახსენება, არ ვიცი. - ვცადე თავის მართლებას.

- მაროკოა ეს. აქ ყველაფერი სხვანაირადაა მოწყობილი, - ფიქრები, სურვილები რეალობად იქცევა, დამალულ ისტორიებს ნათელი ეფინება, წყენებს - პატიება, წარსულს - დავიწყება. - ამას რომ ამბობდა, სადღაც შორს იყურებოდა ანალიზა. მივხვდი, უფრო თავისთვის ამბობდა და არა ჩემთვის. ისიც ვიგრძენი, ერთი შეხედვით ავანტიურისტი ქალის უკან რაღაც დიდი ტკივილი იდგა. თითქოს რაღაცას გაურბოდა და ამავე დროს, სახეზე აფარებულ სულერთია ნიღაბს მშვენვრად იხდენდა. თავს შევატყვე, რომ უკვე მომწონდა ეს პატარა

ტანსრული შავტუხა, ულამაზესი, სიშავეში გადასული ლურჯი თვლებით, სადაც უთქმელად ჩანდა მისი ემოცია. მომწონდა მისი აქტიურობა, თავდაჯერებულობა. საქმიანი, სწრაფი სიარული, გამუდმებით სიგარეტის ხელში ჭერის მანერაც. მგონი, ერთადერთი მწვეელი ქალი იყო ანალიზა, რომელიც მომეწონა, თამბაქოს სუნიც კი მსიამოვნებდა, რომლიც თან დაყვებოდა. უცებ, საოცრად მომინდა მისი სურნლი შემეყნოსა, კანის სინაზე მეგრძნო, თმებში ხელი შემეცურებინა და მერე დიდხანს, თავბრუსხვევამდე, თვალებში მეცქირა. გამოსაფხიზლებლად თავი გავაქნიე და რეალობას რომ დავბრუნებოდი. ამაოდ. პირიქით, უფრო მიცხოველდებოდა ლტოლვა. ჩემი პრაგმატული „მე“ დასცინოდა ამ ამჩატებას. რეალურად არც კი მომწონდა ეს პატარა ქალი, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, მაგნიტივით მიზიდავდა. ვგრძნობდი, მზად ვიყავი, მთელი დღე ასე კუდში მედევნა, მასთან ერთად მეჭამა საეჭვო საკვები, ყველა კუთხეში მესვა ჩაი და დრო გამეწელა, რომ დიდხანს, დაუსრულებლად ყოფილიყო ჩემთან. თითქოს, წარსული გაუჩინარდა, ყველა ტკივილი მოშუშდა, ყველა დარდი და წყენა უმნიშვნლო გახდა. სრული სიცხადით შვიგრძენი, რომ მხოლოდ არსებული წამი მაცოცხლებდა და სულერთი გახდა, - რა იყო გუშინ, რა იქნებოდა ხვალ, ვინ იყო ირგვლივ... მთავარი იყო ანალიზა, ჩემ წინ, გრძელ მაგიდასთან მჯდომი. ახალდაყენებულ, სურნელოვან პიტნის ჩაის ვსვამდით და ღრმად ვისუნთავდი მისი ფილტვებიდან ამოსული თამბაქოს საძულველ კვამლს. თავი ხელში ავიყვანე, დავძლიე მოწოლილი სურვილები და ძველ თემას მივუბრუნდი: -მაშ ასე, გაინტერესებდა, რატომ ვერ ვეწევი.

-ჰო, მაინტერესებს. ხომ არ დავამატო ჩაი? - არც დალოდებია ჩემს პასუხს, შეტრიალდა და მიმტანს ხელი დაუქნია, კვლავ შუკვეთა ჩაის პორცია, სახე ხელებს ჩამოაყრდნო და მოსასმენად მოემზადა.

მეც მოვემზადე, გამეხსენებინა ის, რასაც ამდენი წელი საგულდაგულოდ ვმალავდი საკუთარი თავისგანაც კი და არასდროს არავისთვის მომიყოლია. მგონი, ასე არ ხდება, - რამდენიმე საათის წინ გაცნობილ ადამიანებს არ უყვებიან ყველაზე უსიამო მოგონებებს. იქნებ, ჩაის ბრალი იყო ან მაროკოსი ან ყველაფრის ერთად, არ ვიცი... და გულწრფელად რომ ვთქვა, არც მაინტერესებდა!

დედისერთა ვიყავი 8 წლამდე. კვირა დღეს, ლიონში, მამისეულ სახლში, სტუმრები იკრიბებოდნენ. სასადილო ოთახში დიდი, საუკუნეების წინანდელი მუხის მასიური მაგიდა გვედგა, რომელზეც ბებიაჩემის მოქარგული ბატისტის გრძელი სუფრა იყო გადაფარებული. მაგიდის ფეხებზე ამოჩუქურთმებული იყო ნადირობის სცენები, მონადირეები, ქალები -ნანადირევის მზადებისას, ბავშვები - ცეცხლთან, დაჭრილი ქორბუდა ირემი... დღემდე მახსოვს ამ ირმის სახე, მონადირეების გამომეტყველება. ფიგურები ზედმეტად ვირტუოზულად იყო შესრულებული. თითქოს, მელაპარაკებოდენ, მიყვებოდნენ იმ დღის ამბავს, - რვა მონადირემ როგორ დახოცა ტახი, ირემი, მელა, ხოხობი და მწყერი... მიყვარდა მაგიდის ქვეშ ჯდომა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სტუმრები გვყავდა. მაგიდა თხუთეტიოდე კაცს იტევდა. სტუმრიანობისას ჩემთვის არავის ეცალა, არც მაგიდასთან მქონდა ადგილი. მე კიდევ ძალიან

მაინტერესებდა, რაზე საუბრობდნენ. ხეტიალი და ქვების სროლა მოხეზრებული მქონდა, არც ჩემი ტოლა მეგობრები მყვდა და არც სტუმრებს მოჰყავდათ ბავშვები, რომ მათთან მეთამაშა. თან, გვიანი ვახშმის დროს ადრე მიშვებდნენ დასაძინებლად. სანამ ჩემი მშობლები გართულები იყვნენ სტუმრების მიღებით, მისაღებ ოთახში შევიპარე და მაგიდის ქვეშ შევძვერი. თუ ვინმე სპეციალურად არ აწევდა სუფრას, წარმოუდგენელი იყო ჩემი შემჩნევა. ფეხსაცმელებით, ტანსაცმლით, ხმითაც კი ყველას ვცნობდი, იმიტომ რომ სულ ერთი და იგივე ხალხი იყრიდა თავს. ძია ბერნარდი თავისი ცოლი მიშელით, ეტიენი და მისი ძმა ჟერარდი, დედაჩემი და მამაჩემი. ასევე, მიფილდა, ჩვენი შორული ნათესავი ახალგაზრდა გოგონა - ლამაზი, თხელი და ძლიან მორცხვი, სულ თავჩაღუნული საუბრობდა და კითხვებზე პასუხის გაცემისას სახე უწითლდებოდა, ეკლესიის წინამძღვარი მამა მიქაელი, დედაჩემის რამდენიმე დაქალი ამავე მრევლიდან, მამაჩემის თანამშრომლები და მეგობრები. ყველას საკუთარი ადგილი ქონდა, არავის მოსდიოდა აზრად სხვა სკამზე დამჯდარიყო. მამა სუფრის თავში იჯდა, დედა მის გვერდით, მერე სხვები. მე - მაგიდის ქვეშ შემძვრალი, ჩემს სამყაროში, სადაც მხოლოდ ფეხები და ფეხსაცმელები იყო. მესმოდა ვერცხლის დანა-ჩანგლის ჟღარუნნი, მძიმე თეფშების დადების ხმა, გადალაპარაკებები, შემახილები, აქტუალური თემის განხილვები... მამაჩემის კოლეგა მუსიე ეტვუდს მუდამ უვარდებოდა ლუკმა, წაიძრობდა ფეხსაცმელს, დაკემსილწინდიანი ფეხით მთელი ვახშამის განმავლობაში ეძებდა დავარდნილ საკვებს და როგორც კი მიაგნებდა, წინ წაჰკრავდა. შეაბამისად, ვერავინ ეჭვობდა, რომ ძირს დაგდებული ლუკმა მისი იყო. ზოგი თემა უინტერესო იყო,

სულიან დედაკაცად, რომლიც, ალბათ, სულაც არ დაბაბდებულა ასეთად. იგი დრომ აქცია მექნიკურ ადამიანად, დახშული განცდებითა და გრძნობებით. აღარც უმცროსი და მახსოვდა, არაფერი მესმოდა, ყურები დაგუბებული მქონდა, მხოლოდ რაღაც წუოდა, შრიალებდა თავში, როგორც გაფუჭებულ რადიომიმღებში. მდინარეზე ჩავედი, გამდინარე წყალში შევედი ჯერ მუხლამდე, მერე - წელამდე. ცივი იყო წყალი, მაგრამ ვერ ვგრძნობდი. მინდოდა, სხეულში დაბუდებული ყველა ტკივილი და შხამიანი თესლი გამდინარე წყლისათვის გამეტანებინა. როდემდე ვიდექი ასე, არ ვიცი. თავს ძლივს ვიკავებდი, უფრო ღრმად არ შევსულიყავი მდინარეში და წყლისთვის მიმეცა თავი. მინდოდა, მეც წყალში გავზავებულიყავი, გავმქრალიყავი და აღარ ვყოფილიყავი... ვერ გავბედე! არადა, რამდენიმე ნაბიჯი დაასრულებდა თავს დამტყდარ ჯოჯოხეთს... ვიდექი დიდხანს. ბოლოს, აკანკალებული და გათოშილი ამოვედი ნაპირზე. ვცდილობდი დამეჯერებინა, რომ ეს ყველაფერი სიზმარი იყო და მეტი არაფერი. დღის მეორე ნახევარში თავი დავარწმუნე კიდევ, მალე მშობლები დაბრუნდებოდნენ და ყველაფერი დასრულდებოდა, არასდროს განმეორდებოდა ეს და მე დავივიწყებდი... მე შევძლებდი! შეიძლება ეს ადათ- წესიც იყო და ამაზე არავინ ლაპარაკობდა... არ ვიცი... ასე ვარწმუნებდი ჩემს თავს, ვაჯერებდი, რომ უბრალოდ სიზმარი იყო, აბდულას მოვერიდებოდი, ეს ყველაფერი გაივლიდა, რომ, რომ, რომ... მთელი დღე მუხლჩაუხრელად ვსაქმიანობდი დედ-მამის მოსვლამდე. საღმოსაკენ გამოჩნდნენ. დედა გაჭირვებით მოდიოდა, მამა წინ მოუძლოდა. გავიქეცი და დედას ჩავეხუტე. ამ სასტიკ ხალხში ახლა მხოლოდ ეს ავადმყოფი, დაუძლურებული, უტყვი, ნებააყრილი ქალი იყო ჩემი კედელი

და მის გარდა არავის იმედი არ უნდა მქონოდა. დედა მოვიდა თუ არა, დაწვა, ძალიან სუსტად იყო. სახლში ისედაც ბევრი საქმე იყო და ახლა გამიორმაგდა, თუმცა ამას არ ვდარდობდი, რაც უფრო ვიღლებოდი, უფრო ნაკლები დრო მქონდა ფიქრისთვის. გავიდა დრო, ალბათ, სამიოდე კვირა, ყველაფერი თითქოს ძველ კალაპოტში დაბრუნდა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა. ის დღეები, როცა აბდულა არ იყო სახლში, უფრო ლაღი ვიყავი, თავისუფალი, როცა გამოჩნდებოდა, ვიძაბებოდი, ვცდილობდი, თავშალში დავმალულიყავი. ისე მემოძრავა, ნაკლებად მოვხვედროდი თვალში. დედა უკეთ ხდებოდა და ნელ-ნელა მეხმარებოდა კიდევ. მეგონა, ეს ყველაფერი დასრულდა, მაგრამ დაიწყო მეორე ჯოჯოხეთის გზა... რომ მცოდნონდა, ცხოვრება რას მიმზადებდა, ალბათ, იმ დღეს აუცილებლად მივცემდი თავს მდინარეს ან, ან... დღემდე, სიზმრებში მაინც არ მანებებს თავს ეს უბედურება: როგორ მაფარებს ცხვირ-პირზე ვიღაც ხელს და როგორ მაწვება სიმძიმე, როგორ ვიგუდები და ვვარდები სადღაც ქვმოთ, უფსკრულში... გულგახეთქილი ვიღვიძებ და ვაცნობიერებ, რომ სიზმარია, უკვე მხოლოდ სიზმარი, რომელიც თანდათან იშვიათად მესიზმრება...

-უკვე ოქტომბერი იყო. -ამოიოხრა ანალიზამ. - გომურში თხების მიხედვა და მათი მოწველა დამიგვიანდა. სახლში ყველა ნავახშიმი იყო და დასწოლად ემზადებოდა. სათლი ავიღე და თხებთან შევედი. ჭრაქს მოვუკიდე, დავჯექი და მოწველას შევუდექი. მახსოვს, ვლიღნებდი კიდევ, რაღაც ძველ სიმღერას, რომელსაც დედა მიმღეროდა ბავშვობაში. კარის ჭრიალმა შემაკრთო. მივიხედე. ჰუსეინი იყო, ჩემი მეორე ძმა, წველა გავაგრძელე. მოვიდა და ცხვირწინ დამიდგა, არ იძროდა. ავხედე. იდგა და მიყურებდა, ვერ მივხვდი, რა უნდოდა. უცებ, ფეხი ჰკრა რძით სავსე სათლს

და და წამიქცია, მე კიდევ ყელში მწვდა და კედელთან ამაყუდა, ძალიან ძლიერი იყო ის ნაგავი! ვერ ვხვდებოდი, რა დავაშავე. ენა ჩამივარდა მუცელში, დაკვივლებაც კი ვერ მოვასწარი.

-შე ძაღლის გავარდნილო და ოჯახის შემარცხვენელო! არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა ამ სახლში! -ზიზღით გამოსცრა. ხელი მკრა და გამიშვა, ჩავისუნთქე. - დავიჯერო, აბდულამ უთხრა რამე? შეიძლება, დაინახა კიდევ, მაგრამ მაშინ ამდენი ხანი რატომ იყო ჩუმად? არ ვიცი... ცალკე სირცხვილი, ცალკე სიბრაზე მახრჩობდა, თავი რაზე უნდა მემერთლებინა? იმაზე, რომ საკუთარმა პირუტყვმა ძმამ ძალა იხმარა, გამანადგურა და შემარცხვინა? რომ გავჩუმდი? იქნებ, უნდა მომეყოლა? სანამ ამ ყველაფერს ვიაზრებდი, კარებისკენ მიბრუნებული ჰუსეინი მოტრიალდა, ჩემკენ გადმოდგა რმდენიმე ნაბიჯი და და ხელუკულმა გამცხო სილა. თავი ვერ შევიკავე და წავიქეცი. თხები დაფრთხნენ, აკიკინდნენ და ერთ კუთხეში მიიყუქნენ. თითქოს, ყველაფერი შენელდა, დრო უსასრულოდ გაიწელა, ან გაქვავდა. თვალთ დამიბნელდა, მაგრამ მთელი ტანით ვგრძნობდი, როგორ დამაწვა ჰუსეინი, კაბა ამხადა... გონებაც არ დამიკარგავს, არც ვტიროდი, გაქვავებული ველოდებოდი ამ ყველაფრის გათავებას. არ მახსოვს, როდის მოვახერხე განძრევა. ჩანასახვიით მოვიკუნტე თივაში. დიდხანს ვეგდე თივასა და თხის კურკლში, მერე შეხება ვიგრძენი, მიხედვის თავი არ მქონდა. სულერთი იყო, ვინ მეხებოდა, თხა თუ ვინმე სულიერი. დედის დაუნჩხული ხელების შეხება ვიცანი. იქვე ჩამომიჯდა და ჩემი თავი კალთაში ჩაიდო, ძლიერად ჩამიხუტა. მისი გაბერილი მუცლიდან ცოცხალი არსება მირტყამდა ფეხებს, მის ადგილას მომინდა ყოფნა. საკუთარ თავზე მეტად ის შემეცოდა და ალაჰს შევთხოვე, გოგოდ არ დაბადებულიყო! ვერ

ვტიროდი, თვალგაშტერებული ვეგდე, დედა თავზე ხელს მისვამდა და რალაცას მეღეპარაკებოდა მშვიდად, წყნარად. ხმა ისე შორიდან მესმოდა, თითქოს, მართლა მის წიაღში ვიყავი. ბოლოს, როგორც იქნა, გავარჩიე დედის სიტყვები: უნდა მოითმინო, სხვა გზა არაა, უნდა გაჩუმდე, ეს ჩვენი ხვედრია, არაუშავს, შენ ალბათ ვეღარ გათხოვდები, მაგრამ ამ სახლში მდგომარეობის გაუმჯობესება ეგებ შეძლო... ჩვენთან იქნები, მე მომეხმარები, მოითმინე, მოითმინე და შეეგუე, ეს არის მხოლოდ გამოსავალი, სხვანირად ვერ გაძლებ, ვერ გადაიტან. როგორც კი ეს სიტყვები გავიაზრე, კალთიდან თავი ავწიე და დედაჩემს თვალებში ჩავხედე. „ჩემი იმედი“... ჰმ! აუხსენელი ზიზილი ვიგრძენი ამ ქალის მიმართაც. ის კედელიც ჩამოინგრა, ვისი იმედიც მქონდა, ვისი წიაღიდანაც ვიშვი, იმანაც მოითმინე და შეეგუეო! გესმის?! - ანალიზამ ფარდაგს თვალი მოაცილა და ამომხედა.

- დედები ამას არ ეუბნებიან შვილებს! ერთი სიტყვა არ უთქვამს, რომ მე ცოდო ვარ, შვილები არ დაუდანაშაულებია, არ უთანაგრძენია, მხოლოდ დამარიგა და მოთმენა მირჩია! მიღალატა! გესმის? მიღალატა! ... დედები არ ღალატობენ შვილებს, არა! - წამოიყვირა ანალიზამ.

გაქვავებული ვიყავი. გვიან-გვიან ვიაზრებდი მის მონაყოლს, მინდოდა გადავმჯდარიყავი მასთან და გულში ჩამეკრა, თავზე მოვფერებოდი და მეთქვა, შემეფიცა, რომ მე მას არასდროს ვუღალატებდი! არ ვატკენდი გულს! შეეძლო ჩემი იმედი ჰქონოდა და არც სხვას არ მივცემდი მისი დაჩაგვრის უფლებას. ანალიზა ტიროდა. იჯდა წელში გამართული და

ფეხმორთხმული, ორივე თვალიდან კი მსხვილი ცრმლები ღვარ-ღვარად მოსდიოდა. წამოვდექი, რომ მის გვერდით გადავსულიყავი. გაშლილი ხელი წინ შემაგება.

-არა! არ მოხვიდე ჩემთან, მარტო უნდა მოგიყვე. არ ჩამეხუტო ახლა, ასე მირჩვნი, ვიღაცას უნდა გავუმხილო ის, რაც აქამდე არ მითქვამს, ჩემში დავფალი. წლებია, მიწა დავაყარე და მეგონა, გავაქრე შეიმას წარსული, მაგრამ არა! სანამ ისევ არ მივალ იქ, სადაც სამუდამოდ დავმარხე ჩემი წილი სიმშვიდე, ვერ მოვისვენებ. სანამ ჩემს ძმებს არ ჩავხედავ თვალებში, არ დამანებებს თავს შეიმა - საწყალი, პატარა, გაუბედურებული ბავშვი, რომელიც ყველამ გაწირა, საკუთარმა დედამაც კი. დედამ, რომელმაც სთხოვა, შეაპარა, რომ მოეთმინა, არ ანუგეშა... არა და, როგორ მჭრდებოდა თბილი სიტყვა იმ ღამეს, როგორ მინდოდა, ვინმეს აუცილებლად ეთქვა ჩემი ძმების საქციელზე, მან კი მოითმინეო...

ამასობაში, ჩილიმში ნახშირი ჩამწვარიყო. მინდოდა, დამეძახა ბიჭისთვის, რომ თავიდან დაედო ნახშირი. ანალიზა მიხვდა, რასაც ვაპირებდი და კვლავ შემაჩერა.

- არ გინდა, გთხოვ ! არ მინდა, ვინმე ვიხილო ახლა აქ შენ გარდა, თუნდაც მიმტანი. გთხოვ, მომისმინე და არ შემაწყვეტინო, რასაც გაიგებ. ხელს ნუ შემიშლი, გავაგრძელო თხრობა. მინდა, ამოვიღო ეს ყველაფერი ჩემგან, რომ გავთავისუფლდე. უნდა ამოვცარიელდე, ველარ ვერევი. ეს ყველაფერი მამძიმებს და მიმაქანებს ჯოჯოხეთისაკენ...

ისევ ჩემს ადგილს დავუბრუნდი. ამჯერად, ანალიზამ სამზერ წერტილად ჩილიმი აირჩია, მას მიაშტერდა. სახე ორივე ხელით მოიწმინდა და გაკვირვებულმა დახედა სველ თითებს, მერე მომუშტა, შუბლი შეკრა, ამოიოხრა და განაგრძო.

- მივხვდი, აქ აღარ მეცხოვრებოდა ძმებისგან შეურაცხყოფილს, დედისგან დაუცველს, უპატრონოს. მალე მამაჩემის ყურამდეც მივიდოდა. მაშინ არ ვიცი, რა მოხდებოდა, ან ყელს გამომჭრიდა, საქვეყნოდ შემარცხვენელს ან უარესი, ისიც მომაკითხავდა ძმებივით. - მწარედ ჩაიცინა ამ სიტყვების წარმოთქმისას.

- არაფერი მებადა, მხოლოდ ჩემი გაუბედურებული თავი. ის ღამე გომურში გავათენე, დილას კი ვითომც არაფერი, მოვამთავრე საქმეები, გამოვგავე სახლი, დავადგი საჭმელი. ამასობაში, მორამ დაიძინა, ჩემმა უმცროსმა დამ, დედა ხალიჩის საქსოვს მიუჯდა. ერთი მახსოვს, დანანებით დავხედე მძინარე მორას და გავიფიქრე, ათი წელი მაინც იქნებოდა დაცული იმ ყველაფრისაგან, რაც მე გავიარე. სახლიდან უჩუმრად გავედი. ყოველი შემთხვევისათვის, სპილენძის სურა ავიღე, ვითომ წყლის მოსატანად. მდინარეზე ჩავირბინე, სურა ბუჩქებში მივაგდე და წყალს თავქვე ჩავუყვევი. ჩემგან განსხვავებით, მდინარემ ყოველთვის იცის, საით წავიდეს, მივინდე.

მთელი დღე ვიარე, არავინ შემხვედრია. ღამე ზეთისხილის ხის ძირას გავათენე. მშობოდა, საჭმელი არ მქონდა, არც სასმელი,

მდინარის წყალს ვსვამდი. სახლიდან საჭმლის წამოღება აღარ მომაფიქრდა. ღამე ძალიან აცივდა, ვერ ვიძინებდი, ხის ფესვებში ვიყავი შეყუჟული. გამთენიისას ღამის გავიყინე და იძულებული გავხდი, გზა გამეგრძელებინა. ისევ მდინარეს გავუყევი. სად მივდიოდი, არ ვიცოდი. რაც უფრო ვშორდებოდი სახლს, სოფელს, მით უფრო მიძლიერდებოდა სიძულვილი, რომელიც მაიძულებდა, არ დევარდნილიყავი, არ დავნებებულიყავი. ალბათ, უკვე მეძებდნენ. საერთოდ არ მადარდებდა, ვინ რას განიცდიდა, ან რატომ უნდა მეფიქრა ამაზე? არც შიმშილი, არც სიცხე, არც დაღლა, არც სიცივე მაშინებდა, მხოლოდ სიძულვილი მაძლებინებდა. თანდათან დროის სათვალავი ამერია, ვჭამდი ხილს, ბოლქვებს, დუყ ფოთლებს, სოფლებს ვერიდებოდი, გამოვიფიტე, გადავიქანცე. რამდენიმე დღის შემდეგ რაღაც დასახლებას მივუახლოვდი. აღარც სხვა გზა მქონდა და იძულებული ვიყავი, გვერდი არ ამეარა. შიშით გავუყევი ქუჩებს. შეძლება, აქ უკვე იყვნენ ჩემები. ისიც არ ვიცოდი, რა სოფელი იყო. რომც მეკითხა, სახელი მაინც არაფერს მეტყოდა, რადგან აქამდე ჩემს სოფელსაც კი არ ვიყავი გაცდენილი. ბაზართან აღმოვჩნდი. ჯერ ადრიანი დილა იყო, ხალხი კანტი -კუნტად დადიოდა, მაგრამ მაინც ფრთხილად ვიყავი, რათა ვინმეს თვალში არ მოვხვედროდი. დახლებიდან რაიმეს აწაპნვაში დახელოვნებული არ ვიყავი და ვერც ვბედავდი. ვინმეს რომ დავეჭირე, შარიათის კანონის სიმკაცრით დამსჯიდნენ ადგილზევე. ამიტომ მისავათეხული დავდიოდი და მშიერი შევყურებდი ხილს, ჩირს, საჭმელს... სასადილოს წინ ღონემიხდილი ჩამოვჯექი და გამოსულ საჭმელის სუნს ღრმად ვისუნთქავდი. ვერც მათხოვრობას ვბედავდი. იქვე, მზეზე გაწოლილი ძაღლისაც კი მშურდა, რომელიც რაღაცას ღრღნიდა. არ მახსოვს, რამდენი დრო გავიდა, ან რატომ არ ვიცვლიდი

ფებს. თავშალჩამოზურული და ღონემიხდილი ვიჯექი. უკვე მწველი მზეც გადასული იყო, სასადილოდან ვილაც ქალი გამოვიდა და მომიახლოვდა. ახალგაზრდა იყო, ხელში ხონჩა ეჭირა. მომიახლოვდა, ჩაიმუხლა და წინ წვნიანით სავსე ჯამი დამიდგა. ელვის უსწრაფესად მოვხვრიპე, ხელები მიკანკალებდა მღელვარებისა და შიმშლისაგან. მადლიერმა ავხედე, ქალს სახე მოელუშა და შეშფოთებული წამოდგა. მერე ჩემთვის გაუგებარ ენაზე ხმამაღლა რაღაც დაიძახა. სასადილოდან კაცი გამოვიდა, ჩვენებურს არ ჰგავდა. სუფთად ეცვა, ხაკისფერი პერანგი და ფარფლებიანი ქუდი მომხვდა თვალში, ყელზე რაღაც ეკიდა, თურმე, ფოტოაპარატი, - ჩაეცინა ანალიზას. ქალი რაღაცას ელაპარაკებოდა და მალი-მალ ჩემკენ იყურებოდა. კაცი მომიახლოვდა. დამფრთხალი თვალებით გასაქცევს ვეძებდი. თავბედს ვიწყევლიდი, აქ რომ გავჩერდი. არ მესმოდა, რას ლაპარაკობდნენ. კაცი დაკვირვებით მათვალიერებდა. თავი გააქნია. ქალი მომიახლოვდა და კვლავ ჩემ წინ ჩაიმუხლა, ნიკაპზე ხელი მომკიდა და სახე ამიწია. სასოწარკვეთილი მზერით თვალი გავუსწორე.

-ვინ გიქნა ეს ყველაფერი? - მკითხა ქალმა, რომელსაც, მერე გავიგე, ალაილა ერქვა.

-მამამ და ძმებმა. - ჩავიჩურჩულე. მაშინ რა ვიცოდი, რომ ყველაფერი სახეზე მეწერა. ამას მაშინ მივხვდი, როდესაც ალაილას ოთახში აღმოვჩნდი და სარკეში ჩავიხედე. ჩალურჯებული თვალები, გადატყავებული ნიკაპი, გახეთქილი ტუჩის კუთხე... ალაილამ აბაზანაში შემიყვანა, გახდაში მომეხმარა. ჩემი ძველი, მტვრიანი ტანსაცმელი კუთხეში მიყარა

და წყლით სავსე ვარცლისკენ მიმითითა. შეშინებულმა შევხედე, გაქვავებული იდგა და მიყურებდა. ახლა სხეულზე დავიხედე, რომელიც სახეს არ ჩამორჩებოდა ნახეთქებითა და სილურჯეებით. ალაილა დაბანაში მომეხმარა, გამამშრალა და სუფთა ტანისამოსი მომაწოდა. ჩავიცვი და ოთახში დამფრთხალი გავედი. ჩამოვჯექი და ოთახის თვლიერება დავიწყე. შიშს უკვე ნაკლებად ვგრძნობდი, ნდობისა და მაღლიერების გრძნობაც გამიჩნდა, მაგრამ კარის საკეტის ხმაზე გული მაინც გადამიცვიდა და ფეხზე წამოვვარდი. ალაილა იყო, კვლავ დიდი ხონჩითა და საჭმელებით. ძირს დამილაგა ყველაფერი, თავზე ხელი გადამისვა და ჭამეო, თბილად მთხოვა. ნურაფრის გეშინია, ამ ოთახში შეგიძლია დაიძინო, ლოგინისკენ მიმითითა. ძალიან დაღლილი ვიყავი, მაგრამ ვერ დავიძინე. ეჭვებმა, შიშმა, უნდობლობამ კვლავ თავი წამოყო. ბოლოს, თავი იმით დავიმშვიდე, რომ იმაზე უარესი რა უნდა გაეკეთებინათ ამ უცხო ადამიანებს ჩემთვის, რაც ჩემმა ოჯახმა გამიკეთა? იმაზე საშინელი რა მელოდებოდა წინ, რაც უკვე გამოვიარე? თურმე, სად ვიყავი...

რამდენიმე დღე მომიწია გაჩერება ქალაქ ელ ფარეში, ასე ერქვა ამ ქალაქს, რომელთანაც მდინარემ მომიყვანა. ალაილა იმ უცხოელი კაცის ცოლი იყო და აქ ქმარს წამოყოლოდა საქმეებზე. რამდენიმე დღეში ტოვებდნენ ქალაქს. მუდარით ვთხოვე, რომ თან წავეყვანე! თუნდაც მერე დავეტოვებინე სადმე, ოღონდ შორს, რაც შეიძლება შორს წავსულიყავი ამ ადგილებიდან, რადგან არც ისე შორი იყო ჩემს სოფლამდე. სხვა დიდ დასახლებულ პუნქტამდე კი უდაბნო, უკაცრიელი გზები და სახიფათო სოფლები უნდა გამევილო. ალაილას არ გამოუკითხავს დაწვრილებით, თუ რა გადამხდა თავს, მაგრამ,

ცხადი იყო, ყველაფერს კარგად მიხვდა. არ სურდა, დავეტანჯე ამ ჯოჯოხეთის გახსენებითა და მოყოლით. სახელზე მალამოს მადებდა და სხვა თემებზე მელაპარაკებოდა. მარტო ვიყავით მისი ქმარი რამდენიმე დღე არც მინახავს.

ბოლო ღამე ელ ფარეში. ვიცოდი, რომ დილას ადრიანად მიდიდოდნენ მარაქეშში. ვახშამი შემოიტანა ალაილამ, ხონჩას ზედაც არ დავხედე, მუხლებში ჩავუვარდი და შევეხვეწე, რომ მეც თან წავეყვანე. ალაილა დაიხარა და თავზე ხელი გადამისვა.

- აბა, რას ვიზამ, პატარა გოგო, აბა, რას ვიზამ? მე შენ აქ არ დაგტოვებ. აქედან მარაქეშში ჩავალთ, იქ კიდევ რამეს მოვიფიქრებთ.

ნუთუ, მომესმა? ვერ ვიჯერებდი ნუთუ მართლა დავალწევდი თავს ამ დაწყევლილ მხარეს? მღელვარების გამო მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე. უთენია ალაილამ ოთახის კარი შემოაღო, გავდივართო, შემომღიმა და სწრაფად გამატარა ვიწრო დერეფანი. მანქანის საბარგულში მომათავსეს, გული ამოვარდნაზე მქონდა. სანამ მანქანა არ დაიძრა, ვერ დავმშვიდდი. გზას ვერ ვხედავდი, სად მივდიოდით, მერე ჩამეძინა, ვჩერდებოდით პატარა ფუნდუკებთან წყლისა და საჭმლისთვის. მე მანქანიდან არ გადავდიოდი, რადგან უსაბუთო ვიყავი. მხოლოდ ღამით, სიბნელეში, როდესაც გზაზე მოძრაობაც არ იყო, მაშინ გავბედე. დღეების სათვალავი ისევ არეული მქონდა. თითქოს დავმშვიდდი, მაგრამ ძილი კვლავ კომმარული მქონდა. ჯერ კიდევ ნედლი იყო ჩემს თავს დატრიალებული უბედურება და სიზმარში მთელი სიცხადით

ვხედავდი, ვგრძნობდი, როგორ მაფარებდა ვიღაც პირზე ხელს, როგორ მაწვებოდა გულ -მუცელზე და მგუდავდა...

ჩვენი ბოლო გაჩერება მარაქეში იყო. სახლი, რომელშიც გავჩერდით, ახალი აშენებული იყო, ეზო - პალმებითა და ხეებით გამწვანებული, ათასფერი ყვავილებით გადაპენტილი. ალაილას ქმარი ესპნელი იყო, არქეოლოგიის ინსტიტუტიდან მივლინებული მაროკოში, სადაც გაიცნო თავისი მასპინძლის ქალიშვილი და მალევე მოიყვანა ცოლად. ძირითადად ესპანეთში -მალაგაში ცხოვრობდნენ და ხშირად სტუმრობდნენ მაროკოს. ახლაც მორიგ სამუშაო ვიზიტზე იყვნენ ჩამოსულები ელ ფარეში, სადაც მე გადამაწყდნენ. ხანდახან მგონია, რომ სამყარომ თითქოს მომიბოდიშა ამ ადამიანების სახით, რადგან არ ვიცი, როგორ გაგრძელდებოდა და დასრულდებოდა ყველაფერი, რომ არა ალაილა და დონ დიეგო დიასი. გეგმაში ჰქონდათ, მეც თან წავეყვანე ესპანეთში, მათთან ერთად მეცხოვრა, მიმელო განათლება და სრულფასოვან ადამიანად შევმდგარიყავი. მაგრამ ეს ყველაფერი მას მერე, როგორც კი საბუთებს გამიკეთებდნენ. ეს კი საკმაოდ რთული საქმე იყო. სამწუხაროდ, დროში გაწელილიც, ამიტომ მოგვიწია გაურკვეველი დროით მარაქეში დაბინავება. სახლში, ძირითადად, მე და ალაილა ვიყავით. თუ რაიმე საქმე გამოუჩნდებოდა, მხოლოდ მაშინ გამოვდიოდი გარეთ. ქუჩაში ვფრთხილობდი, სახეს თავსაბურავში ვმაღავდი, რომ შემთხვევით ვინმე ნაცნობს არ გადავმწყდომოდი. სანამ ამ ქვეყანაში ვიქნებოდი, ჩემი სიმშვიდე წარმოუდგენელი იყო. წარსული მაინც მაშინებდა და თან დამყვებოდა აჩრდილივით. მიუხედავად ამისა, თანდათან ცოტათი მიბრუნდებოდა ძველი ხალისი, ადამიანების მიმართ ნდობა. ვცდილობდი,

დავხმარებოდი ალაილას ყველაფერში, ის, თავის მხრივ, ინტენსიურად მამეცადინებდა ესპანური ენის შესწავლაში, რომელსაც საკმოდ ადვილად ვითვისებდი.

თითქმის ხუთი თვე სრულდებოდა, რაც მარაქეშში ვიყავით. ქუჩებში უკვე უშიშრად გავდიოდი. ვიცოდი, რომ სახლიდან ასეულობით კილომეტრის დაშორებით არავინ დამიწყებდა ძებნას. გულმოდგინედ ვცდილობდი ახალი ცხოვრების დაწყებას. ალბათ, მოვახერხებდი კიდევ, რომ არა კიდევ ერთი უბედურება, რომელმაც მოულოდნელად წამოყო თავი და ისევ უკან დამიბრუნა გადატანილი ტკივილები. ერთ საღამოს, ვახშობისას, სუფრასთან ვისხედით და თან ვსაუბრობდით. შინამოსამსხურე ქალს სხვადასხვა კერძები შემოჰქონდა. დონ დიეგო რამდენიმე საათის ჩამოსული იყო აგადირიდან, სადაც თვეზე მეტი დაჰყო სამსახურებრივ საქმეებზე. მივხვდი, რომ მონატრებულ ცოლ-ქმარს მარტო დარჩენა უნდოდა, ამიტომ მეც წამოვდექი და მარიას დახმარება მოვიმიზევე. ავდექი თუ არა, დონ დიეგო უცნაურად დამაკვირდა. ისე მონდომებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა, ისეთი გამჭოლი მზერით, გულმა უსიამოდ მომიჭირა. სწრაფი ნაბიჯებით, თითქმის სირბილით გავედი სამზარეულოში, გული ამოვარდნას მქონდა, უაზროდ ვაწყდებოდი ხან ჩაიდანს, ხან - გაზქურას, ხან დალაგებული ჭიქები გადმომქონდა სინზე, მერე სინიდან სამზარეულოს მაგიდაზე. ჩემი იქ ყოფნით ხელს უფრო ვუშლიდი მარიას, ვიდრე ვეხმარებოდი, ამიტომ ჩემს ოთახში გასვლა გადავწყვიტე. დაველოდე, სანამ მარია გაიტანდა პიტნის ნაყენს და ჩემს საყვრელ ტკბილეულს, რომლისკენ იმ საღამოს არც კი გამიხედავს. გაქვავებული ვიჯექი ხის ძველ მაგიდასთან და ველოდებოდი ცოლ-ქმრის სასტუმრო ოთახიდან გასვლას, რომ

ჩემს საძინებელში მიმავალი დერეფანში მათ არ გადავყროდი. თვალმოუშორებლად შევცქეროდი კედლის საათს. ბოლოს, გამბედაობა მოვიკრიბე და სწრაფად ავიარე კიბეები. საბედნიეროდ, არავის გადავწყდომივარ. ოთხში შევედი და გავაკეთე ის, რაც აქამდე არასდროს გამიკეთებია - კარი ჩავკეტე. მაინც ვერ დავიძინე. შიში, ეჭვი, ძველი ტკივილი, ყველაფერმა ერთად იჩინა თავი. შუალამისას, არ ვიცი შიშის ბრალი თუ იყო, შეიძლება მომეჩვენა კიდეც, ვიღაც როგორ ეჯაჯგურებოდა კარის სახლურს, მერე რამდენჯერმე მოაწვა და ბოლოს დაანება თავი. კედლისკენ გადაბრუნებული ვიწექი. კარის სახელურის ჩამოწევის ხმაზე სიცივემ დამისერა მთელი ტანი, დავიზაფრე და ავცახცახდი. დილასაც გვიან გავედი სასუზმოდ, მთელი ღამე არ მომიხუჭავს თვალი. საბედნიეროდ, არც ალაილა და არც ღონ დიეგო არ დამხვდნენ ოთახში, ბალიდან მესმოდა მთი ხმა. პირი ვერფერს დავაკარე, მაგიდაზე ხელუხლებლად იდო ჩემი დილის საუზმე. ვცდილობდი, ამომეხსნა ღონ დიეგოს გუშინდელი მზერა. მომეჩვენა, თუ მართლა განსხვავებულად მიყურებდა, მერე კარის გაღების მცდელობის ამბავიც დაერთო. მორიგ ძალადობასა და შერცხვენას ველარ გადავიტანდი, თან მაშინ, როცა, ასე თუ ისე, დავწყნარდი და მივენდე ამ ოჯახს. ამიტომ, ძალიან სამწუხარო გადაწყვეტილება მივიღე, უნდა დამეტოვებინა ეს სახლიც. ადგილი, სადაც ცხოვრებაში პირველად ძალიან კარგად, ადამიანურად ვგრძნობდი თავს. ჩემს ოთახში განვმარტოვდი, ბოლთას ვცემდი. ვფიქრობდი, რა მექნა, სად წავსულიყავი. იქნებ, მომეჩვენა, იქნებ, იქნებ... ოოჰ, რამდენი „იქნებ“ იყო მაშინ და იქნა კიდეც ჩემს ცხოვრებაში....

კარი ფრთხილად შეიღო, ჩაკეტვა დმავიწყდა! შიშისაგან გული გამეპარა და ადგილზე გავქვავდი.

- შეიმა. - ალაილას ხმა იყო. შვებით ამოვისუნთქე და მოცელილივით მივესვენე საწოლზე. ალაილა მომვარდა და ხელი შემაშველა.

-ხომ კარგად ხარ? რა მოგივიდა, რატომ არ გამოხვედი საუზმეზე დროულად, რამე გაწუხებს? - მომყარა კითხვები. მე კი თავჩაქინდრული ვდუმდი, რა უნდა გამემხილა? რა უნდა მეთქვა ცოლისთვის, რომ შენმა ქმარმა სხვნიარად,ზედმეტად დაკვირვებით შემომხედა? რომ მეშინია, სადმე არ დამიმარტოხელოს და იგივე არ გააკეთოს, რაც ჩემმა პირუტყვმა მძებმა? აი, მიპასუხე, რა უნდა მეთქვა? - ამომხედა ანალიზამ.

ვერფერი ვუპასუხე, მხრები ავიჩიჩე. თუმცა, პასუხს არც ელოდა, კვლავ დააშტერდა ჩილიმზე ლურჯ გრავიურას, ღრმად ამოისუნთქა და განაგრძო: ცუდად ვიყავი. -მხოლოდ ამის თქმადა მოვახერხე ალაილასთვის.

-შეიმა, თუ შეიძლება, კაბა გაიხადე. - უცნაური თხოვნით მომმართა ალაილამ. გაოცებულმა შევხედე, არ მოველოდი. მიხვდა, რომ დავიბენი. მომიახლოვდა, ჩამეხუტა, დამამშვიდა. კაბა გავიხადე, ალაილა მოშორებით დადგა და დამაკვირდა, მერე კი მუცელზე მომისვა ხელი.

-ორსულად ხარ? რატომ არ მითხარი?

-ორსულად? - დავიბენი, ძალაწართმეული კედელს მივეყუდე და ნელ-ნელა ჩავიკეცე.

- როგორ? საიდან? არ ვიცი ...

ხმით ავტირდი.

იმ დღესვე, ექიმთან ვიზიტის შედეგად დადასტურდა დიეგოს ეჭვი. აი, რატომ მიყურებდა დაკვირვებით, - ჩემი მოზრდილი მუცელი ეუცნაურა. მერე კი ალაილას გაუმხილა თავისი ფიქრები. ალაილამ ვერ მოითმინა და გვიან ღამითვე გადაწყვიტა გამოვეკითხე, კარები კი ჩაკეტილი დახვდა, ამიტომ გადადო დილისათვის. ჩემი ორსულობის ამბავი იყო შემზარავი! იმდენად შემზარავი, რომ ისიც კი არ გამიხარდა, როგორ გაქარწყლდა ჩემი ეჭვები და უსაფუძვლო უნდობლობა დონ დიეგოს მიმართ. არ ვიცოდი! აბა, როგორ უნდა მცოდნონდა ცამეტი წლის მოზარდს, რა იყო ორსულობა. წამოზრდილი მუცელი მხოლოდ და მხოლოდ კარგ კვებას დავაბრალე, ჩანასახი კი რომელიც მოძრაობდა ჩემს წიაღში, გაგეცინება და გაზებს. მაინც არ დამანება თავი წარსულმა! მაინც გამომყვა ზიზლის, სიძულვილის, სირცხვილის თესლი, რომელიც ჩუმად გაღვივდა, აღმოცენდა და აგერ უკვე ექვსი თვე თან ვატარებდი ნაყოფს. ცეცხლი მეკიდა, მძულდა საკუთარი სხეული, საკუთარი კანი! ნეტავ, ადრე მცოდნოდა ! ნეტავ, ადრე გამეგო! ხომ არ დავიტოვებდი, არ გავახარებდი. ის, რისი დავიწყებაც ასე ძალიან მინდოდა, ამიერიდან მთელი ცხოვრება თან უნდა მყოლოდა! ისიც კი არ ვიცოდი, რომელი ძმისაგან

იყო ჩემი შვილი. ჩემი შვილი! - გაიმეორა დამარცვლით ანალიზამ.

- იცი, პირველად ვთქვი ასე ხმამაღლა. - ამომხედა ანალიზამ და მწარედ ჩაიცინა.

-თუ მანამდე ყველა განცდა კარგად მახსოვს, ორსულობის ბოლო თვეებს ვერაფრით ვიხსენებ. სრულიად გამანადგურა ამ ამბავმა. ვერა! არა! ვერ შევხედავდი არსებას, რომელიც გამახსენებდა სირცხვილს, რომელიც გამახსენებდა ტკივილს. მინდოდა, მომკვდარიყო, მუცელშივე გამწყალებოდა არ დაბადებულიყო.

დონ დიეგოს კვლავ წასვლა მოუწია. სახლში ისევ მე და ალაილა დავრჩით. ყველგან თან დამყვებოდა, თავის ოთახში გადამიყვანა, არცერთი წუთით არ მტოვებდა მარტო, მგონი, გრძნობდა, რასაც ვფიქრობდი, რასაც ჩავიდენდი, როგორც კი მარტო დავრჩებოდი. მუცელში ნაყოფის განძრევისთანავე ზიზღით ვკანკლებდი, ვყვიროდი, მუშტებს ვირტყამდი. მარია და ალაილა ხელებს მიკავებდნენ, მარტო არცერთი წამით მტოვებდნენ. ვერ ვიჯერებდი, არ ვიღებდი ამ ამბავს. საჭმელის ჭამა აღვკვეთე. მთელი დღეები ვიწეე, თავთან ალაილა მეჯდა და წიგნებს მიკითხავდა. თუ ალაილას არ ეცალა, მარია ცვლიდა.

ერთ დღესაც, ალაილას დედის ავადმყოფობა აცნობეს. სასწრაფოდ მოუწია გამგზავრება მშობლებთან. სახლში

დავრჩით მე და მარია. არც მარია მტოვებდა ერთი წუთით. მკაცრი გაფრთხილება ჰქონდა ალაიასგან. ლოგინში თვალდახუჭული ვიწექი, იქვე მარია იჯდა და ქარგავდა. მერე ჩუმად შემეკითხა: - შეიმა, როგორ ხარ? არ გავნძრეულვარ. ვიგრძენი, როგორ წამოდგა და დამხედა. მხარზე ფრთხილად დამადო ხელი და კვლავ ჩუმად ჩამძახა, შეიმა... მერე საქარგავი ჩემს ფეხებთან დადო და ოთახიდან გავიდა. ცოტახანს კიდევ გაუძრევლად ვიწექი, მერე კი ფრთხილად წამოვდექი, კარიდან გავიხედე, დერეფანში არავინ ჩანდა. სახლიდან შეუმჩნევლად გავედი...

-ვერ ვიხსენებ! აი, ვერ ვიხსენებ, სად მივდიოდი, რატომ, რამდენი ხანი... მახსოვს, რომ მივდიოდი ვიწრო ქუჩებში, ვიღაცეები მეჯახებოდნენ, ვეჯახებოდი... მერე ჩამოხსენდა, გათენდა, ისევ დავხეტოლობდი უსაგნოდ. მერე მუცელმა მომიარა, მერე წყლები დავღვარე, მახსოვს ტკივილი, მახსოვს, რომ ვყვიროდი, უცნობი ადამიანები გარს შემომეხვივნენ.

ნახევრად ბნელი მიწური... ტკივილი, რომელიც ჩემ სულიერ ტკივილზე ძლიერი იყო. ისევ ის განცდა დამიბრუნდა, როდესაც აბდულამ პირზე ამაფარა ხელი... ვიღაც ქალი, ან ქალები, მათი ხმები... კიდევ, მახსოვს ჭუჭყიანი ფანჯრის მინა, საიდანაც მზის სინათლე შემოდოდა ... მახსოვს სურვილი, მალე გამომეგდო ჩემიდან ის, რაც მკლავდა, მტანჯავდა... მალე მომეშორებინა! ვიჭინთებოდი, ვკიოდი... მერე ყველაფერი დამშვიდდა, მოვეშვი, შორიდან მესმოდა ხმა, კატის კნავილის მსგავსი, ვიღაცეები დაფაცურდნენ, მთელი ყურადღება სხვაგან გადაიტანეს, მერე ერთმა დაიძახა! ბიჭია! არაფრის გაგონება

მინდოდა. ხელები ყურებზე ავიფარე... - ანალიზამ ახლაც აიფარა აკანკალებული ხელები ყურებზე, უფრო ნერვულად დაიწყო წინ და უკან რწევა. ვხედავდი, რომ ისევ იქ, იმ დღეში იყო და თითქოს თავიდან გადიოდა ყველაფერს, თავიდან გადიოდა ტკივილს, სიძულვილს. საკუთარ ჯოჯოხეთს გადიოდა ხელმეორედ. ველარ ვუძლებდი, აღარ შემიძლო ამ ყველაფრის მშვიდად შორიდან ყურება. წამოვდექი და ანალიზასთან მივედი, მკლავებში მოვიმწყვდიე და მივიკარი.

-ჩუ... ჩუ... პატარავ, არ გინდა, ნუ... - ვჩურჩულებდი და თავზე ვკოცნიდი. ცრემლები ღაპა-ღუპით მოსდიოდა. ანალიზა გაყურდა, ჩამეკრა, შემეხორცა. არ ვიცი, როდემდე ვიყავით ასე, ან რმდენ ხანს გავჩერდებოდით კიდეც, მომსხურე ბიჭის ჩალმიანი თავი რომ არ გამოჩენილიყო. მოგვიბოდიშა და შეგვახსენა, რომ იკეტებოდნენ. ჯიბეში ფული მოვიქექე და მაგიდაზე დავდე. წამოვდექი, აცახცახებული ანალიზა წამოვაყენე, ისევ მივიხუტე და ფრთხილად ჩამოვიყვნე კიბეებზე. უკნიდან მიმტანი ბიჭის ხმა დამეწია:

-ბატონო, აქ ზედმეტია. - ხელის მოძრაობით ვანიშნე, რომ ხურდა არ მჭირდებოდა და ქუჩაში გამოვედით.

გარეთ სასიამოვნოდ თბილოდა. კაციშვილი არ ჩანდა, რამდენიმე ნაბიჯში ჩვენი სასტუმრო იყო. ანალიზა მორჩილად მომყვებოდა, შევყოვნდი. არ ვიცოდი, ნომერში ავსულიყვით თუ უკაცრიელ ქუჩებს გავყოლოდით. ვერ ვხვდებოდი, რა გამეკეთებინა, რა იქნებოდა უკეთესი.

-გავიაროთ. - ძლივს გასაგონად ამოიჩურჩულა ანალიზამ.
წყნარი ნაბიჯებით გავუყევით ქუჩას. აქა-იქ ბჟუტავდა
ელექტრონათურები, რომელიც ქუჩას იდუმალად ანათებდა.
საათს დავხედე, შუალამეს კარგად გადაცილებული იყო. ცოტა
გავიარეთ და ანალიზა იქვე კიბეზე ჩამოჯდა, ჯიბეები მოიქექა,
სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. რამდენიმე ნაფაზი ღრმად
შეისუნთქა და მალევე ჩაასრისა ნახევარი ნამწვავი ქვქვენილზე.
არ წამოდგარა. მეც მივუჯექი, ხელი გადავხვიე. მომეყრდნო.
დიდხანს დუმდა. ჩუმი ვიყავი მეც იმიტომ, რომ არ ვიცოდი,
რა უნდა მეთქვა...

-მერე ბავშვი მომიწვინეს. - გააგრძელა ანალიზამ შეწყვეტილი
თხრობა.

- დავიძაბე, უსიამოდ დამიარა სიცივემ ტანში, ვერც დავხედე,
ვერ ვიგუე! დაბადებიდანვე უკვე ზედმეტი და უბედური ჩემი
ნაშიერი ტიროდა. გადაბჟირებული ითხოვდა რაღაცას.
ვიღაცამ მითხრა, რომ შიოდა და ძუძუ უნდა მიმეცა. ამის
გაკეთება ჩემს ძალებს აღემატებოდა. ეს არსება უნდა
გამომეკვება, გამეზარდა, მომეველო... მიმეხედა იმისთვის, ვინც
ყველაზე ძალიან მძულდა! მუდამ თვალწინ მყოლოდა ის, რის
დავიწყებას, ჩაკვლას ვცდილობდი ასე გულდაგულ. ჩვრებში
შეხვეული ჩემგან გავწიე, მოვიშორე. ქალმა, რომელიც ჩემთან
ახლოს ტრიალებდა, გაოცებულმა რაღაც ჩაილაპარაკა,
მტირალი აიყვანა და სადღაც წაიყვანა. სიჩუმე დადგა. თავს
თავისუფლად, უკეთ ვგრძნობდი. წამოვჯექი. ოთახში არავინ
იყო. გაჭირვებით ავდექი. მივხვდი, რომ სიარული შემეძლო.

ყველაფერი, რაც მერე მოხდა, ბუნდოვან კადრებად მახსოვს. მახსოვს ისევ ვიწრო და ტალახიანი ქუჩები; მახსოვს, რომ მციოდა და მაკნკალებდა; მახსოვს, რომ თვალთ მიბნელდებოდა; მახსოვს ნაცნობი სახლი, სადაც ვცხოვრობდი. როგორ მივედი, როგორ მივაგენი, რამდენი საათი ვიარე, არ ვიცი. ნაცნობი ადგილის დანახვისთანავე მოვეშვი და გავითიშე. მერე არაფერი მახსოვს. დანარჩენი ალაილამ მომიყვა, როცა საბოლოოდ მოვმჯობინდი. ცოლ-ქმარი, თურმე, მთელს ქალაქში მეძებდა: სავადმყოფოში, ქუჩებში... ბავშვზე არაფერი უკითხავთ, არასდროს. არც მე მომიყოლია არაფერი...

მალე გამოვკეთდი. რძე გამიშრა. ამასობაში, ჩემი საბუთებიც მზად იყო. ამიერიდან ესპანეთის მოქალაქე და ღონ დიეგოს ქალიშვილი - ანალიზა დიასი ვიყავი.

თქვა და ამომხედა. ცრემლები მოიწმინდა და ძველებურად გაიღიმა.

- დანარჩენი სხვა დროს იყოს. - მითხრა ჩვეულებრივი ხმით.

- მგონი, დაიღალე და შეგცივდა, სულ კანკალებ. - ისეთი მშვიდი და ჩვეულებრივი ხმით მითხრა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო. თითქოს, საღამოს სეირნობა გაგვიგრძელდა, ისე წამოვდექით და სასტუმროს მივაშურეთ. დარჩენილი ღამე თვალს არ მომიხუჭავს, ანალიზას ვიხუტებდი, რომელსაც ჩემს მკერზე ედო თავი მშვიდად სუნთქავდა.

მზიანი დილა გათენდა. საუზმედ სურნლოვანი ჩაი, აღმოსავლური ტკბილეული და კრუასანიც კი გვქონდა. ანალიზა მშვენიერ განწყობაზე იყო, ძველებურად ცქრიალა და სახელიმილიანი. აივანზე იჯდა, შეფშაუნეს გადაყურებდა და ეწეოდა. რაღაცნაირად, დამძიმებული ვიყავი, მაგრამ ანალიზას განწყობამ მალევე გაფანტა ჩემი სიმძიმე. მთელი დღე ვათვალიერებდით, როგორც ადგილობრივები უწოდებდნენ, ღმერთების ქალაქს, რომელშიც ყველა ნაგებობა ცისფრად შეეღებათ. ამ ფერის გამო, თითქოს, ცასა და მიწას შორის ზღვარი წაშლილიყო. გზად ტურისტების ჯგუფები გვხვდებოდა. აღფრთოვანებულები ყველაფერს ფოტოებს უღებდნენ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ამ სილამაზეს ლინზის ან მობილური ეკრანის მეორე მხარიდან ათვალიერებდნენ. სანამ მწვანე ბუჩქნარში ჩაფლული ყავახანის წინ თურქულ ყავას ვსვამდი, დაკვირვებითა და ინტერესით ვადევნებდი თვალს, არცერთ ტურისტს არ მოუშორებია თვალიდან ფოტოაპარტი, სმარტფონი. ყველა ისტერიულად იღებდა ფოტოებს, ეძებდნენ ახალ კუთხეებს, საინტერესო კადრებს. აჩხაკუნებდნენ გაუთავებლად. აქამდე უთვალავჯერ გადაღებული ადგილების საკუთარ აპარატებში „დამწყვდევას“. თითქოს, მთავარი იყო ფოტოები, ბევრი და რაც შეიძლება ბევრი. ამასობაში კი სადღაც მიღმა რჩებოდათ მთავარი, - შეეგრძნოთ ქალაქის სურნელი, დაენახათ ნამდვილი ფერები, დაენახათ იმაზე მეტი, ვიდრე ლინზა ან კამერა სთავაზობდათ. მეხსიერებაშიც, ალბათ, ბრტყელ, უპერსპექტივო ფოტო-კადრებად დარჩებოდათ ეს მშვენიერი ქალაქი. ჩვენ კი მთელი დღე ვიხეტიალეთ ცისფერ, ვიწრო ქუჩებში. ხანდახან, როდესაც რომელიმე მიყრუებულ ჩიხში აღმოვჩნდებოდით, ანალიზა ეშმაკურად ამომხედავდა, თვალს ჩამიკრავდა და კედელზე აყუდებულები დიდხანს და

ვნებიანად ვკოცნიდით ერთმანეთს. მერე დამისხლტებოდა ხელიდან ჩემი შავტუხა ქალი და წინ გარბოდა. პატარა ბიჭივით მივდევი, ხმამალლა ვიცინოდით, დავრბოდით, ერთმანეთს დავდევი, ვიჭერდი, ვუშვებდი, ვკოცნიდი, ხელში ამყავდა. ანალიზა კიოდა, ფეხებს იქნევდა... დალლამდე ვიარეთ და თითქმის დაკარგვამდე, მთის ძირში შეყუჟული ქალაქი ჯადოსნურ, ზღაპრულ განცდას მიტოვებდა. შეფშაუენი ბევრი კატით დამამახსოვრდა. ყველგან კატები, ყველა კუთხეში, სახვადახვა ფერის, ზომის, ფორმის... ნებივრად მზეს ეფიცებოდნენ და გამვლელ-გამოვლელებს არ იმჩნევდნენ. მარაქემისგან განსხვავებით აქ უფრო ცოტა ხალხი ირეოდა, ნაკლები ხმაური იყო. ყველაფერი, რაც დახლებზე გამოეფინათ, ჩემთვის უკვე ნაცნობი იყო.

გამგზავრების დროც დადგა. დაბარებული ტაქსი სასტუმროს კართან გველოდებოდა. ნომრიდან სწრაფად წამოვკრიფეთ მიყრილ-მოყრილი ტანსაცმელი, ჩანთებში დაუდევრად ჩავტენეთ. ბარგს ხელი დავტაცე და ქუჩაში გამოვედი. ანალიზა უკვე მანქანის უკანა სავარძელში იჯდა და მელოდებოდა. ნახევარი გზა ჩუმად ვიმგზვრეთ. ახლალა გავიაზრე, რომ ხვალ სალამოს ვბრუნდებოდი პარიზში. გული მომეწურა იმის წარმოდგენაზე, რომ ჩემი ცხოვრების მზიან დღეებს უნდა გამოვმშვიდობებულიყავი და ისევ უკან დავბრუნებულიყავი. არადა, უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ქალი, რომელიც გულზე მყვდა მიკრული, საბოლოოდ იყო ჩემში ფესვადგმული. უფრო მარტივად რომ ვთქვათ - მიყვარდა! მიყვარდა ისე, როგორც შეიძლება უყვარდეს წრფელი, თავბრუდამხვევი, ვნებიანი და აუხსნელი მიზეზებით ზრდასრულ, ჩამოყალიბებულ მამაკაცს. თითქმის ოცდაოთხი

საათი გვრჩებოდა კიდევ ერთად გასატარებელი. კვლავ არაფერი ვიცოდი ანალიზას მომავალი გეგმების შესახებ. უკვე დრო იყო, გამოვსულიყავი ტკბობის ბურანიდან და მეფიქრა მომავალზე, - ჩემზე, ჩვენზე... საუბრის გადადების დროც აღარ იყო.

-ანალიზ, შენ რა გეგმები გაქვს მაროკოში?

ანალიზამ ამომხედა და სევდიანად მითხრა: - ხვალ შენ რომ გაემგზავრები, მე ჩემს სოფელში წავალ. მგონი, დადგა დრო, ვნახო და დაველაპარკო ცემებს, გავიგო როგორ არიან, თუ, რა თქმა უნდა, ცოცხლები დამხვდნენ.

- არ გეშინია? - ვკითხე შეშფოთებულმა. - გინდა, გადავცვლი ბილეთებს, გავაგრძელებ აქ ყოფნას და საერთოდ, შვებულებას ავიღებ. მეც შენთან ვიქნები, გამოგყვები. ასე მგონია, უფრო ადვილად გაუმკლავდები ამ ყველაფერს. - შევთავაზე წამიერად მოსული აზრი.

-აჰ, არ არის საჭირო. მარტომ გამოვიარე მაშინ ეს ყველაფერი და ახლაც მარტო უნდა მივიდე, ოცდასამი წელი გავიდა იმ ამბის მერე. მე შევიცვალე, აღარ ვარ პატარა, ცამეტი წლის დაუცველი, უსუსური ბავშვი. არ ვაპირებ მივიდე, როგორც შეიმა. მე ანალიზა დიასი ვარ. - მითხრა და ყელზე ჩამოკიდებულ კულონს ხელი წაავლო და თითებით სრესა დაუწყო. ეს ის კულონი იყო, რომელიც ანალიზას პირველად დანახვისთანავე შევამჩნიე. ეს დღეები სულ მოუხსნელად ეკეთა.

- რა წერია აქ? - თითი მივადე ყელზე ჩამოკიდებულ არაბულწარწერიან ყელსაბამს.

- „რწმენა“. - დედამ მაჩუქა. ორი მქონდა. ერთი ხელზე მეკეთა, მგონი, მშობიარობისას დეკარგე.

ინტერესით შევათვლიერე წარწერა.

- ანალიზა, ცოლად გამოძევები? - საიდან და რატომ აღმომხდა ეს სიტყვები, არ ვიცი.

-შორს? - ღიმილით დამიბრუნა კითხვა. თითქოს, სადმე აქვე, მაღაზიაში გაყოლას ვთხოვდი. ორივეს გაგვეცინა. ანალიზამ გამომცდელი მზერით შემომხედა.

- მართლა გინდა, რომ ცოლად გამოგყვე?

-ჰო. შეიძლება არასერიოზულ კაცად მოგეჩვენო, მაგრამ, რასაც ახლა ვამბობ, ძალიან გულწრფელად ვამბობ! და დარწმუნებული ვარ, ჩემს სიტყვებს უკან არ წავიღებ! - დავასრულე აღელვებულმა და ოდნავ ხმააკანკალებულმა. ჩემს გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა. ანალიზა დუმდა.

- იცი, ანტუან, ხვალ თვის ბოლოა და ბოლოჯერ გნახავ. - აქ დრამატული პაუზა გააკეთა. ჩემი შეცვლილი სახის დანახვაზე გადაიკისკისა და ლოყაზე მაკოცა.

- სანამ წახვალ, ამაზე ვისაუბრებთ. რა თქმა უნდა, აუცილებლად გამოგყვები ცოლად, ოღონდ ცოტა მერე, ყველაფერს რომ დავალაგებთ. - კვლავ მომეხუტა. არაფერი მიპასუხია, გავჩუმდი და საკუთარ ფიქრებში წავედი. დასალაგებელი კი ძალიან ბევრი იყო, რომელიც ჩემი და მაღიჟენის თანაცხოვრების დასრულებით უნდა დამეწყო.

გვიანი საღამო იყო, როცა მარაქეშში ჩავედით. ანალიზამ შემომთავაზა, ეს ღამე მის ნომერში გაგვეტარებინა. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ჩემს სამვარსკვლავიან, ჭრელა-ჭრულა სასტუმროში ღამის გათენებას ფორ სიზონ მარაქეშის მეოთხე სართულზე დაძინება მერჩია საყვარელ ქალთან ერთად. ანალიზას ნახვერად ლუქსი ჰქონდა ნაქირავები, - დიდი ოთახი, ოთახში დიდი საწოლი, თამბაქოსფერი და ღია მწვანე ფერების სასიამოვნო კონტრასტი, მსუბუქად არეული აფრიკული და ევროპული დიზაინი, კედელზე სხვადახვა აქსესუარები, ოთახში უზარმაზარი, მოოქროვილჩარჩოიანი სარკე და დიდი აბაზანა, რომელიც მისვლისთანავე აავსო წყლით. შემდეგ სასტუმროს ტელეფონზე დარეკა და ვახშამი ნომერში შეუკვეთა. ცოტა ხანში კი აბაზანიდან მიხმო და ცხელ, ქაფიან ჯაკუზიში მიმიწვია...

ფართო ლოგინზე გულაღმა, ვნებადამცხრალნი, შიშვლები ვიწექით. ანალიზას ჩემს მუცელზე ედო თავი და საკუთარ

ხელებს ისე აკვირდებოდა, თითქოს, პირველად ხედავდა. მე თავქვემ მელაგა ხელები, ვერფერზე ვფიქრობდი და მშვიდად ვათვალიერებდი ოთახს, კედლებს.

-ანტუან, თუ ცოლი გყავს, მე როგორღა უნდა გამოგყვე? -
მოულოდნელად მკითხა ანალიზამ.

დავიბენი.

- მყავს, ჰო... აქ ყველაფერი ძალიან უცნაურადაა, მას თავისი წილი ბედნიერება სხვასთან აქვს ნაპოვნი, მე კი ახლა ვიპოვე ჩემი - მაროკოში. ერთმენეთის დატანჯვას სჯობს, ცალ-ცალკე გავაგრძელოთ ცხოვრება. შვილები დიდები მყავს, ან გამიგებენ ან... სულერთია, უკვე მათთვის ერთად ველარაფერს გავაკეთებთ მე და მალიჟენი.

-მალიჟენ... ლამაზი სახელი აქვს, ლამაზი ქალიც იქნება. -
ჩაიალაპარაკა ანალიზამ.

- ალბათ, არ ვიცი. - ვუპასუხე ფრთხილად.

ანალიზა ჩემსკენ მოტრიალდა სახით.

-მომიყევი, რა მოხდა! - მითხრა ჩვეული ტონით და ლოგინზე დაგდებული სიგარეტის კოლოფის ძებნა დაიწყო

ხელისცეცებით. მოკლედ და უემოციოდ მოვყევი ოდეონთან დანახული ამბავი. ანალიზა დიდხანს სდუმდა, მე კი მის შეფასებას ველოდებოდი.

-მდაა.... დარწმუნებული ხარ, რომ მეგობარი არ იყო? იქნებ, რაც ძალიან გინდოდა, ის დაინახე? - აღმოთქვა, როგორც იქნა.

-აჰ! არა, არა! ყველაფერი იყო ისე, როგორც იყო! - გულმოსული შევეწინააღმდეგე.

- ხვალ ოცდათერთმეტი ოქტომბერია. შენ პარიზში დაბრუნდები, მე აქ დავასრულებ ჩემს დაუსრულებელ ამბავს, ეს მე ძალიან მჭირდება! მერე კი, ასე ორ კვირაში, სადმე შევხვდებით. თუ ყველაფერი ისევ ისე დარჩა, როგორც ახლაა, ესე იგი, აქ მაროკო არაფერ შუაშია და რამეს მოვიფიქრებთ. მოკლედ, მაინც შევეხეთ იმ თემას, რაზეც, შეთანხმებისამებრ, ხვალ უნდა გველაპარაკა. - ღიმილით დაამატა ანალიზამ.

- ახლა თავს უფრო მშვიდად ვგრძნობ. მაშ, ორი კვირაში გნახავ. მანამდე ხომ გვექნება კონტაქტი? დაგირეკავ, დამირეკავ, შეშინებულმა ვკითხე და ლოგინზე წამოვჯექი. ხელები მხრებში ჩავჭიდე და სახეზე დავაცქერდი.

- ხომ გნახავ ნოემბერში აუცილებლად, მიუხედავად იმისა, რაც არ უნდა გადაგხდეს აქ თავს?

-ჰო, აუცილებლად. მე შუა ნომბრისთვის ჩამოვალ პარიზში, დავთქვამთ შეხვედრას და... მოდი, ნუ დავგეგმავთ წინასწარ. ერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრა, აუცილებლად ჩამოვალ. მაროკოდან ესპანეთში დავბრუნდები, დავისვენებ, ძალებს მოვიკრებ და მალევე გეწვევი პარიზში. - გაიღმა ანალიზამ.

-და იქაც ისევე დათბება, როგორც აქ. ერთი ამერიკული რომანტიული ფილმი გამახსენდა - „ტკბილი ნოემბერი“... ჰო და, ჩვენ ჩვენი ტკბილი ნოემბერი გვექნება პარიზში! - ჩავილაპარაკე ბედნიერმა.

ცოტა ხანში ანალიზა წამოდგა, ხალათი მოიცვა, გავიდა აივანზე, სადაც გრძელი ტახტი იდგა და იქ მოკალათდა, თეთრი ღვინით ბოკალი შეავსო და ღია კარიდან შემომხედა.

მეც მივბაძე ანალიზას, ორივენი მაროკოს ცის ქვეშ ვისხედით, სასტუმროს დიდ აივანზე, ვსვამდით Baron de EL - ის, 2002 წლის მოსავალს. კმაყოფილები მდუმარედ ავყურებდით ვარსკვლავებს მაროკოს ცაზე.

- ჩვენი ცხოვრება და საერთოდ, ადამიანი რეალურად რაფლეზიას ყვავილს ჰგავს. - სიჩუმე დაარღვია ანალიზამ.

-არ ვიცი ეგ ყვავილი. რომელია? როგორია ? არც არასდროს მსმენია. - გავიკვირვე. ანალიზამ თავისი ტელეფონი გადმომაწოდა, ეკრანზე ულამაზესი, მუქი სისხლისფერი,

ყვავილის პირობაზე არაბუნებრივად დიდი, გახსნილბუტკოიანი და მასიურფოთლებიანი ყვავილი ჩანდა, წვრილი, ღია ფერის წინწკლებით.

- ულამაზესია! რატომ არასდროს მსმენია? არსად შემხვედრია. - მლივს მოვწყვიტე თვალი უცხო ყვავილს.

- ევროპაში არ ხარობს, მხოლოდ ინდონეზიაშია, რამდენიმე კუნძულზე და მსოფლიოში ყველაზე დიდ ყვავილად ითვლება. მგონი, თითო ყვავილის წონა ექვსიდან ათ კილომდეა. იცი, რატომ შევადარე ეს ყვავილი ადამიანებს და მათ ცხოვრებას? - ანალიზამ ცარიელი ბოკალი ღვინით ჯერ თავისთვის შეივსო, მერე მეც მანიშნა, მიმეწოდებინა ნახვრად ცარიელი ჭიქა, დამიმატა. არც დალოდებია ჩემს პასუხს კითხვაზე, ისე გააგრძელა თხრობა: - ინდონეზიაში ამ ყვავილს „გახრწნილ ყვავილს“ უწოდებენ, იმიტომ რომ სხვა ლამაზი ყვავილების მსგავსად მას არა აქვს კარგი სუნი. პირიქით, საშინლად ყარს. ისე, როგორც ცხოველის გახრწნილი ხორცი. დიდახანს ვერ გაჩერდები მის სიახლოვეს. ალეგორიულად თუ შევხედავთ, ადამიანიც ასეა, შორიდან, სხვისი თვალთ, ძალიან ლამაზად ჩანს მისი ცხოვრება. გგონია, რომ ბედნიერია, წარმატებულია, ცხოვრებით დამტკბარია, რეალურად კი, საკმარისია მიუახლოვდე, გაიცნო და მერე დაინახავ, რომ ეს ბრწყინვალე ცხოვრება მოჩვენებითია. რეალურად კი ლპება, კვდება საკუთარ დარდში, პირად პრობლემებში, წარსულის ტკივილებსა და შეცდომებში. აი, შენი და მაღიჟენის თანაცხოვრებაც ამ ყვავილს ჰგავს. რამდენი ადამიანისთვის არის სანატრელი თქვენი მდგომარეობა, ურთიერთობა, ის, რაც

ერთად ააშენეთ, რასაც სხვებისთვის გარეგნულად თვალსაჩინოა... არა? ხომ არის შთამბეჭდავი? რეალურად კიდევ რას განიცდი, როგორი ხარ, არვინ იცის, თუ ახლოს არ მოვა თქვენთან. მგონი, ძალიან ფილოსოფიაში გადავვარდი. - გაიღიმა ანალიზამ და ბოლო ყლუპიც მოსვა ჭიქიდან.

-სასმელის ბრაღია. - თავადვე დაასკვნა და წამოდგა.

-ყველა ასე ხომ არაა? აი, ჩემი და შენი ურთიერთობა არ დაემსგავსება რაფლეზიას ყვავილებს. - შევეწინააღმდეგე ანალიზას. უკვე ძალიან აღარ მომეწონა ულამაზესი ყვავილი.

-ეგ არავინ იცის.... არც შენ, არც მე. ალბათ, არც არავის უნდა, რომ დაემსგავსოს, მაგრამ ასე ხდება. - არ მითმობდა ანალიზა.

- კარგი, შევეშვათ ბოტანიკას. - სცადა თემის გადატანა.

-შენ არასდროს გიფიქრია, რომ ოჯახი შეგექმნა, გათხოვილიყავი? - ვკითხე ის, რაც მოსვენებას არ მამღლევდა, ანალიზას წარსულის გარდა მისი აწმყოც მაინტერესებდა.

-არა. - მიპასუხა ცივად. - მგონი, გვიანია. - გაიზმორა, მხრებიდან ხალათი მოიძრო და იქვე, აივანზე დააგდო და შიშველი შევიდა ოთახში. მეც შევყევი. ამ ქალის გვერდით ულევნი ენერჯია მქონდა, არაფერი მოქმედებდა ჩემზე, არც დალლა, არც მგზავრობა ... არც სექსის მრავალჯერადობა. ჩემმა ლიბიდომ,

რომელიც ბოლო წლებში უკვე სამუდამოდ მიძინებული მეგონა, იფეთქა და ახლა ხარბად ცდილობდა, აენაზღაურებინა გაცდენილი დრო. ვიცოდი, პარიზში რაღაც დრო ანალიზას გარეშე მომიწევდა ყოფნა. ამის გამო, მსურდა, ყოველი ჩემი უჯრედი მისით შემევესო და სანამ ისევ ჩავიკრავდი გულში, როგორმე გამეძლო. ჯერ კიდევ მაქვს დრო. მგონი, ოცდაოთხ საათზე ნაკლები, მაგრამ უკვე მაინც ვწუხვარ, ვდარდობ, რა მეშველება მისი ხმის, ლურჯი თვალების, სურნელოვანი კანის გარეშე... ძილბურანში გახვეულ ანალიზას ჩავეხუტე და მეც დავიძინე.

კრემიანი კრუასანები, ფორთოხლის წვენი, ცხელი ყავა, დილის ცინცხალი ჰაერი და მარჯნისფერი მარაქემის ხედი... სადღაც, ათი საათი იყო, საუზმე რომ მოვამთავრეთ. ანალიზას ყვითელი კაბა ეცვა და გაზელის ლურჯი კედები, მე კი გუშინდელი მტვრიანი ტანსაცმელი. ამიტომ, გარეთ გამოსვლისთანავე, ჩემს ძველ სასტუმროში გავედით. ერთი საათი დამჭირდა ბარგის ჩასალაგებლად, შხაპის მისაღებად, ნაჩაქრევი სექსისტვის, რომელიც ნომრის კარიდან დაიწყო და ხავერდის მწვანე გადასაფარებლიან საწოლზე დასრულდა. ბოლო-ბოლო, მზად ვიყავი სასტუმროს დასატოვებლად. თეთრი პოლლოს მაისური და ღია ცისფერი ჯინსის შარვალი ჩავიცვი, არმანის თხელი ტილოს კოსტუმი მხარზე მოვიგდე. მიძლებში საბლოოდ გავსწორდით, ბარგი სადამოს ექვს საათამდე პორტიეს დავუტოვე, ტაქსიც ამ დროისთვის დავიბარე და კვლავ ქალაქში გავედით.

დილიდანვე, ჯემაა-ელ-ფნას მოედანზე უამრავი ტურისტი ირეოდა. მკვიდრი მოსახელობა უკვე გამოფენილიყო და სხვადასხვა ეგზოტიკურ სანახაობას სთავაზობდა ტურისტებს. სანახაობას სანახაობა ცვლიდა, მუსიკის ჰანგებს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტების ჰანგები. რას არ შეხვდებოდი აქ, გველების მომთვინეირებლებს, რომლებსაც მზის გულზე გამოეზიდათ მოწნული ქოთნები, რომლებშიც სხვადახვანაირი გველები სისინებდნენ, იქვე იყო ჭრელ ხალიჩაზე გაწოლილი სამეფო კობრა, მის წინ ფეხმორთხმული არაბი თეთრწვერა კაცით, რომელიც გრძელ დუდუკზე უკრავდა, კობრა კი ნელ-ნელა წევდა თავს და რიტმულად არხევდა ტანს. მე და ანალიზა დიდხანს გავჩერდით ამ სანახაობის წინ, ცოტახანში კი პატარა ბიჭი მოგვადგა ჯამით ხელში, სადაც ფული ჩავაგდეთ. ვიღაცას ზღვის გოჭები ყავდა გამოყვანილი, ერთი შეხედვით, განაკუთრებული არაფერი, მაგრამ უამრავი ტურისტი ეხვია გარს, იღებდნენ ფოტოებს და ამაში ფულს იხდიდნენ. ნებისმიერი სანახაობის წინ თუ ოდნავ მაინც შეანელებდი ფეხს, ვიღაც ფულს გთხოვდა, ფულს ითხოვდნენ ნაციონალურ კოსტუმებში გამოწყობილი კაცები, რომლებიც გამვლელებთან იღებდნენ ფოტოს ასევე გასამრჯელოს სანაცვლოდ. ფულს ითხოვდა ამოდრობილი კბილების გროვასთან მდგარი გაზუნზლულხალათიანი სტომატოლოგი, რომელსაც თავად არცერთი კბილი ჰქონდა პირში. ფულს გთხოვდნენ პატარა ეგზოტიკური ცხოველებით მოვაჭრეები, ყველა წხვირწინ გიტრიალებდა ხურდებიან ჯამს. ფასიანი იყო ყველაფრის ფოტოგადაღებაც, როგორც კი შეამჩნევდნენ, რომ ულებდი დახლს, ან მის მეპატრონეს, ან დატყვევებულ ცხოველებს. ასე არაფერში ფულის კეთებით დახელოვნებული ადამიანები ჩემში

ლიმილსა და გაოცებას იწვევდა. ვერც დღეს გავრისკე უზარმაზარი ლოკოკინების გროვის წვნიანის დაგემოვნება. ჩემდა გასაკვირვად, არც ანალიზამ მოინდომა. ცელქი ბავშვივით ერთ ადგილას დიდხანს ვერ ჩერდებოდა და წამდაუწუმ სხვადასხვა სანახობისაკენ გარბოდა. ჩავუარეთ ხალიჩების დახლებს, სადაც გასაოცარი ვირტუოზულობით შესრულებული ნაქარგებით დავტკბით. შევამჩნიე, როგორ სევდიანად დაჰყურებდა ანალიზა ხალიჩებს და ზოგიერთს დიდხანს და დაკვირვებით დასცქეროდა, ხელიც კი გადაუსვა ფრთხილად.

- იცი, აი ეს ნაქარგები ძალიან ჰგავს იმას, რასაც დედაჩემი ქსოვდა, ფერები ორნამენტების მოყვანილობა.

- გინდა ვიყიდოთ? - შევთავაზე და მომცრო ფარდაგზე მივუთითე, თან თვალებით გამყიდველის ძებნა დავიწყე.

არა! - ცივად მიპასუხა ანალიზამ. - არ მინდა, მაგრამ თუ შენთვის გინდა, იყიდე.

რა თქმა უნდა, მე სულ არ მაინტერესებდა არც ეს ფარდაგები და არც ხალიჩები, ჩემთვის ზედმეტად ჭრელი იყო. თან სად უნდა მეთრია, აერტოპორტში? და მერე სად წამელო? უკვე მტკიცედ გადავწყვიტე, პარიზში შინ აღარ დავბრუნებულიყავი, პირდაპირ სასტუმროში გადავსულიყავი. მაღიჯენს მერეღა დაველაპარაკებოდი. ძალიან მარტივად მეჩვენებოდა ეს ყველაფერი ახლა და აქედან. ხალიჩებთან დიდხანს მოგვიწია

შეყოვნება, მერე სხვა დახლებისკენ გადავინაცვლეთ. აქაურობა მზის სხივებზე თვალის მომჭრელად ბრჭყვიალებდა, რადგან დახლებზე გამოტანილი იყო ყველა ზომისა და ფორმის სამკაული - რკინა, ვერცხლი, ოქრო, თითბერი...

- ეს ებრაელების უბანია, ადრე მხოლოდ მათ ჰქონდათ ოქროს დამზადების უფლება. - ამიხსნა ანალიზამ. უინტერესოდ გადახედა ოქროსფერ, ნატიფად დაწნულ თხელ სამაჯურებს, ჟღრიალა მძივებს და დახლების უკან ვიწრო ქუჩისაკენ აიღო გეზი. მეც ავედევნე. აქ ტურისტებს თვალი ვერ მოვკარი. აგურის მაღალ კედლებს შორის მოქცეულ ვიწრო ქუჩაზე მხოლოდ ჩვენ მივდიოდით. გზად გვხვდებოდნენ სხვადასხვა ტვირთით მძიმე საპალნიანი ვირები, რომლებსაც თავიანთ პატრონებთან ერთად კედელზე აკრულები ვატარებდით. ნიავმა საშინელი სუნი მოიტანა, ლაყე კვერცხისა თუ მძორის. ზიზლით დავიჯღანე, ჩემ წინ მიმავალი ანალიზა კი არც შეჩერებულა, კვლავ მთელი შემართებით მიიწევდა. კიდევ უფრო მძაფრად რომ მოიტანა ნიავმა ეს საშინელი სუნი, მაშინ კი შევჩერდი.

- ანალიზა, არ მითხრა, რომ რაფლეზიას ბოტანიკურ ბაღში მივდივართ. - გავძახე წინ მიმვალ ჩემს ქალს.

ანალიზა შედგა და გაკვირვებულმა გამომხედა:

- რატომ გგონია ასე?

-საშინლად ყარს აქაურობა. სუნზე შენი რაფლეზია გამახსენდა.

-არა , ახლა სადაც მივდივართ, ძალიან კარგი სანახაობაა, საინტერესო, ცოტა სიმყრალე მოითმინე. აი, ამ ქუჩის ბოლოშია, მოგეწონება. - ხელი წინ გაიშვირა. ნაბიჯს ავუჩქარე, მალევე დიდ მოედანზე გავედით. ორმოები სხვადასხვა ფერის წყლით ამოევსოთ. გაკვირვებულმა გადავხედე ანალიზას.

-აგისხნი, აქ რა ხდება ხდება. აქ ტყავს ამუშავებენ. შეხედე წითელ ჭებს, იქ მიაქვთ საქონლის ახლად გაძრობილი ტყავი, აცლიან ბეწვს და ფხეკენ. მერე რამდენიმე დღე ალბობენ წყალში, მგონი, კირიანში. ამისი სუნი დგას აქ. შემდეგ რამდენჯერმე გადააქვთ სუფთაწყლიან ჭებში, სანამ ტყავი ბოლომდე გასუფთავდება და კანის ფერს მიიღებს. ბოლოს აშრობენ, ვირებს აჰკიდებენ და სხვადასხვა სახელოსნოებში მიაქვთ. იქ კი ხელოსნები ღებავენ, კერავენ. ადრე, სანამ ჯერ კიდევ შეიმა მერქვა, მიყვარდა აქ მოსვლა, თვლყურის დევნება, თუ როგორ იქცეოდა ერთ დროს ცოცხალი ცხოველის ტყავი გამოსაყენებელ ტყავის ნაჭრად. ხანდახან, დატვირთულ ვირსაც გავყოლილვარ იმ ინტერესით, სად მიიტანდნენ, ვისთან და რას დაამზადებდნენ შემდგომ.

- ვინ ყიდულობს მერე ამ ტყავს? - უკვე მეც მოვიხიბლე ამ ადგილით. ყურადღებით დავაკვირდი ფერად ორმოებში მომუშავე ადამიანებს. აღარც სუნი მაწუხებდა, შევეჩვიე.

-ძირითადად მეწაღეები და ის ხელოსნები, რომლებიც ტანსაცმელს, ჩანთებს, ქამრებს კერავენ. აქ ტყავის მუშტარი

ბევრია. ახლა შეგვიძლია უკან გავბრუნდეთ, ძალიან მინდოდა, რომ ეს გენახა.

კიდევ ერთხელ მოვავლე თვალი უცხო სანახაობას და იმავე ქუჩით დავბრუნდით უკან, რომლითაც აქ მოვხვდით, გასაყიდად გამზადებული ტყავებაკიდებული ვირების ფეხდაფეხ.

დარჩენილმა დრომაც სწრაფად გაირბინა და ახლა ექვსი საათისთვის Four seasons marrakech-ის წინ ვიდექით, ხელებჩაჭიდებულები, ერთმანეთის პირისპირ.

-დამშვიდობება და გაცილება არ შემეძლია. - მითხრა ანალიზამ.

უცებ, მოვიწყინე, მოვიბუზე. კიდევ სამი საათი და რაღაც წუთები მქონდა დარჩენილი აეროპორტში რეგისტრაციამდე. მეგონა, დარჩენილი დროის განმავლობაში გვერდით მეყოლებოდა ჩემი ქალი. მხრები ავიჩეჩე.

- რა გაეწყობა. - ვუთხარი შეცბუნებულმა. მაშინ გამოდის, რომ ეს მაროკოში შენთან ყოფნის ბოლო წუთებია? - და სასტუმროსკენ გავიხედე. ალბათ, აქ დავშორდებით.

- ჰო, ასე გამოდის. სამწუხაროდ, სიტყვებით ვერ გადმოვცემ, რა ხდება ჩემში და როგორ მიჭირს განშორება, თუნდაც

რამდენიმეკვირიანი. - თავდახრილმა ჩაიჩურჩულა ანალიზამ.
ისევ მომეხუტა და ხელები მომხვია.

-ანტუან, დაგირეკავ, მოგწერ, როგორც კი ჩამოვალ ჩემი
სოფლიდან, როგორც კი ჩავალ მალაგაში. შეხვედრის დღეც
მაშინ დავთქვათ, კარგი? დროა, ორივემ დავალაგოთ ჩვენ-ჩვენი
წარსული, და მერე ... მერე... - გაჩუმდა და ატირდა.
მთრგუნავდა ანალიზას ტირილი. ახლა უკვე ჩემთან
განშორების გამო მოსდიოდა ცრემლები, მაგრამ მაინც ცუდად
ვგრძნობდი თავს. მისი სახე ხელებში მოვიქციე, თვალები
დავუკოცნე და ძლიერად ჩავიხუტე.

-ახლა გამიშვი. დროებით, მხოლოდ დროებით... - მუდარა
ამოთქვა ეს სიტყვები. ხელი ვუშვი. ანალიზა მიბრუნდა და
სასტუმროსკენ წავიდა. თვალმოუცილებლად ვუყურებდი,
ადგილიდან ვერ ვიძროდი. უამრავი ვარაჯია წარმოვიდგინე
გონებაში, როგორ ვწყდები ადგილიდან ანალიზას ძახილით,
გავრბივარ, ვიჭერ, ვიხუტებ. როგორ ბრუნდება ანალიზა ჩემკენ,
მორბის და მეხუტება... არსადაც არ მივემგზავრებით,
ვსახლდებით მარაკეშში და ვცხოვრობთ ტკბილად და
ბედნიერად, როგორც ეს რომანტიულ ფილმებში ხდება.
რეალურად კი ფეხი ვერ მოვიცვალე. ერთადერთი, რაც ძალიან,
ძალიან მინდოდა, ის იყო, სანამ სასტუმროს შუშის კარს
შეაღებდა, ერთხელ მაინც მოეხედა! აი, მოკიდა ხელი კარის
სახელურს, შეაღო, ფეხი შედგა, უცებ შეჩრდა და მომხედა!
გაბრწყინებულმა ხელი დავუქნიე, მან კი მხოლოდ გამიღიმა და
სწრაფი ნაბიჯებით მიეფარა თვალს. მე კიდევ რამდენიმე წუთი
ვიდექი. შემდეგ ტაქსი გავაჩერე და სამ ევროდ, თხუთემტი

წუთის სავალ გზაზე, ჩემს სასტუმრომდე მივედი. ყველას ისე დავემშვიდობე, თითქოს ჩემი ძველი მეგობრები იყვნენ, ფულიც ბლომად დავუტოვე და ტაქსიში ჩავჯექი.

სულზე მომისწრო ამ მივლინებამ-მეთქი ვფიქრობდი, როცა ამ ქვეყანაში მოვფრინავდი და სწორადაც ვფიქრობდი, რადგან მართლაც სულზე მომისწრო და გადამარჩინა. აღარ დაველოდე სტიუარდესას გაფრთხილებას და დაჯდომისთანავე გავიკეთე ქამარი. ისევ ილუმინატორთან ავდმოჩნდი. ჩემ გვერდით გერმანელი ცოლ-ქმარი იჯდა. ქალი მსხვილი და ზოორბა, ქმარი -გალეული. თვითმფრინავი მოწყდა მიწას და ჰაერში დავეკიდეთ. სასმელები ჩამოატარეს. საკუთარ თავთან განმარტოების ორი საათი მაქვს წინ, ჩემი პატარა, მაგრამ რევოლუციური თავგადასავლის გასასიგრძეგანებლად, მოვლენების დასალაგებლად. სასმელი არ მინდოდა. სევდის ნასახსაც ვერ ვგრძნობდი, ვერც წუხილს. პირიქით, ძალიან ბედნიერი და სავსე ვიყავი იმედით, მოლოდინებით. მიუხედავად იმისა, რომ წინ ცოლთან რთული საუბრები მელოდა, ეს სულაც არ მაძარდებდა და არც მაშინებდა. ის კი არა და, შევედი კიდევ მის მდგომარეობაში. თურმე, რა ბედნიერი ყოფილა. როგორი სიხრულია, როდესაც შეყვარებული ხარ, როგორ ეიფორიაში ხარ, ღელავ... ამ ნეტარი განცდების ფონზე ჩემი პრობლემები არაფრად მეჩვენებოდა. აი, ანალიზას კი რაც უნდა გადაეტანა, ეს ცოტა მეშინებდა. იქნებ, არ უნდა დამეჯერებინა მისთვის და უნდა დავრჩენილიყავი, გავყოლოდი, მძიმე სიტუაციებში მის გვერდით დავმდგარიყავი. კი, ძლიერი ქალია, მაგრამ... ამავე დროს, ძალიან საყვრელი, ნაზი. იქნებ, სჭირდებოდა ჩემი თანადგომა. არ ვიცი... ნეტავ, რატომ აღარ გათხოვდა, ეძებდა მიტოვებულ

შვილს? ალბათ, არა. ყოველ შემთხვევაში, მისი მონათხრობიდან ჩანდა, რომ მის მოსაძებნად არ იყო ჩასული მაროკოში. ისევ ჩემი ქალის ირგვლივ მეფიქრებოდა, მერე მეღიმებოდა და მუცელში სიამოვნება ტალღებად მივლიდა.

საათს დავხედე. 00:00 მიჩვენებდა ციფერბლატი. პირველი ნოემბერი იწყებოდა. ახალი ცხოვრების დასაწყისი, წარსული განუღდა - გავიფიქრე რატომღაც. ჰო და, დავიწყებ ახალ ცხოვრებას, მტკიცედ გადავწყვიტე. ჩემ გვერდით მჯდარი წყვილი შევათვალაიერე, ორივე კითხულობდა. ხმაც კი არ გაუციათ ერთმანეთისთვის. ვცადე, წარმომედგინა ჩემი და ანალიზას მომავლი ცხოვრება სექსისა და ალერსის მიღმა, ვერ შევძელი.

პარიზში წვიმდა. სანამ ტაქსიში ჩავჯდებოდი, დიდხანს ვორჭოფობდი, სად წავსულიყავი - სასტუმროში თუ სახლში, სადაც არაფერი მესაქმებოდა. ზედმეტი უპასუხისმგებლობა ხომ არ იქნებოდა შინ ჩემი არ გამოცხადება? იქნებ, ჯობს ჯერ სახლში მივიდე? თან სუფთა ტანსაცმელიც არ მაქვს, მაღიჟენი დღეს მელოდება და მისი უპატივცემულობა იქნება ჩემი ასეთი საქციელი. ალბათ, ულამაზოც. მან ხომ უნებლიე სამსახური გამიწია, თვალი ამიხილა ჩემს უბადრუკ ცხოვრებაზე, რეალურად, მეორე სუნთქვის შანსი მომცა. ნეტა, რომ არ მცოდნოდა ჩემი ცოლის ამბავი, მაშინ რა მოხდებოდა? გავიცნობდი კი ანალიზას? და თუ გავიცნობდი, ასე შემიყვარდებოდა? ნეტა, რამდენი ვერსია არსებობს პარალელური ცხოვრებისა და მოქმედებების? ალბათ, რამდენი დაშვებაცაა, იმდენი ნაბიჯი, გზა ან ქმედებაა. გამოდის, რომ

უამრავი. საბოლოოდ, ტაქსის მძღოლს ის მისამართი ვუთხარი, სადაც ჯერ კიდევ ვცხოვრობდი .

კარი შევალე, გასაღები იქვე, სარკის წინ მივაგდე, როგორც მჩვეოდა, ჩემოდანი შემოსასვლელში დავაგდე. მაღიჟენს არ ეძინა, ხალათშემოცმული მელოდა მისაღებ ოთახში. ცოლს ლოყაზე ისე ჩვეულებრივად ვაკოცე, თითქოს დილას გავედი სახლიდან.

-არცერთხელ მოგიწერია, არც დაგირეკავს. - მითხრა ნაწყენმა მაღიჟენმა, სამზარეულოში გავიდა, ჩაის ჭიქა გასარეცხად ნიჟარაში ჩადგა და ჩვენს საძინებელში შევიდა. მე ჯორჯის ოთახს მივაშურე, გული დამიმძიმდა, ისევ ძველ ანტუნად ვიგრძენი თავი. უსიცოცხლობა და ნიჰილიზმი კვლავ შემომიძვრა ტანში. აბაზანიდან გამოსვლისთანავე ტელეფონში ანალიზას ნომერი მოვძებნე და შეტყობინება გავუგზავნე. გულის ფრიალში გავიდა ის წუთები, სანამ პასუხს მივიღებდი. მიპასუხა! რამდენიმე შეტყობინების გაცვლის შემდეგ, დამშვიდებულმა და ბედნიერების მცირე დოზამიღებულმა, ტკბილი ძილი ვუსურვე და მეც დავიძინე.

დილას, გაღვიძებისთანავე, ანალიზას მივწერე. სანამ პასუხს მივიღებდი, აბაზანაში შევედი. ახლალა შევმჩნიე, რომ მზე საკმაოდ მიმკიდებოდა. სამსახურში წასასვლელად მოვემზადე, თეთრი Yves Saint Laurent - ის პერანგი ჩავიცვი, რომლის ფონზე უფრო მკვეთრად გამომიჩნდა რუჯი. იმავე ბრენდის შავი ქაშმირის შარვალი ამოვიცვი და სამზარეულოში გავედი. მაღიჟენი წასული დამხვდა. ცხელი ფილტრის ყავა დავისხი და

განათებულ ტელეფონს დავხედე, ანალიზას გზავნილი იყო. მისი ხმა მომენატრა. სკაიპით დავურეკე, ერთდროულად დავლიეთ ყავა, ანალიზას თეთრი ხალათი ეცვა, ფეხმოკეცილი იჯდა აივანზე, ხელში სიგარეტი ეჭირა და ჩვეულ ხმაზე მეტიკტიკებოდა. გამაფრთხილა, რომ ხვალიდან შეიძლება ვერ გამოსულიყო კონტაქტზე, რადგან ელ ფარეში მიდიოდა, იქ კი როგორი მობილური კავშირი იყო, არ იცოდა. მპირდებოდა, აუცილებლად დამიკავშირდებოდა, ყველა გზას მონახვდა, რომ კონტაქტზე ვყოფილიყავით. თუ საჭირო გახდებოდა, ხაზის ტელეფონითაც დამირეკავდა. სანამ ანალიზა მონდომებული მიყვებოდა და მიხსნიდა ამ ყველაფერს, ტანში სიხრულის ტალღები მივლიდა. ძალიანაც არ მინდოდა, მაგრამ სამსახურში წასვლის დრო ახლოვდებოდა. დავემშვიდობე ჩემს საყვრელ ქალს და მალევე გავედი სახლიდან.

სამსახურში, როგორც კი პირად მეილებს ვუპასუხე და დაკისრებული ვალდებულება -მოვალეობა მოვიხადე, ლინდას კაბინეტს მივაშურე. ლინდა სამუშაო მაგიდასთან იჯდა. დამინახა თუ არა, წამოდგა და ჩამეხუტა, მერე მკალვებში მომკიდა ორივე ხელი და თვალები მოწკურა, დაკვირვებით შემათვალიერა.

-ოჰ, ანტუან, როგორ შეცვლილხარ ამ რამდენიმე დღეში!

-ჰო, მზე მომეკიდა. - შევიფერე ლინდას ნათქვამი.

-არა, არა! სხვა რაღაცაშია საქმე, აქედან მომაკვდავი გაგიშვი, ძლივს დალასლასებდი, ახლა კი... არ ვიცი, რა გითხრა, ანტუნან!
- ვერ პოულობდა ლინდა სიტყვებს. მერე ირგვლივ შემომიარა და მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა, როგორც იცოდა.

-რაღაც შეიცვალა შენში და ეს მხოლოდ რუჯი არ არის. ანათებ!

გამეღიმა. ალბათ, ლინდასნაირი ქალისათვის ნებისმიერი მცირედი ცვლილების გამოპარება რთული იყო. ნეტა, მაღიჟენი თუ მიხვდა რამეს? ვგონებ, ვერ. უხასიათოდ მეჩვენა. თან, წესიერად არც გვინახავს ერთმანეთი, თუ რამდენიმეწუთიან მისალმებას არ ჩავთვლით. რა თქმა უნდა, ლინდასთვის არაფრის მოყოლას ვაპირებდი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ძალიან მადლიერი ვიყავი. რომ არა მისი შეთავაზება, უფრო სწორად, დაძალება, მაროკოში წავსულიყავი, დღეს ასეთი ბედნიერი და შეცვლილი არ დავბრუნდებოდი სამსახურში.

-ჰა, ანტუნან, რა ხდება, არ გინდა, მომიყვე? - დაკითხვაზე გადავიდა ლინდა.

-იცი, ჩემო კარგო, როგორც ჩანს, გადაღლილი ვიყავი. მზემ, თბილმა ჰავამ და ეგზოტიკურმა გარემომ თავისი ქნა. კარგად დავისვენე, ბევრი ვისეირნე, სულ ეს იყო... - რეალური მიზეზი მაინც არ გავუმხილე.

-კარგი, როგორც გენებოს. - ჩაილაპარაკა უკმაყოფილოდ. ცოტა კიდევ ვილაპარაკეთ, მერე საქმეები მოვიმიზეზე და ოთახიდან

გავედი. მივხურე თუ არა ლინდას ოთახის კარი, შვებით ამოვისუნთქე. მახჩობელა ქალია. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, სწორი გადაწყვეტილება მივიღე თავის დროზე პრალაში, ცდუნებას გავუძელი და მასთან საქმე არ დავიჭირე.

დღის განმავლობაში კიდევ რამდენჯერმე ვესაუბრე ანალიზას. ყოველი მესიჯის მოსვლა მახარებდა და შეყვარებული პატარა ბიჭვით ვღელავდი წაკითხვის წინ. ლანჩზე მარტო გავედი, ოფისთან ახლოს ტაილანდურ რესტორანში - La petite Camboge. თავს ჭაბუკად ვგრძნობდი, ლალი ნაბიჯებითა და ღიმილით შევაჭერი დარბაზში. საპასუხოდ პირველად გამიღიმა მიმტანმა გოგონამ, რომლიც უკვე ექვსი თვეა, აქ მუშაობს. შევამჩნიე, რომ სხვა გოგონებიც აპარებდნენ ჩემს მხარეს. დავიჯერო, ასე აშკარად მაწერია სახეზე ბედნიერება? ალბათ, ბოლომდე ამოვისუნთქავდი, როცა მალიჟენტანაც გავარკვევდი საქმეს და სასტუმროში გადავბარგდებოდი. გახსენებაზე ცოლს დავურეკე. მინდოდა მეთქვა, რომ საღმოს არსად დაეგეგმა წასვლა, რადგან სალაპარაკო მქონდა. ტელეფონი გამორთული ჰქონდა. არ მესიამოვნა, მაგრამ ესპრესომ მალევე დამიბრუნა კარგი განწყობა.

საღამოს რვისკენ მივედი შინ. მალიჟენიც ფეხდაფეხ შემომყვა. შემოფოთებული მეჩვენა. გაღიზიანებულმა მიაგდო ჩანთა და აბაზანაში შევიდა. იქიდან ნამტირალევი გამოვიდა.

მე კი არ მშიოდა, მაგრამ, ინსტინქტურად, ვახშმის მომზადება საკუთარ თავზე ავიღე. მოცარელა, ავოკადო, ქამა სოკო, ყველაფერი წვრილად დავჭერი, დაბალ ცეცხლზე ლორის

სიფრიფანა ნაწრები მოვბრაწე და ცოტა ხანში გემრიელი სალათი მოვამზადე. სანამ მალიყენი იცვლიდა, სუფრაც გავშალე, ღვინის მაცივრიდან ალზასური თეთრი ღვინო გამოვიღე და გავხსენი. მალიყენი გამოვიდა, მაგიდას ჩუმად მიუჯდა, წყალი დაისხა .

-ღვინო გინდა?- შევთავაზე და სანამ მიპასუხებდა, ჯერ ჩემი ბოკალი შევაღვსე. თავი ოდნავ დამიქნია. ინტერესით შევათვალიერე ჩემი ცოლი, ქერათმიანი, მოკლედ შეჭრილი თმით, მაღალი, თითქმის ჩემსიმაღლე ქალი, თვალებთან წვრილი ნაოჭები როდის გაუჩნდა, ნეტა? აქამდე არ შემიმჩნევია. თხელი, სწორი ცხვირი და ასევე თხელი ტუჩები. მშვიდი, თითქმის უპრეტენზიო და სიტყვაძუნწი ნორმანდიელი. ღია ვარდისფერი ტუჩსაცხი ესვა, ოდნავ შეხსნილი ხალათიდან ლიფის თეთრი ბრეტელი უჩანდა, იჯდა დასჯილივით თავჩაქინული და დუმდა.

-მოხდა რამე ? - დავარღვიე სიჩუმე. მალიყენს, მგონი, არც გაუგია ჩემი ხმა, ამიტომ გამეორება მომიწია. მეორეჯერ რომ დავუსვი იგივე შეკითხვა, მხოლოდ მერე ამომხედა ცივი, ნაცრისფერი თვალებით, დამსხვრეული მზერით, თავი უსიტყვოდ გააქნია და დამაბულობის გასაფანტად კუსკუსი გადაიღო თეფშზე. ჩემს გაკეთებულ სალათს ზედაც არ შეხედა.

-მალიყენ, ვერ გცნობ! - არ მოვეშვი, რადგან მე ჩემი თავი მაღარდებდა, ხომ უნდა შემერჩია შესაბამისი მომენტი, დამორებაზე დამეწყო საუბარი, თან ისე, რაც შეიძლება ნაკლებ მტკივნეული ყოფილიყო ორივესთვის. მალიყენმა დახრილი

თავი აწია, გამჭოლი მზერა მომაპყრო და გაბზარული ხმით დაიწყო:

-საერთოდ, როდის მცნობ? ბოლოს როდის შემამჩნიე, რომ ახლა ვერ მცნობ? როდის გაინტერესებდა ჩემი კარგად ან ცუდად ყოფნა, ახლა რომ ამიკელი კითხვებით? ან ოდესმე მნიშვნელოვანი ყოფილა შენთვის, რას ვგრძნობდი, რას განვიცდიდი, რა მაწუხებდა? - ხმას აუწია და ბოლო სიტყვები თითქმის ყვირილით წარმოთქვა. კითხვის ასეთ შემობრუნებას არ ველოდი, მაგრამ თავი შევიკავე და შეძლებისდაგვარად მშვიდად ვუპასუხე:

-ახლა მაინტერესებს. ვიცი, არასდროს ვყოფილვარ კარგი ქმარი, მეგობარი. დიდი ხანია, რაღაც ჩაწყდა ჩვენ შორის, გავუცხოვდით. ერთადერთი, რაც გვაკავშირებს, ეს სახლია და სალამობით ერთად ვახშობა. ჰო და, დროა, ყველაფერი გავარკვიოთ, რაც მოსაშორებელია, მოვიშოროთ, თუ საჭიროა - ერთმანეთიც კი. - მგონი, შევძელი ძირითადი სათქმელის დაწყება. გაკვირვებულმა შემომხედა.

-რას ქვია, ერთმანეთი მოვიშოროთ? - და ორივე ხელი მაგიდაზე დადო.

-დიდი ხანია, ვამჩნევ, რომ შენ შენი ცხოვრება გაქვს, მე - ჩემი. ისე გავუცხოვდით, ერთმანეთთან უკვე არაფერი გვაკავშირებს. საერთო გეგმები, მომავალი და აწმყო აღარ არსებობს. დროა, წერტილის დასმა შევძლოთ, არ ფიქრობ ასე? - და დაბნეულობის

გასაფანტად ჩემი გაკეთებული სალათი გადმოვიღე. ჩანგლით სოკო და მოცარელას მსხვილი ნაჭერი ავიღე და მალიჟენის რეაქციის მოლოდინში გავღეჭე.

-აჰ, ანუ დავშორდეთ? მაგის თქმა გინდა? - ცინიკურად შესძახა მალიჟენმა.

-დიახ. - დავუდასტურე და თავიც დავუქნიე. - დავშორდეთ. შენ გააგრძელებ შენს საყვარელთან ურთიერთობას, მე ჩემთვის ვიცხოვრებ. მგონი, ორივე ვიმსახურებთ სიმშვიდეს. მაინც ვერ გავბედე იმის თქმა, რომ მეც მინდოდა ჩემს საყვარელ ქალთან ცხოვრება. ისე გამომივიდა, რომ მალიჟენს ვაწმენდდი ხელს და მის გამო მივდიოდი ამ ყველაფერზე.

-ახლა აგეხილა თვალი? ახლა დაიწყე ჩემზე ფიქრი? კი მაგრამ, რატომ, ასეთი რა მოხდა? - ირონიული ღიმილით ჩამეკითხა მალიჟენი.

-არაფერი. - ველარ ვუძლებდი წნეხს, მაგრამ მაინც არ გავტყდი. მალიჟენი წამოდგა.

-იცი, ანტუან, გვიანია! აი, ეს საუბარი ძალიან გვიანია. შენ წელან ახსენე ჩემი საყვარელი. მიკვირს კიდევ, აქამდე რომ ვერ გაიგე მისი არსებობის შესახებ, დღემდე რომ ვერ მოაბი ამ თემაზე საუბარს თავი და ყველაფერი მხოლოდ მაშინ დაიწყე, როცა უკვე წერტილი დავსვი და მასთან ურთიერთობა გავწყვიტე.

-რატომ, რატომ გაწყვიტე? - გაკვირვებულმა და მართლა შეწუხებულმა ვკითხე. ასეთ დასარულს არ ველოდი. რატომღაც, დარწმუნებული ვიყავი, ის თავის კაცთან იცხოვრებდა, მე ჩემს ქალთან და შეიძლება ვაკანსებზე ერთადაც კი გვესეირნა, როგორც ეს კეთილ რომანებში ხდება.

-მეცოდებოდი. - ამოიოხრა მაღიჟენმა. - მეცოდებოდი, რომ დარჩებოდი მარტოხელა და უსუსრი, ვერ გადაიტანდი. ჩემი ბრალი იქნებოდა შენი გაუბედურება. არ ვიცი... ვერ გავბედე. მაროკოში გაემგზავრე თუ არა, შევწყვიტე მასთან ურთიერთობა, მაგრამ ვხვდები, რომ ეს ჩემს ძალებსა და სურვილს აღემატება. ძალიან ცუდად ვარ! ძალიან... მეგონა, შევძლებდი, დავივიწყებდი და კარგად ვიქნებოდი. მე კიდევ ყველაფერი მტკივა აქ. - და გულზე დაიდო ხელი. - მენატრება და მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს, დავურეკო და გავიქცე მასთან. ამის მაგივრად კი აქ ვზივარ და ვისმენ, როგორ მთავაზობ დაშორებას. უსამართლობაა!

მაღიჟენი სკამის ზურგს მიეყუდა და ტირილი დაიწყო. მივედი და ჩავიხუტე. ძალიან შემეცოდა ჩემი ერთ დროს ერთგული და საყვარელი ცოლი... დაჟანგებულმა და მივიწყებულმა გრძნობებმა გამოიღვიძეს, თუმცა, უწინდელი ვნება გამქრალიყო. ეს უფრო მეგობრული და ადამიანური თანაგრძნობა იყო იმ ადამიანის მიმართ, ვისთან ერთადაც ჭირსა თუ ლხინში ორი ათეული წელი გავატარე. 22 წლის წინ ბრომანზე ვიქირავეთ პატარა ბინა, რომელიც იმდენად პატარა იყო, სამზარეულოში რიგრიგობით შევდიოდით.

ახალგაზრდობა გამახსენდა... ხელფასის აღებამდე, ელექტროენერჯის საფასურის გადაუხდელობის გამო, რომანტიული და ბედნიერი საღამოები სანთლის შუქზე; რიგრიგობით გათენებული ღამეები თოთო შვილების გამო; პირველი მოგზაურობა საზღვარგარეთ; პირველი მანქანის შეძენის სიხარული; საკუთარი სახლის მოწყობა; ვისთან ერთადაც გავიზარდე და შევდექი იმ კაცად, ვინც დღეს ვარ... გული მომეწურა, ასე ნამდვილად არ შეიძლება, თურმე, არ შეიძლება... მე დღეს ისევ ბედნიერი და შეყვარებული ვარ. ეს ქალი კი, ჩემი შვილების დედა და ჩემი ცხოვრების ნაწილი, უნდა მივატოვო. რაღაც უნდა მოვიმოქმედო, რომ ჩემს ბედნიერებას ხინჯი არ ჰქონოდეს. მაღიჟენი არ დარჩეს მარტო, არ იყოს უბედური და არ განვლოს ის გზა, რომელიც მე გავიარე ბოლო წლებში. ნამდვილად ვერ ვიტყვოდი უარს ანალიზაზე, მსხვერპლად ვერ შევეწირებოდი ფორმალურ ოჯახს. შევეცადე მის დამშვიდებას. დივანზე გადავინაცვლეთ. გვერდით მივუჯექი და ვთხოვე, ყველაფერი დაწვრილებით მოეყოლა. ატირებული მაღიჟენის დამშვიდება ადვილი არ იყო, ჯერ კიდევ გულამოსკვნილი ტიროდა.

-ნორმალური ხარ? - მოულოდნელად ხმამაღლა მკითხა.

-რას მეკითხები, ვერ მივხვდი. - დავიბენი.

-ჩემგან სხვა რეაქციას ელოდი? სიხარულის ყიჟინას: ყოჩაღ მაღიჟენ?! შენ ჩემ გამო, ჩვენი მკვდარი სიყვარულის გამო უარყავი შენი დიდი და იქნებ, ბოლო სიყვარული და სანაცვლოდ გაუფასურებული ოჯახური რუტინა აარჩიე? არა,

არ ვაპირებ მოგიწონო, არ ვიმსახურებ მე შენგან ასეთ მსხვერპლს. რას ელოდი? ყვირილს, ტირილს თუ სკანდალს? განვრისხებოდი და არ გაპატიებდი? დიახ, მე შენ ნამდვილად ვერ გაპატიებ იმ ყველაფერს, რაც გააკეთე. არ გაპატიებ, ჩემ გამო უარი რომ თქვი სიყვარულსა და ბედნიერებაზე. მე ნამდვილად არ ვაპირებ მარტო დარჩენას, არც დვრჩები და არც საცოდავი ვიქნები. მოდი, ახლავე აიღე ტელეფონი და დაურეკე! ამას გთხოვ, როგორც მეგობარი, როგორც ადამიანი, რომელსაც შენთვის და საკუთარი თავისთვის ბედნიერება ემეტება. - ადელვებულმა ჩემი ტელეფონი მივაჩიე თვალეზგაფართოებულ მაღიყენს.

-რა ჰქვია იმ პატარა ბიჭს?- ჩემდაჭირად წამომცდა ის, რაც, მგონი, არ უნდა მეთქვა.

- რა იცი, რომ პატარა ბიჭია? -გამომცდელად მკითხა ნაწყენმა მაღიყენმა. - რაღაცას რომ ხვდებოდი, ეგ ვიცოდი და დავრწმუნდი კიდევ მას მერე, რაც ჟორჟის ოთახში გადახვედი. აი, გცოდნია კიდევ. - სასწრაფოდ გათავისუფლდა ჩემი მკლავებიდან და კვლავ გამომცდელად შემათვალისწინა.

-რამდენი ხანია, რაც იცი? რას დავაბრალო შენი ასეთი გაკეთილშობილება? შენ ხომ ყველაზე დიდი ეგოისტი, ყველაზე დიდი მიმღები ხარ და ნაკლებად გაცემ. რაც ახლა მითხარი, ეს შენ არ გახასიათებს. გამაგებინე, რა მოხდა, რამ შეგცვალა?- მერე წამოდგა და კონსოლიდან სიგარეტი აიღო, დაუდევრად გახსნა, მარლბოროს ერთი ღერი ამოაძვრინა კოლოფიდან, რამდენიმე ძირს დაუცვივდა, აკანკალებული ხელით მოუკიდა, პირველი

ორი ნაფაზი ხარბად მოქაჩა და მერე მშვიდად გააგრძელა მოწევა.

ანალიზა უფრო გემრიელად ეწევა. - უნებლიედ გავიფიქრე და გამეღიმა. მაღიჟენს ჩემი გაღიმება შეუმჩნეველი არ დარჩენია.

-რა გაცინებს, რა?! გამაგებინე, ვინ ხარ, რა დაგემართა მაროკოში, თან თუ იცოდი, რომ ვიღაც მყავდა! რატომ არ მოხვედი, არ დაარტყი მაგიდას მუშტი და მოითხოვე ამ ყველაფრის შეჩერება? რატომ არ მოინდომე, კვლავ შენთან ვყოფილიყავი, დაგებრუნებინე, გებრძოლა... თუნდაც, თავმოყვარეობის გამო! შენ ხომ სიმარტოვეს ვერ გადაიტანდი, შენ ხომ სამშვენიისი მაინც გჭირდებოდა, ცოლი და მეგობარი თუ არა? თუ, ისე გიყვარდი, რომ ნება დამრთე, მე მაინც გამეხარა? არ გაბედო და არ დამიდასტურო, ახლა რაც გითხარი! ძალიან კარგად გიცნობ, ანტუან! სამწუხაროდ, ძალიან კარგად! შენ უმაღლ იმის გამო გაჩუმდებოდი, ოღონდ შენ არაფერი მოგკლებოდა, ვიდრე იმიტომ, რომ მე ვყოფილიყავი ბედნიერი! - თითქმის ყვიროდა მაღიჟენი და ადგილს ვერ პოულობდა. წინ და უკან დადიოდა, როგორც გალიაში გამომწყვდეული მტაცებელი და სიგრეტს პირდაპირ იატაკზე აფერფლებდა. ავდექი, ნახევრამდე ჩამწვარი სიგარეტი გამოვართვი. უსიტყვოდ დამემორჩილა, მერე საფერფლის ძეხნა დავიწყე, მაგრამ სანამ სიგარეტს ჩავაქრობდი, რამდენიმე ნაფაზი მეც დავარტყი. მაღიჟენი შედგა, გაქვავდა, პირღია მიყურებდა.

- კი, მაგრამ... მოიცა! ანტუან, შენ ხომ არ, ვერ ეწევი, რადგან სულ მიფილდას და ფილიპჟორჟის ამბავი გახსენდება? - უნდა

ვალდარო, რომ ის ამბავი, რაც გაცნობისას მოვუყევი ანალიზას, ჩემმა ცოლმაც იცოდა. ის კი დავარწმუნე, რომ პირველად ვყვებოდი ამას მასთან და დღემდე საიდუმლოდ ვინახავდი, მაგრამ რეალურას ასე არ იყო. ალბათ, შთაბეჭდილების მოხდენა მინდოდა ანალიზაზე. არა, სიგრეტს მართლა ვერ ვეწეოდი და პირველად მაშინ მოვწიე ჩილიმი. ბოლო ნაფაზი დავარტყი, მშვიდად ჩავსრისე ჩამწვარი ღერი საფერფლეში და კვლავ გამტერებულ მაღიჟენს გავხედე.

-შენ ამტკიცებ, რომ მიცნობდი? კი, მიცნობ, მაგრამ ადამიანები იცვლებიან, ამარცხებენ შიშებს, აკეთებენ იმას, რაც ადრე არ გაუკეთებიათ. ჰო, მე ვეწევი და პირველად ეს მაროკოში გავაკეთე. რომ გითხრა გადავირიეო, მოგატყუებ, არ მომწონს თამბაქოს გემო, მაგრამ ამაზე სხვა დროს. მაშ, გაინტერესებს, რამდენი ხანია, რაც შენი ამბავი ვიცი? რატომ არ გავამხილე და მოვითხოვე, რომ შეგეწყვიტა? გეთანხმები, მე მშიშარა კაცი ვიყავი, მშიშარა და ეგოისტი, ვერ გავხედე. იმისი ტრაკიც კი არ მქონდა, ბარგი ჩამელაგებინა და სხვაგან გადავსულიყავი. ამის ნაცვლად, მაროკოში გავიქეცი. მაგრამ ადამიანები იცვლებიან, რალაც ცვლის მათ, დავიჯერო - სიყვარული? არ ვიცი... ერთი, რაც ახლა ვიცი ისაა, რომ სიყვარული ადამიანს აკეთილშობილებს. გაინტერესებს, რა ხდება? ჰო და, მოგიყვები. - და დაწვრილებით მოვუყევი როდის და როგორ ვნახე თავის ბიჭთან ერთად, რა დამემართა.

-მე მეგონა, ეს უფრო ადრეც იცოდი! და შენ ამ ყველაფრის მერე გაჩუმება ამჯობინე! ლაჩარი ხარ, ანტუან! - გაცეცხლებულმა მიყვირა.

-კი, ლაჩარი ვიყავი, მშიშარა კაცი. - არ შევეწინააღმდეგე. ახლა ამაზე ჩხუბს აზრი არა აქვს. აილე ტელეფონი და დაურეკე იმას! - ისევ გავუმეორე. მაღიჯენს საყვარელი რომ არ მოებრუნებინა, ვერც მე ვერ მოვიპოვებდი ბედნიერებას. ოჯახის შენარჩუნების გამო თუ ის წავიდოდა მსხვერპლზე, მაშინ მეც იძულებით უნდა გამეღო მსხვერპლი და დარჩენილი ცხოვრება ერთმანეთის სიძულვილსა და დადანაშაულებაში უნდა გაგვეტარებინა.

- ისე, რა ჰქვია?

-ნიკოლა. - მკრთალი ღიმილით მიპასუხა ცოლმა. - თითქმის ერთი წელია ვხვდებით. მართლა არ ვიცი, როგორ, როდის დაიწყო, რატომ ავყევი... ჯერ მხოლოდ ფლირტი დავუშვი, ფლირტს პაემანი მივაცოლე, მერე ნელ-ნელა შევეტოპე, ჩამითრია, მომეწონა. კვლავ სასურველ ქალად ვიგრძენი თავი. ისეთ ქალად, რომელიც ვიღაცას სჭირდება, ვიღაც ამჩნევს... შინ დაბრუნებულს მხვდებოდი შენ, - მძიმე, უხასიათო, უჟმური, საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანი, რომელსაც რა გინდოდა, არ ვიცოდი. არ ვნანობ, არაფერს ვნანობ! -დარწმუნებულმა თქვა. - მაგრამ ახლა არ ვიცი, რა ვქნა...

-დაურეკე, აუხსენი, რომ ჩემთან ყველაფერი დასრულდა. მე ხვალვე ჩავალაგებ ბარგს და გადავალ სადმე.

-არა, არა... - შემეწინააღმდეგა მაღიჯენი. ხმაც სხვანირი გაუხდა, გააფთრებულ ვეფხსაც აღარ ჰგავდა. - სატუმროში რატომ? ბინა

მოვძებნოთ ან მე წავალ, რადგან ჩემი ინიციატივით ხდება ეს ყველაფერი. - დანაწიებით, თუმცა გახარებულმა ჩაილაპარაკა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, დილის ოთხ საათზე, სავარძელში გვერდიგვერდ მოკალათებული, აწ უკვე ყოფილი ცოლ-ქმარი, ერთად ვალაგებდით და ვგეგმავდით მომავალს. ასეთი ერთიანობა, ასეთი ერთსულოვნება ბოლო ათიოდე წელი აღარ გვიგრძვნია. საბოლოოდ გადავწყვიტეთ, რომ მე გადავბარგდებოდი. რა თქმა უნდა, ჩემი სასიყვარულო თავგადასავალიც დაწვრილებით მოვუყევი. ცოტა შიშით, მაგრამ მაღაჟენმა მშიდად მიიღო, ფოტოებიც კი დავათვალიერებინე. გაკვირვებულმა აღნიშნა:

- მეგონა, კარგად გიცნობდი. სხვანაირად არ გამიგო, მაგრამ ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ასეთი ქალებიც მოგწონდა.

-ვერც მე. - ვუპასუხე გულწრფელად. ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ ასე მშვიდად შევძლებდი შენთან საუბარს და საბანკო ანგარიშის გარდა, რაღაც საერთო კიდევ გაგვიჩნდებოდა. იცი, მაღაჟენ, რა მაინტერესებს?

-აბა რა? - დაინტერესდა ჯერ კიდევ ჩემი ცოლი.

-როდის დავშორდით ერთმანეთს? თითქოს, ყველაფერი კარგად იყო, მშვიდად, სტაბილურად... რატომ დავცილდით ერთმანეთს, სად გაქრა გაგება, სად წავიდა ის ერთიანობა და მთლიანობა, რაც ნამდვილად გვქონდა? რა მოხდა ასეთი?

-არ ვიცი... - თავი დახარა და დაფიქრდა მალიჟენი. - ახლა ვფიქრობ, ბოლო წლებში არც კი ვკამათობდით, აღარც ვჩხუბობდით, მოჩვენებითი ჰარმონია იყო ჩვენ შორის. მგონი, შვილები რომ გადავიდნენ ამ სახლიდან, მას მერე უფრო გავუცხოვდით. მანამდე კიდევ გვქონდა რაღაც საერთო, - თუნდაც, მათი პრობლემები, მათზე ზრუნვა. ბოლოს, ერთმანეთის პირისპირ როცა აღმოვჩნდით, ის მანძილი, რომელსაც მანამდე ბავშვები ავსებდნენ, ვერ შევამცირეთ. პირიქით, უფრო დავშორდით და ბოლომდე გავუცხოვდით. არც მე შევიწუხე თავი, რამე შემეცვლა და არც შენ. რაღაცები გვწყინდა, არ მოგვწონდა და ერთმანეთის ჯინაზე არ ვამბობდით, არ ვამხელდით. ალბათ, ველოდით, რომელი ჩვენგანი დაარღვევდა პირველად დუმილს და ხმამაღლა აღიარებდა დაგუბებულ შეცდომებს. სხვებში ვეძებდით ახლობელ ადამიანებს. ნეტა, ასე რომ გველაპარაკა თავიდანვე, სიმარტოვისა და გაუცხოების ჩასახვისთანავე, გადავარჩენდით ჩვენს ქორწინებას? - მკითხა მალიჟენმა.

- არ ვიცი, ჩემო კარგო და მგონი, არც ამაზე ფიქრი ღირს უკვე. შეიძლება, ვერც ვერასდროს გავიგოთ.

საათს დავხედე. დღის ექვსი საათი სრულდებოდა. ყავის აპარატისკენ გავემართე. მალიჟენმა ძირს დაცვენილი სიგრეტის ღერები აკრიფა, მერე კი წუხანდელი გაშლილი და ხელუხლებელი მაგიდის ალაგება დაიწყო. უჩვეულო სილაღესა და სიმსუბუქეს ვგრძნობდი. მინდოდა, ეს ყველაფერი დროულად მეხარებინა ანალიზასთვის, მაგრამ ჯერ კიდევ

წუხანდელ ვახშამდე გაგზავნილი მესიჯიც არ იყო მისული. როგორც ჩანს, მისი ვარაუდი გამართლდა და მობილური კავშირი არ იყო. ეს მაფორიაქებდა, მაგრამ გულის სიღრმესი მჯეროდა, ყველაფერი მოგვარდებოდა. მთავარი იყო მომეთმინა და უიმისო დრო როგორმე გადამეტანა.

გადავწყვიტეთ, ნოემბრის ათი რიცხვისთვის, მაღიჟენის დაბადების დღეს, ოჯახურ ვახშამზე გაგვემხილა შვილებისთვის ჩვენი დაშორების შესახებ. ცოტა ვლელავდი, როგორ მიიღებდნენ ამ მოულოდნელობას. ვფიქრობდი, დიდი ემოციებისა და პროტესტის გამოხატვას ადგილი არ ექნებოდა, მითუმეტეს, როცა ორივენი მშვიდი სახით ვამცნობდით ამას.

სამსახურიდან კარგ ხასიათზე გამოვედი. ჯერ ჩემს ახალ ბინაში შევიარე, რომელიც ისევ 15-ე რაიონში ვიქირავე. მესამე სართულზე ფეხით ავირბინე. ტანსაცმელი გამოვიცვალე, ჯინსებზე ცისფერი ლავინის პერანგი და ყავისფერი თხელი სვიტერი ჩავიცვი, მოკლე საწვიმარი ლაბადა მოვიცვი და უბნის ბულანჟერიაში შეკვეთილი ლამაზად გაფორმებული ხილის ტორტი გამოვიტანე. ძველი სახლისკენ ფეხით გავუყევი, სულ რამდენიმე გაჩერება იყო. ნოემბრის მიუხედავად არ ციოდა, თან გზად ანალიზასათან შემემძლო დამერეკა და მომეკითხა. ანალიზა უკვე ესპანეთში იყო, მაგრამ ცოცხალი თავით არ გამიმხილა, არ მომიყვა, როგორ დასრულდა შეხვედრა წარსულთან, ნახა ძმები და მშობლები, თუ ვერ იცნეს, უთხრა ვინ იყო? ან თუ... ან... ყველაფერი მაინტერესებდა, რაც შეიძლება დაწვრილებით. ანალიზა ამ ყველაფრის მოყოლასა და ახსნას შემპირდა პარიზში ჩამოსვლისტანავე. არა და, რა

მოითმენს 13 ნოემბრამდე? მთელი სამი დღე! ოჰ, როგორ ველოდი ამ დღეს! როგორ ვნატრობდი, მალე დამდგრიყო ის ნანატრი წუთები, როდესაც ჩემს ქალს ჩავიხუტებდი და აღარასოდეს დავშორდებოდი. ახალ სახლში, მაროკოს დღეების მოსაგონარად, რამოდენიმე მაროკოული ნივთი შევიძინე. ჩემს საძინებელში, ლოგინის წინ, შეფშაუნის ცისფერი ქუჩების ფოტოებიც კი დავკიდე. მართლა ყველაფერი კარგად იყო. ამდენი ხნის განმავლობაში თავს პირველად ვგრძნობდი ბედნიერად, სავსედ. თანდათან მეტად მიხაროდა, მიყვარდებოდა სიცოცხლე, რაც უფრო ახლოვდებოდა ანალიზას ჩამოსვლის დღე.

მალიჟენს ლამაზი ვარდისფერი კაბა ეცვა. ეს ფერი ძალიან უხდებოდა, ატმის ყვავილს ჰგავდა. შვილები აგვიანებდნენ. ლარნაკში დიდებული ყვავილების თაიგული იწონებდა თავს, მალიჟენი ყოველ გავლა-გამოვლაზე იხრებოდა და ყვავილებს ყნოსავდა. მივხვდი, ნიკოლას საჩუქარი იყო. ჩემი ცოლი, ასეთი ბედნიერი და სიცოცხლით სავსე, ბოლოს როდის ვნახე, არ მახსოვს. პატარა გოგონასავით ტრიალებდა, კეკლუცობდა. მის ხელზე აბრჭყვიალებული კარტიეს სამაჯურიც უდავოდ ნიკოლას ნაჩუქარი იყო. ვერ ვხვდები, ასეთ "პატარა ბიჭუნას" საიდან შეიძლებოდა ჰქონოდა ამდენი ფული, თავმოყვარეობა კიდევ არ მაძლევდა იმის საშუალებას, ეს ყველაფერი გამომეკითხა. ბავშვები სანამ მოვიდოდნენ, მალიჟენის საყვარელი Veuve Clicquot brut-ი საზეიმოდ გავხსენი, გადავკოცნე და დაბადების დღე მივულოცე. მეორე ჭიქა რომ გამოვცალეთ, შემოსასვლელიდან გაბმული ზარის ხმა გაისმა. ერთმანეთს გადავხედეთ და თითქმის ერთდროულად წარმოვთქვით - მიქაელა. ბავშვობიდანვე ასე შეუჩერებლივ რეკდა ზარს, მანამ

არ იღებდა ღილაკიდან თითს, სანამ კარს არ გავუღებდით.
კარის გასაღებად მე გავედი, მაღიჟენი ქურას მიუბრუნდა, სადაც
იხვი მზადდებოდა დედამისის რეცეპტით, რომელიც,
სხვათაშორის, წლიდან წლამდე უფრო გემრიელი გამოსდიოდა.
მიქაელამ ჯერ მე გადამკოცნა, მერე კი დედასთან მიირბინა.
თითქმის ფეხდაფეხ მოჰყვა მას ჟორჟიც. ბავშვებს შეუმჩნეველი
არ დარჩენიათ ჩვენი გაბრწყინებული სახეები, განსაკუთრებით
მიქაელას, ხშირ-ხშირად გვეკითხებოდა, თუ რა გვჭირდა, რატომ
აღვნიშნავდით დაბადების დღეს მხოლოდ ოჯახის წევრები და
არა პომპეზურად, როგორც ადრე. ჩვენ ყველა კითხვაზე
ვიღიმებოდით, სხვა თემაზე გადაგვქონდა საუბარი და პასუხებს
შემღებობდაგვარად თავს ვარიდებდით. მაღიჟენის იდეა იყო,
ტორტს რომ შემოვიტანდით, მხოლოდ მაშინ გაგვემხილა ჩვენი
გადაწყვეტილება. ვახშამმა მშვიდად ჩაიარა. ცოტა
ვნერვიულობდი, რაც უფრო ახლოვდებოდა დესერტის დრო.
მეორე ბოთლი ღვინო გავხსენი. წამოვდექი, მიუხედავად იმისა,
რომ ჟორჟი და მიქაელა დაბალ ხმაზე საუბრობდნენ, დესერტის
კოვზი ბროლის ფუჟერს მსუბუქად შემოვკარი, ჭიქის წკრიალზე
შვილებმა შემომხედეს. მაღიჟენი პირდაპირ მეჯდა, ცოტა
შემკრთალმა გადავხედე. მან თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.
ასე ფეხზე დგომა ზედმეტი მომეჩვენა, საზეიმო სადღეგრძელოს
დაემსგავსებოდა ჩვენი გადაწყვეტილების გამოცხადება, ამიტომ
კვლავ დავჯექი, ჩავისუნთქე და ამოვთქვი.

- მე და დედათქვენი ერთმანეთს ვშორდებით. სანამ ეს
ოფიციალურად მოხდება, გვინდა მანამდე გაგიმხილოთ. -
დაძაბულმა შევხედე შვილებს.

მიქაელა გაშეშებული იჯდა, მერე თავი გაიქნია და მოულოდნელად პატარა ბავშვივით ატირდა, მაღიჟენი ჩაეხუტა და დამშვიდება დაუწყო. ჟორჟმა კი თვალი ჩამიკრა: - კიდევ კარგი, როგორც იქნა მიხვდით და უშველეთ თავებს.

-რას მიხვდით, ჟორჟ?

-რას მამა და იმას, რომ აქამდეც უნდა დაშორებულიყავით. ისეთი საბრალო სანახვები იყავით ერთად, ისეთი... ვინ ჩაერია ამ ამბავში? კარგი ფსიქოლოგი, როგორც ჩანს.

-არა, თავად მივედით ამ გადაწყვეტილებამდე. - უპასუხა მაღიჟენმა.

ამასობაში მიქაელაც დამშვიდდა, იჯდა კუთხეში თავისთვის და ჩუმად გვაკვირდებოდა. მხოლოდ მერე, ტორტი როცა შემოვიტანეთ, მაშინ ამოიღო ხმა:

- ორივეს ისეთი ბედნიერი სახე გქონდათ, რომ მოვედი, მეგონა, კრიზისი გადალახეთ და დალაგდით. თუ ასე უფრო კარგად იგრძნობთ თავს და რაც მთავარია, ორივე გახარებული ხართ, მე რაღა დამრჩენია, გილოცავთ. - მაინც სევდიანად წარმოთქვა, ტორტი შეჭამა და მალევე წავიდა, რადგან დღეს საღამოს ცვლაში მუშაობდა. გაცილებისას, სანამ იცვამდა, შემპირდა, რომ დამირეკავდა და მისამართს გამომკითხავდა, რათა ახალ სახლში მწვეოდა.

შუალამე ხდებოდა, როცა ახალი ბინის კარი შევალე. თავს თავისუფლად, მშვიდად და ვალმოხდილად ვგრძნობდი. ალბათ, ანალიზას უკვე ეძინა. ვრცლად მივწერე დღევანდელი საღამოს ამბები, შევახსენე, რომ უზომოდ მიყვარდა და მეც დავიძინე.

და აი, დადგა 13 ნოემბერი! დღე, როდესაც ანალიზას უნდა შევხვედროდი. საღმოს რვა საათზე ჩამოდიოდა. დახვედრაზე კატეგორიული უარი გამომიცხადა. გამახსენა, რომ დამშვიდობებასა და დახვედრებს ვერ იტანდა. შემომთავაზა, შეხვედრის ადგილი თავად შემერჩია. ზედმეტად ბევრი ვიფიქრე, სად გადავკვეთილიყავით, არც ძალიან ხალხმრავალი და არც ზედმეტად გადაპრანჭული ადგილი მინდოდა. იმდენად ბევრი ვიფიქრე და ვიჭოჭმანე, დავიღალე. საბოლოოდ, ერთი ჩვეულებრივი პიცერია შევარჩიე დე ლა ფონტენის ქუჩის კუთხეში, მაფიოზური სახელწოდებით, "La casa nostra". რადგან პარასკევი საღამო იყო, თადარიგი დავიჭირე და მაინც წინასწარ დავჯავშნე ადგილი. სამსახურში მთელი დღე სასიამოვნო გულის ფრიალში გავატარე, საქმეები დილიდანვე მოვითავე და დღის მეორე ნახევარი როგორმე რომ გადამეგორებინა, კინოს ბილეთი ავიღე. ნახევრად ცარიელ დარბაზში მარტო ვიჯექი და ეკრანს მიშტერებული, ნანატრ შეხვედრაზე ვფიქრობდი. ნეტა, მალიჟენტან პირველ პაემანზეც ასე ვღელავდი? ვეცადე გახსენება, მაგრამ ამაოდ, მაშინდელ ემოციასა და გულის აჩქროლებას ვერ ვიხსენებდი. დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ვიყავი, ჯიბეში ძალიან ცოტა ფულით და ამიტომ, ძირითადად, სკვერებსა და სენის ნაპირზე ვხვდებოდით ერთმანეთს. სენდვიჩები, სუფთა ჰაერი და ერთად ყოფნა, მეტი

რა გვინდოდა ორ შეყვარებულ ახალგაზრდას... როგორც იქნა, დასრულდა ფილმი. სახლისკენ ფეხით წავედი. ტანსაცმელი წინასწარ მქონდა გამზადებული. აბაზანაში შევედი, დილით გაპარსული წვერი ხელახლა გავიპარსე. ლოგინზე მიფენილი Gucci-ს თეთრი პერანგი ჩავიცვი, იმავე ბრენდის შავი ინსპექტორები. წვიმიანი ამინდი იყო, ამიტომ ხავერდის ფეხსაცმელებისაგან თავი შევიკავე, თუმცა ამ ლუქს ეს უფრო დაამშვენებდა, ლევისის შარვალი და ჩემი Armani-ს საყვრელი პიჯაკი, ზემოდან Barber-ის ლაბადა. მზად ვიყავი. მთელი სხეული დაჭიმული მქონდა, ვფორიაქობდი და სასიამოვნოდ ვღელავდი. საათს დავხედე, ცხრის წუთები იყო. სავარაუდოდ, ანალიზა უკვე ჩამოფრდა. ცოტაც და ერთად ვიქნებით, ველარაფერი დაგვაშორებს. ამის წარმოდგენაზე ბედნიერმა გავიღიმე და სახლის კარი გამოვიხურე. მანამდე ოთახი ყურადღებით მოვათვალიერე, რამდენიმე საათში მე და ანალიზა უკვე ერთად შემოვალთ ამ სახლში. ლიფტს აღარ დაველოდე და ფეხით ჩავირბინე კიბეები. რამდენიმე წუთში მეთერთმეტე რაიონში ვიყავი. რესტორნის პერსონალს ჩემი ჯავშანი შევახსენე და ვთხოვე, გარეთ მოეძებნათ ჩემთვის მაგიდა, რადგან ვიცოდი, ანალიზა სიგრეტის გარეშე ვერ გაძლებდა. მიმტანს ყავა შევუკვეთე. სანამ მომიტანდნენ, ღვინის მენიუს გადავხედე, თან გამვლელებს ვათვალიერებდი და მალიმალ საათზე ვიყურებოდი. უკვე ცხრას გადასცდა. ტელეფონი მოვიმარჯვე, ოფიცინტს კვლავ ერთი ჭიქა, ოღონდ ახლა შავი ღვინო შევუკვეთე. ანალიზას რამდენიმე წუთის წინ მოწერილი მესიჯი ხელახლა გადავიკითხე. მაფრთხილებდა, რომ საცობშია და მაგიტომ აგვიანდებოდა. მოვემზადე პასუხის მისაწერად, გვერდითა ქუჩიდან რალაც ხმაური მომესმა, დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. მივწერე, რომ ველოდებოდი და თუ

საჭირო გახდებოდა, შუალამემდე აქ ვიქნებოდი დარჭობილი, ან მანამდე, სანამ აქ გაჩერების უფლებას მომცემდნენ. არც სმაილების მიწერა გამომრჩენია. გავაგზავნე, ტელეფონი გულის ჯიბეში შევინახე და ერთი ყლუპი ღვინო მოვსვი. ამასობაში ხალხი აფორიაქდა, კივილმა და ხმაურმა იმატა. ვილაცები მორბოდნენ. ოდნავ წამოვიწიე, რომ გამეგო, რა ხდებოდა. კაფეს მიმართულლებით სწრაფად მომავალი მანქანა მკვეთრად გაჩერდა. ვილაც ტიპი გადმოვიდა. კარგად ვერ გავარჩიე, ხელში რა ეკავა, მაგრამ ტვინმა წამებში გაიაზრა, რა ხდებოდა. შავებში ჩაცმული ახალგაზრდა კაცი მოგვიახლოვდა და უმისამართოდ დაიწყო სროლა.

კივილი. ავტომატის ჯერი. კადრები შენელდა. ვილაც იმალება, ვილაც გარბის, ვილაც გახევებული ზის, ვილაც გდია... ვერაფერს ვასწრებ! ჩემს მაგიდაზე მდგარი ჭიქა მკერდზე შემომემსხვრა. დავიხედე, სულ წითელი ვარ. ლაქა იზრდება. ვერაფერს ვგრძნობ, არც შიშს, არც ტკივილს, არც წვას... გაშეშებული ვზივარ. ავტომატიანი გარბის. უცებ, ერთი სიტყვა ამომიტივტივდა თავში და შეუჩერებლად ვიმეორებ: რწმენა. რწმენა. რწმენა... ანალიზას კულონზე იყო ეს წარწერა. ჰო... ჰო... მახსოვს... იმ ავტომატიანსაც ეკეთა. ჩემკენ რომ შემოტრიალდა, გულსაკიდმა სინათლე აირეკლა, თითქოს გაანთა. წარწერა და ფორმა მეცნო... ჰაერში მყრალი, მძიმე სუნი დატრიალდა... ეს სუნი მახრჩობს, ჰაერი არ მყოფნის, სიკვდილი არ მინდა...

... ალბათ, ასეთი სუნი აქვს რაფლეზიას ყვავილს...

